

345 / 2 ს. თ. 1901

№ 1.

სს. სს.

საქართველოს
საბავშვო

345/2

საქართველო

104




იანვარი 1901

შინაარსი

ქურონალ „ჯეჯილისა“

I. ჩიტი ბზეწვია, ლექსი შ. მღვიმელისა	3
II. არჩილ—პავლე—ვლადიმერი, ელ. წერეთლისა	5
III. გიორგის საფლავზე, ეგ. გაბაშვილისა	13
IV. მზის მოლოდინში ლექსი, დუტუ შერგელისა.	25
V. ღმერთს ყველგან ნახავთ, (თარგმანი) ან. წ—სა	27
VI. ნათლის დება, გ. წყაღტუბელისა	40
VII. ღვაწლი „ივერიის“ მონასტრისა და თორნიკე ერის- თავისა, ი. გოგებაშვილისა	43
VIII. წმიდა ქვეყანა, ი. გოგებაშვილისა.	48
IX. ჩვენი მოძმე, (თარგმანი) ან. წ—სა.	50
X. თამარ მეფის აღზრდა, იაკობ გოგებაშვილისა	56
XI. ფილემონი და ბაუცისი, ა. უუმისთაყელისა	58
XII. გასართობი	61





ჩქვს

საყმაწვილო ნახატიებიანი ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახლი ყანაო..
ო. დ.

№ 1.

წალინად ვეთორგებთ



თბილისი

სტამბა ექვთიმე ივანეს ძე ხელაძისა ლორის-მელიქოვის ქ.

1901

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1-го Января 1901 г.

ჩიტი გუგუზია.



ბაღღებო, კარი გაშიღეთ
თქვენი დედ-მამის ღხენასა,
ღამის გამგუდოს შიმშილმა,
კლიტე დამადოს ენასა.

ჩიტუნია ტეის განღავარ,
სახელათ მქვიან ბზე-წვია;
რადგან წელს შთაში სამთარი
სხვა დროზე ადრე გვეწვია,

რა ღონე გვექონდა, ჩვენს ოჯახს
ძირს უნდა ჩამოეწია;
დაღახვროს ღმერთმა, მიმინო
ზედ გზაზე წამოგვეწია.

დედა-ჩემს კლანჭი დასტაცა,
ცალი ფრთა გაჭკრა მამასა,
ჩვენ ცალკე დაგვაწიოკა,
ნისკარტი დაგვიღამასა.

მაგრამ გაუუსხლტით ბორბტსა,
შევეფარებით თელასა;
ღმერთმა უშეულოს! მშობლურათ,
გულში გვიკრავდა ეველასა.

დიდხანს შიშისგან ზაწია
 გულები გვიფანცქალებდა,
 მაგრამ რა! აქაც თრითინა
 თურმე არ გვითვალთვანლებდა!

—
 ამოგვეზარა ნელ-ნელა,
 როგორც ეშმაკი ძელია,
 დაძმას დამიჭრა უელები,
 მე დაფრჩი მარტო-სელია.

—
 იმ დღიდან ობლათ დაკდივარ
 მარტოდ მარტოკა ეული,
 ვეძებ მესობლის ტოლესა
 არაქათ-გამოლეული.

—
 ვერც ნათესავი ვიპოვნე,
 ვერც ბინა მამისეული,
 სამთარიც ჯიბრში ჩამიდგა,
 აღარ ილევა წყეული!...

—
 ბაღლებო, კარი გაძიდეთ,
 თქვენი დედ-მამის ღსენასა,
 ძეც ჩავერევი თქვენს ღსინში,
 როს ამოვიდგავ ენასა.

შ. მღვიმელი.

ა რ ჩ ი ლ — ბ ა ე ლ ე — უ ლ ა დ ი მ ე რ ი .



ე და მასხარა დიდი მეგობრები ვიყავით, სწორეთ ძალიან დიდი, სანამდის... ერთმა შემთხვევამ სრულიად დასამუდამოთ არ დაგვაშორა ერთმანეთს!...

მაგრამ ეველაფერს დაღაპრებით მოვეუბნებო.

მე ვიყავი ექვსი წლის ვაჟი, მასხარა კი — ექვსი თვის ლეკვი; ამნაირათ მე და იმის შორის დიდი განსხვავებასუფუება, მაგრამ ეს გარემოება სრულიადც ხელს არ უშლიდა ჩვენ მეგობრობას; წინააღმდეგ, ხელსაც უწეობდა მას. მართალი რომ ვთქვამ, მე ბევრათ უფრო მიუვარდა მასხარა, ვიდრე მას მე ვუუვარდი, მე ბევრათ უფრო ვისწრაფოდი მისკენ, ვიდრე ის ჩემსკენ, მაგრამ... რა გაეწეობდა; ალბათ ლეკვებს ისეთი მოსიყვარულე გული არ ხალაქთ, როგორც პატარა ვაჟებს. ეველაფერსე უფრო ის

მაჯაფრებდა და ის შეურაცხოვდა ჩემ თავმოყვარეობას, რომ მასხარას ჩემ ოთახს სამსარეულო ბევრთ ერჩია და გაღებულ კარს დაინახავდა თუ არა—მაშინვე იქით გარბოდა... რითი მიიზიდა ასე მისი გული ჩვენმა მსარეულმა მისაკომ—აქამდისაც ვერ გამოვიცა, ეს კი ვიცი, რომ თუძცა მე ვეელაფერი ტკბილეულობით ვბერავდი, ვეელაფერს, რასაც კი თვითონ მე მაძლევენ, შუასე ვუყოფდი — ის მაინც ეოველთვის სამსარეულოსკენ მიისწრაფოდა, და გამოუთქმელი სიამოვნებით თითქმის მთელ მთელათ ელახავდა სოლმე უმი სორცის დიდ ნაჭრებს, რომლებსაც მისაკო ეოველთვის სტოლ ქვეშ უგდებდა... მაგრამ დიდხანს არ გაუგრძელდებოდა სოლმე ეს ბედნიერება; შევამჩნევდი თუ არა, რომ მასხარა ოთახებში არსად ჩნდა, მაშინვე მეც სამსარეულოსკენ გავექანებოდი და წამსვე მოვართევდი უკან გაქცეულ მეგობარს.

ბევრი წურომა და ვაება გადამხდენია თავსე მასხარას გულისთვის ეველ ჩვენებისგან, მაგრამ მეგობრისთვის რას არ მოითმენს ადამიანი? მეც ვითმენდი და მაინც სულ ოთახებში მუავდა მასხარა, თუძცა ერთი მისი ჩვეულების გამო ის ეველას შემულებული ჭეავდა; რასაც კი რამეს დაინახავდა, ან განსაკუთრებული ფერისას, ან რაიმე სსვა ნაირი მოყვანილობისას — ცდილობდა ის ხელში, ან უკეთ რომ ვთქვათ, კბილებში ეგდო... და რაც უნდა პდ ასი რამ ეოფილიყო, მაშინვე შავ დღეს დაეყენებდაყონი

შავი დღე დააყენა ერთხელ ჩემ ახალ, მატროსულ ქედს, მეორეთ ჩემ დიდ, მეშის ბურთს. დედის საქარგავსე და დეიდა ჩემის საქსოვსე სომ აღარც კი ვლანპარაკობ; უოველ დღე ერთი არეულობა და აურ-საური იყო ჩვენ სახლში, უოველ დღე მასხარა მხიარულათ მიკვინტრიშობდა სოლმე ერთი ოთახიდან მეორეში და იქიდან კიდევ მესამეში ძაფების მორგუებით ჰირში. დედა და დეიდა კი კივილით უკან მისდევდენ... მეც სირბილს დავიწყებდი, ბოლოს, როგორც იქნებოდა, დავიჭერდი მასხარას, მორგვს წაჯართმევდი... მაგრამ გასალახათ კი — მანც არავის ვანებებდი ჩემ მეგობარს, მაშინვე თავსე გადავემხობოდი — და ვერაფერი ძალით იმას ხელიდან ვერ გამოგლეჯადენ სოლმე. ის კი არა, საღამოს, რომ დავწევებოდი, ლოკინშიაც კი ვიწვენდი და, თუძცა რწვილებით სულ გამიფსებდა სოლმე ქვეშაგებს — მანც სრულ ბედნიერათ მხოლოთ მაშინ ვთვლიდი ჩემ თავს, როდესაც ჩემ ბალიშსე, ჩემ ლოყასთან მის თბილ და რბილ ჰატარა ტანს ვგრძნობდი... თუძცა დილაობით ის ჩემ ბალიშსე აღარ დამიფსებებოდა სოლმე, ღამე დედა ჩემი ოთახიდან გამოიყვანდა და მასხარა წინა ჰატარა ოთახში იწვა სოლმე, კუთხეში, თავის ჰატარა, ჰტეველ ბალიშსე.

დღესასწაულები ახლოვდებოდა და მე დიდ სამხადისში ვიყავი; მთელი დღეობით იმაზე ვფიქრობდი, თუ სახალწლოთ რას მაჩუქებდენ; სიამოვნებით ვადევნებდი თვალს

იმ ტებილეულობით სავსე ქაღალდის ჰარკებს, რომლებიც ხან დედას და ხან დეიდას სახლში მოჰქონდათ. აღტაცებით ვესწრებოდი სოლმე გოზინაეის და ალვასასის კეთებასე— მაგრამ მაინც ჩემი უმთავრესი უურადლება ამებისკენ არ იყო მიქცეული, არა, ის სულ იმ ფიქრის გარშემო ტრიალებდა, თუ რას ვნასავდი მე ახალწელიწად დილას ჩემი ლოჯინის გვერდით, სკამზე...

— მასხარა! როგორ გგონია, რას მანუქებენ?— ვკითხავდი სოლმე ჩემ შეგობარს, როცა მე და ის ოთახში მარტო დაფრჩხობდით.

მასხარა მხიარულათ შემომხედავდა სოლმე თავისი რგვალი, ბრწეინვალე შავი თვალებით და მამინვე ან თავისებურათ კვინტრიშს დაიწებდა, ან კუდს ააქიცინებდა, ან და ამ თავის მოკლე, გაბზიკინებულ კუდს კბილებით დაჭერას მოუნდობდა...

ცხადი იყო, მან ჩემზე კიდევ უფრო ნაკლებათ იცოდა, რა საჩუქარს მიმსადებდენ საახალწლოთ... და რაც უფრო და უფრო ახლოვდებოდა ეს ბედნიერი დღე, მით უფრო და უფრო მოუთმენლათ მოველოდი მე მას.

დადგა ახალწლის წინა დღეც. ჩვენსას დიდი ფაციფუცი იყო, ღამე სტუმრები უნდა მოსულიყვენ და ჩვენსას შესვედროდენ ახალწელიწადს. სხობის, როცა სტუმრებს მოელოდენ, მე ყოველთვის აუუტედებოდი სოლმე დედას, ცოტა კვიან დაწვეები, მეც თქვენთან ვიქნებითყო, იმ დღეს

კი ამის თხოვნა არც გამსწვინებია... არა! მე მოცდა არ მინდოდა, მე მინდოდა, რაც შეიძლება ძალე დაეწოლილიყავი, რომ ღამესაც უფრო ძალე გაეარა... ამას გარდა, ისიც ვიცოდი, რომ რაც უფრო ადრე დაეწვებოდი, მით უფრო ადრე დამიდებდნენ სკამზე საჩუქარს... და, ვინ იცის, თუ ცოტა გვიან დამემინებოდა — იქნება იმ საღამოსვე შემეწრო თვალი მისთვის...

მართლაც, ადრე დაეწევი, მასხარაც, რასაკვირველია, ლოგინში ჩავიწვინე. მას მაშინვე ჩაემინა... მეც ორჯელსამჯელ ის იყო სულ დამებატრონა ძილი, მაგრამ, როგორც კი უნდა ჩამეთვლიძა, მაშინვე გავისწვინებოდი, რომ ახლავე საჩუქარს მომიტანდნენ და ფართეთ ვანკლდი თვალებს.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ასე, არ ვიცი სტუმრები ჯერ არ მოსულიყვენ თუ კიდევაც წასულიყვენ, რომ დედა ფეს აკრეფით ჩემ ოთანში შემოვიდა, შუბლზე მკოცა და სკამზე რაღაც დადვა. მე კედლისკენ გადაბრუნებული ვიყავი და თვალებ დასუტულძა სულიც კი გავნახე, მეშინოდა, დედას არ შეემჩნია, რომ არ მეძინა და უკანვე არ წაეღო ძლივს მოტანილი საჩუქარი... მაგრამ დედას არაფერი შეუმჩნევია, ის კი არა, ჩემი ლოგინის დათვალიერება და მასხარას წაეგანაც კი დაავიწვდა.

გულის ძგერით ველოდი მის გასვლას... აი, წავიდა... კარებს მიუხსლოვდა... გავიდა... კარები განხურა... ერთ



წამს კიდევ მოვიცადე, მერე უცებ გადმოვბრუნდი, ლოკინში წამოვჯექი და აღტაცებით თითქმის გავბტერდი; ჩემ წინ, სკამზე, იჯდა დიდი უშველებელი კაცი-დედოფალა, წითელი ტანსაცმელით, დიდი, წკვერტიანი წითელი ქუდით და ვეებერთელა მოკაკული ცხვირით; ისეთი სასაცილო და ისეთი კარგი სახე ჰქონდა, ისე ლამაზათ იჯდა და ისე კოხტათ გამოეძვირა წინ ორივე ხელი, ისე შეენოდა წითელი ტანისამოსი და წკვერტიანი ქუდი—რომ მე სისხრულისაგან აღარ ვიცოდი რა მექნა და ხმა ამოუღებლათ, თითქმის სულმოუთქმელათ შევჩერებოდი დედოფალას...

დიდხანს ვუეურე. მერე ლოკინში ჩავწექი, საბანი კისრამდის წამოვიხურე, მასხარა გულზე მივიკარი—და დასაძინებლათ მოვემზადე, თუცა თვალებს ახლაც ვერ ვაშორებდი მშვენიერ დედოფალას; ისეთი განხრებული ვიყავი, რომ მისი ხელის ხლება არც კი მინდოდა, მე სრული კმაყოფილი ვიყავი მისი ცქერით და მხოლოთ, ერთი აზრი ცოტათი მიწამლავდა ამ ბედნიერ წუთებს; მე არ ვიცოდი, რა სახელი დამერქმია ჩემი ახალი მეგობრისთვის; ეველა სახელებში განსაკუთრებით საძი მომწონდა: არწილი, ჰაველე და ვლადიმერი, მაგრამ ეს საძი—ეველა ერთნაირათ, ვერც ერთ ძათგანს ვერ ვამჯობინებდი... მამ რა დამერქმია? რომელი ამერჩია? უცებ ბედნიერმა აზრმა გამიელვა თავში; გამახსენდა, რომ რამდენიმე დღის წინეთ დედამ მითხრა, საფრანგეთში ერთსა და იმავე კაცს



ან ქალს რამდენიმე სახელს არქმევენ ხოლმეო. თუ კი საფრანგეთში არქმევენ, რატომ ჩვენც არ შეგვიძლია რამდენიმე სახელი დავარქვათ-თქო?—ვიფიქრე მე და იმ წამსვე გადავწევიტე, ჩემი საუბარელი დედოფალსთვის არჩილ-ზავლე-ვლადიმერი დამერქმია. კიდევ დავარქვი... და ამ მძიმე კითხვის გადაწევიტის შემდეგ ტკბილათ ჩავიძინე, ბედნიერმა და კმაყოფილმა იმითი, რომ ჩემი არჩილ-ზავლე-ვლადიმერი გვერდით მიჯდა, მასხარა კი—გულში მყავდა და ჩასუტებული...

სიხშირებიც ტკბილი მესიხმრა... მე და ჩემი ორი მეგობარი სულ ერთათ ვიყავით, საშინლათ გვიყვარდა ერთმანეთი.. არჩილ-ზავლე-ვლადიმერი ხელებს აქნევდა და რაღაცას ლაპარაკობდა სასაცილო, წყრილი ხმით, მასხარა ჩვეულებრივად დაკვინტრიშობდა და თავის კუდს ზირით იჭერდა, მე კი ორივეს ვუუარებდი—და ვიცინოდი, ვიცინოდი, ვიცინოდი...

უცებ ამ სიცილში რაღაც სმაურობა შემოქმემა... თითქო სადღაც ბრუსუნი იყო, ან ვინმე კეკლს თამაშობდა... ცოტ-ცოტა გამოვერკვიე, გამოვუნახილდი... მაგრამ ისე კარგათ ვიყავი ჩათბუნებული ლოგინში, რომ თვალის გასხელაც კი მესარებოდა... და ის სრიგინი, რომელიც ახლად, გამოღვიძებულს, კიდევ უფრო კარგათ მესმოდა, სულ არ ისიდავდა ჩემ ეურადღებას...

უცებ გამახსენდა, რომ ეს დილა—ახალწელიწად დი-

ლა იყო; ამის გასწვრივ და ლოგინსე ცქვიტათ წამო-
 ჯდომა—ერთი იყო; მაშინვე თვალები იქით მივატყვე, სა-
 დაც სკამსე ჩემი ახალი მეგობარი უნდა მჯდარიყო—მა-
 გრამ ის იქ აღარ იყო; სრიგინი კი ოთხში არ წუდებო-
 და; მე ძირს გადმოვიხედე და... ღმერთო ჩემო! მასხარა
 აღტაცებით დაკვინტრიშობდა შუა ოთახში და ორივე წი-
 ნა ფეხებით მხარულად აგორებდა იატაკსე ჩემი საწვავლი
 არჩილ-ზავლე-ვლადიმერის თავს, რომლისთვისაც ნასევარი
 ქუდი კიდევ მოეგლიჯა და გრძელი მოკაკული ცხვირის
 მოეტენა... მთელი ოთახი მოფენილი იყო წითელი ნაჭ-
 რებით, აქა-იქ კი ზოგან დედოფალას ფეხის და ზოგან
 ხელის ნამტვრევები ეყარა...

მე ხმა ძაღლა დავიკვილე და მწარე ქვითინით იქვე
 ჩავეფალი ბალიშებში... იმ დღეს აქეთ მე და მასხარას
 მეგობრობა გათავდა. მას აქეთ აღარ ვუშლიდი სამხარეუ-
 ლოში სირბილს და შეორე დღესვე ის თავის ნებით სულ
 მისაკოსთან გადასახლდა; სძირათ შევდიოდი მას აქეთ მეც
 სამხარეულში, სძირათ გულდაწვევით ვუუბრებდი, რო-
 გორ კვინტრიშობდა იქ მასხარა, როგორ სდეუდა თავის
 კუდს, როგორ ელავავდა მთელ მთელათ უძი ხორცის ნა-
 ჭრებს... მაგრამ ოთახში აღარ მივათრევიდი, მოფერები-
 თაც კი აღარ ვეფერებოდი...

მე არ შექმლო დამევიწეების ჩემი საცოდავი არჩილ-
 ზავლე-ვლადიმერის ისე უდროთ დაღუპვა...

ელ. წერეთელი.



გიორგის საფლავზედ.

I



ამარ ნათელიშვილისა ძრიელ ყმაწვილი დაქვრივდა და მას დარჩა დიდი მამული და ერთად ერთი შვილი გიორგი. გიორგი სუსტი, ფერმკრთალი, ნაზი აგებულობის ბავშვი იყო და მის პატარა გამონაქვთულ პირი სახეს გრძელი წაბლისფერი ხუჭუჭი თმები ამშვენებდნენ; წაბლისფერი გრძელი წამწები უჩრდილებდნენ დიდრონ მშვენიერ გამქვირვალ ცხერის ფერ თვალებს, რომელნიც ყოველთვის

არა ბავშურის დარბაისლობით გამოიყურებოდნენ. თამარი მთელის თავის არსებით, რაღაც გიჟური დედობრივის სიყვარულით შეპყრებდა მთელი დღეობით თავის პატარა გიორგის და მის გარეშე, მის კარგათ ყოფნის და მის მოვლის გარდა ქვეყანაზედ იმისთვის აღარა არსებობდა რა საყურადღებო.

თამარს ქმარი ქლეკით მოუკვდა და ეს გარემოება, ის შიში რომ ბავშვიც მამის ავთამყოფობით არ იყვეს მოწამლულიო, უათასკეცებდა ამ ზრუნვას და ამ სიყვარულს.

— ჩემი გიორგი, იტყოდა ხილმე ის რაღაც სასოებით, აღამიანის შვილი კი არ არის, ანგელოზია, ანგელოზი, რომელზედაც უნდა ვლოცულობდე, ვაქებდე, ვადიდებდე, თაყვანს ეცემდე...

— ქალბატონო, ღმერთს რათ აწყენინებ მაგ გვარი სიტყვებით, აქებენ და ლოცულობენ მხოლოდ ღმერთზედ, საყვედურით

ეტყოდა ხოლმე ბებერი პირთაშუა, გამდელი ჯერ დედის და ახლა შვილისაც.

— ოჰ, პირთაშუა! გიორგი ჩემი სუყველაფერია, სუყველაფერი: ქმარიც, შვილიც, სიცოცხლეც, მზეც და მთვარეც, მე ამის გარეშე ველარაფერს ვნედავ, ველარაფერზედ შემიძლიან ვიფიქრო, ვიზრუნო, ეს რომ არ მყადეს არ ვიცი რა იქნებოდა ჩემი სიცოცხლე, რა ელფერი ედებოდა ჩემ ცხოვრებას? და მართლაც მთელი თავისი დრო გიორგისთვის ჰქონდა შეწირული.

ბავშვის ოთახი წარმოადგენდა ერთ მშვენიერად შემკულ თაიგულს, სადაც ყოველი ნივთი სილამაზის, სიფაქიზის გარდა დედის დიდი ზრუნვით და დაკვირვებით იყო არჩეული: ლამაზი, თეთრი კრაოტი, სპეტაკი თეთრი საბნით გადაფარებული, ფანჯრებზედ თეთრი ფარდები, პოლზედ გაშლილი ძვირფასი ხალიჩა, კედლებზედ ბავშვების ცხოვრებიდან არჩეული სურათები. შუა ოთახში, რგვალ სტოლზედ დალაგებული იყო აუარებელი, ძვირფასის ყდებით და სურათებით შემკული, წიგნები, აქა-იქ ოთახის კუთხეებში გაბნეული ძვირფასი სათამაშოები. კედელთან მიღგმული შეკმაზული უშველებელი ცხენი-სათამაშოა, რომელზედაც გიორგის შხირად უყვარდა სრიალი თავის ფართო, გაკრიალებულ ოთახში, და მრავალი სხვა-და-სხვა საფუფუნო და გასართობი ბავშვისთვის. თითონ თამარი ხომ მთლად მორჩილი მონა იყო ბავშვისა, ხან უკითხავდა, ხან უმღეროდა, ხან მის სასიამოვნო პიესებს უკრავდა ფორტოპიანოზედ და ხან პატარა ბავშვივით მასთან თამაშობდა, თუ იშვიათად დარბაისელი და მუდამ მოწყენილი გიორგი, მოისურვებდა თამაშობას.

— გინდა, გენაცვალე, ეტყოდა თამარი თავის მუდამ მოღრუბლულ ბაღს, თვალ ხუჭუნა ვითამაშოთ? აი მე თვალებს ავიკრავ და შენ აქეთ-იქიდან მირბინე, აბა დაგიქერ, თუ არა. ან გინდა ცხენზედ შეჯგქ, და მე გარბევინებ, ხომ იცი ხალზედ ცხენი რა სასიამოვნოდ დასრიალებს?

გიორგის საულაუკედ

— არა, დედა, მე მირჩევნიან რომ წიგნი წამიკითხო: აი იმ ქვეყანაზედ, სადაც ყოველთვის ზაფხული არის, სადაც ზღვა ზურ-მუხტის ფრად არის გაშლილი და მასში მზე დაუსრულებლივ ათამაშებს თავის ბრწყინვალე სხივებს, სადაც ვარდი მთელ წელიწადს ჰყვავის და სადაც აპელსინის და ლიმონის ტყეებიდან მშვენიერი სულწელება მოდის,

— ოჰ, დიდის სიამოვნებით, ჩემო ანგელოზო, მაგრამ შენ მოძრაობა გინდა, რომ მაღა გაგეხსნას; შენ ისე ცოტასა სჯამ, შენ ისე გამხდარი ხარ! ექიმი კი სულ იმას ამბობს „ქამას მოუმატეთ, მოუმატეთო“. აბა გენაცვალე, რა გაქამო, რა გესურება? აი ნაღები და უცეცხლო თაფლი მირჩიეს ერთმანეთში არეული, რას იტყვი მოგიტანო, ვიამება? ან ვარია მოხრაკული, წვადი მცვრიანი...?

— არა, დედა, არა, მე სრულებით არა მშიან, სრულებით..! მე ამ საქანებელ სკამში ჩაეჯდები, შენ ნელა-ნელა დამარწიე და თან შენი ტკბილი ხმით ნანა მითხარი. მე როგორც ძუძუმწოვარი თვალებს დავხუჭავ.

გიორგი სკამში ჩაჯდა, თამარმა რწევა დაუწყო და მის ნელ-ნელა რყევას ააყოლა თავისი მელოდით სავსე ხმით ქაეჭაეაძის ნანა:

„ჯერ მინამ ხარ ყმაწვილი,
მინამ დრო მოგესწრება,
ისწრაფე, შეილო, ძილი,
ისწრაფე განსვენება!

—
მოვა დრო, გაიზდები,
მკლავი გაგიმაგრდება,
შეილო, ყრმობის სიზმრები
ბრძოლაზედ გაგეცვლებათ.

ნანა, შეილო, ნანინა!

პატარა გიორგი თვალვებ დახუჭული, ბალიშზე მისვენებული გაუნძრევლად სკამში გადაწოლილი ქანაობდა; ეძინა ბავშვს, თუ

ოცნებით იმ საზღაპრო ქვეყანაში იყო გადაფრენილი, რომელზედაც დედა ხშირათ უამბობდა, სადაც ზღვის მოელვარე სარკის მაგვარ პირზედ, ბავშვები თავისუფლათ ნავებით დასრიალობენ და თან ტკბილათ, ნაზათ გალობენ და ღულუნებენ, თამარი ვერ ამხნევდა. დედა მხოლოდ დაშტერებით უყურებდა შეილის ფერმკრთალ ლოყებს, მის გრძელ წამწებებით დაფარულ ივალებს და თავის შეუნიშნავედ, ცრემლს ცრემლზედ აფრქვევდა.

ასე ოთახის ყვავილივით იზრდებოდა პატარა გიორგი თავის დედის გადაქარბებულ მზრუნველობის ქვეშ და თუ რა ხდებოდა მის ოთახს გარეშე, იმან არ იცოდა: ზაფხულის მზე რა რიგ სწევდა და ამაგრებდა სხეულს, რა რიგ ატკობდა სიცოცხლეს შემოდგომის თბილი ჰაერი და მისი სავსე უბე-კალთა ყოველი ღვთის მოწყალებით, რა რიგ ამხნევებდა და ამოძრავებდა ზამთრის ყინვები, რა რიგ იმედებით ავსებდა უკეთესის მომავალზედ გაზაფხული ადამიანს, გიორგიმ არ იცოდა და არც არავინ ამაზედ ატყობინებდა რასმე.

— ქალბატონო, ნება მიეცე გიორგის კვერზედ დაუდგეს, ეუბნებოდა პირთამზე თავის გაზდილს. დეე მზის სხივები დაინახოს, რაზედ ახვევ ჩუბჩინში, მერწმუნე, მხოლოდ მზე-და აუწითლებს მაგას დატეტკილ ლოყებს!

— ოჰ, რას ამბობ, ადამიანო, შემკრთალი შეჰკვივლებდა ხოლმე თამარი, — სოფელში ათასი ავადმყოფობაა გავრცელებული, რომ შეეყაროს? რაღა ვქნა! რაღა მეშველება!

— ავადმყოფობა, ქალბატონო, ღვთის ნაბოძებია და ვისაც კარს მიაღებდა იმას ვერავინ დაეძალება. ის-კი სჯობია რომ შესაყარს ბავშვი გამაგრებული, ჰაერისგან გაკირკაფებული დაუზნდეს. ვაჟია, უნდა ლომ-კაჟი გამოვიდეს-და შენ-კი მზეთ-უნახავივით ზრდი, დალოცვილო!

— მეცა ვგრძნობ, მეც მენატრება რომ ჩემი პატარა გიორგე-ლა ლომ-კაჟი გამოვიდეს, ჩემო პირთა-მზე, მაგრამ მეშინიან: ეს



ისეთი ნაზია, ისეთი სათუთია, ჰეროვანი! რომ გამიცვიდეს... რომ დაილალოს... გაიტანოს რამემ!

II

გიორგი რვა წლისა გახდა. დრო იყო სწავლის დაწყებისა. თამარმა დიდის ფიქრის და ლამეების თევის შემდეგ, გადასწყვიტა მასწავლებელი მოეწვია. გიორგის ქალაქში გაგზავნა ექიმის რჩევით ვერ გაბედა და ერთ თავის მეგობარ ქალს, რომელიც ქალაქში სცხოვრებდა და ბევრი შეიღები ჰყავდა, როგორც გამოცდილს, დაავალა მასწავლებლის არჩევა და გამოგზავნა.

ენკენისთვის გასული იყო, ს. ნათელანთ კარი, თავისის ათასფეროვანის შემოდგომის აქრელებულის სამოსლით, ძვირფას წალწოტს წააგავდა. ჰაერიც თავისის ზომიერებით, ზაფხულის მწვავე სიცხეების შემდეგ, სწორედ რომ შესაფერი იყო გარემოცულის მშვენიერის ბუნებისა. გარშემო მოსახლე გლენკაცობა სიხარულის ზრიამულით ეშურებოდა ღვთისგნით მონიქებულის აუარებულის მოსავლის ჩალაგებას: სიმინდი, ფეტვი, ხილი, ყურძენი, სულ ზედიზედ იყო მოწეული და აღლევებული მცხოვრებნი სიხარულთან ერთად დიდ გასაქირში და ფაცა ფუცში იყვნენ; აქა-იქ მხიარულ სიმღერასთან მოისმოდა ყვირილი და სასტიკი მბრძანებლობა უფროსებისა, სიმხიარულისაგან გალაზღანდარებულ უნცროსებზედ.

სოფლის თავში, ფართო და მაღლობ მოედანზედ, კოხტად წამომდგარი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი თამარისა, კეკლუცათ იყო შებურვილი აუარებელის ხეხილის ხეებით და სახლის წინ გადაშლილი ეზო აქრელებული შემოდგომის ათასფეროვანი ყვავილების ბუჩქებ-ბალახით. სახლის განიერ ბალკონზედ ჩამავალი მზე უხვად ჰფენდა თავის ნაზ სხივებს და მხიარულად თამაშობდა გიორგის წაბლისფერ კულულებზედ, ის თავის მოქანავე სკამში იყო გადაწოლილი და თვალე მკარუტული გადაჰყურებდა წინ

597

გაშლილ, თვალ-გაღუწედნელ მშვენიერ სურათს. მის გვერდით განუშორებელი თამარი იჯდა და ჩვეულებრივ თავის ბაღლის რაღაც არა ქვეყნიურ შუქით საესე თვალებს ჩასცქეროდა.

— დედა, ნეტა როგორი იქნება ის ქალი, რომელმაც უნდა გემნაზიისთვის მომამზადოს? შეეკითხა პატარა დედას.

— მეც ეხლა სწორეთ მაგაზე ვფიქრობდი, ჩემო ანგელოზო, საჩქაროდ მიუგო დედამ. ჩემის აზრით, ის უნდა იყვეს ჰკვიანი, დარბაისელი, კარგათ მცოდნე ყოველი საგნისა, რომელიც უნდა შეგასწავლოს და მასთან ზრდილი, სასიამოვნო, რომ ჩემ პატარა სულდგმას თავი არ მოაბეზროს!

— მე მინდა, რომ ის ლამაზიც იყვეს, ჰირვეულათ სთქვა გიორგიმ. ისეთი ლამაზი როგორც იმ წიგნშია დახატული, იმ დღეს რომ მაჩუქე და ისეთი კეთილიც, როგორც დედა ჩემი თამარია!

— ღმერთმა ჰქნას, გენაცვალე, რომ იმაში მოიპოვებოდეს ყოველგვარი ღირსება, რომ ჩემ მშვენიერს გამოადგეს და რაც დედამ უცოდინარობით დააკლო, იმან შეუსრულოს, ასიამოვნოს.

— ქალბატონო, სტანციიდან ვილაც ქალი გაიხლათ და თქვენ ნახეას ნდომობს! მოწიწებით მოახსენა თამარს მოსამსახურემ.

— ნუ თუ მასწავლებელია! შეჰკვივლეს ერთათ დედა-შვილმა და ორთავეს გული აუკანკალდათ, ორთავესთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალ მასწავლებელს და ორივენი შიშით მოელოდნენ იმის აე-კარგიანობის შეტყობასა.

პატარა ხანს უკან ბალკონზედ ამოვიდა მაღალი, კარგათ ჩასხმული, შუახნის მანდილოსანი, ძალზედ გაქადარებულის თმით და დედა-შვილს მოღიპარის სახით თავი დაუკრა და აცნობა თავის ვინაობა.

— კარგია გაგიბედნიათ სოფლათ წამოსვლა? ზრდილობიანად შეეკითხა თამარი სტუმარს. აქ თქვენ მოგელით სიმარტოვე და ყოველგვარ დროების გასატარებელ სიამოვნებას მოკლებული იქნებით. თქვენ მუდმივ საზოგადოებას შევადგენთ მხოლოთ მე და



ჩემი გიორგი, რომლის ხელმძღვანელობა დღეიდან თქვენ უნდა ჩაიბაროთ, იმ პირობით-კი, დაუმატა სიცილით თამარმა, რომ მეც მასთან განუშორებელი უნდა ვიყვე.

— იმედი მაქვს, ტკბილის ღიმილით, რომელიც მარიამ სვიმონი შვილის ქვრივის ერთად-ერთ მშვენიერებას და ლაზაროს შეადგენდა, რომ ჩვენ სამნივე შევადგენთ ერთ მაგარ კავშირს მეგობრობისას და მხოლოდ ერთმანეთის დახმარებით რიგიანათ წავეყვანთ საქმეს, არა ბ-ნო გიორგი?— ხომ პირობას მაძლევთ მეგობრობისას?

ლაპარაკში იმდენი სისადავე, რიგიანობა და რწმენა იხატებოდა, რომ დედაც და შვილიც აღტაცებული დარჩნენ და ისე გაერთვნენ ლაპარაკში, რომ დაბინდება ვერ შენიშნეს. — რაც შეეხება სოფელში მარტოობას, მე სწორე მოგახსენოთ, სახლში მასწავლებლათ წამოსვლა, მხოლოდ მაგ გარემოებამ მაკისრებინა. მე ჩემი საკუთარი სკოლა მქონდა, ცოტათ, თუ ბევრათ დამოუკიდებელი ცხოვრება, მაგრამ დავიღალე, ცხოვრების ერთფეროვანობა მომწყინდა, მთელი ჩემი სიცოცხლე ქალაქში გავატარე და იქაც დიდი სანუგეშო ვერა ვიპოვე-რა. ახლა მინდა სოფელს დავუკვირდე, გავშინჯო, შევისწავლო მისი ავი და კარგი და თუ შეიძლება კიდევ დავეხმარო, თუ ცარიელის ხელით და დიდის სურვილით, დახმარება რისამე შეიძლება.

— დედა, როგორღაც მცივა, წასჩურჩულა გიორგიმ დედას, ოთახში შევიდეთ.

— ვაიმე! გცივა? შეჰყვირა გულგანთქილმა თამარმა და საჩქაროთ ბავშვს ხელი წიაველო და ოთახში შეარბევინა.

III

გიორგის ციება დააწყებინა. თუმცა მეორე დღესვე ქალაქიდან ექიმი ამოიყვანეს, მაგრამ მისი განკურნება შეუძლებელი შეიქნა: გიორგი ყოველ დღე უფრო და უფრო სუსტდებოდა და ერთი

კვირის განმავლობაში ლოგინიდან ველარტ-კი დგებოდა; სვიმონიშვილის ცოლს სწავლის მაგივრად იმისი მოვლა დასჭირდა და საქებურადაც ასრულებდა ამ ახალს, მოულოდნელ მოვალეობას. თამარი შვილის ავადმყოფობამ მთლათ მოადუნა და ისედაც თავგანწირული დედა, შვილის მონათ ქცეული დედაკაცი, სულ დაუძღურდა. ის მთელი დღეობით მოკუნტული იჯდა გიორგის ლოგინთან ღრმა კრესლოში და ჩუმათ, უსიტყვოთ გულჩათხრობილი შეჰყურებდა პირში ძვირფას ავადმყოფს. არავითარი აზრი, არავითარი მოქმედება აღარ შეეძლო იმის მწუხარებით განადგურებულ არსებას.

სვიმონიშვილისას გონიერ და გამჭრიახ მოქმედებასთან, კეთილი და ლომობიერი გულიც ხელს უწყობდა, რომ მის გარშემო ხალხს ის ეწამებინათ სახლის მეთაურათ და როგორც მეტიჩარა, აბუჩად არ აეგლოთ

— მასწავლებლო, მოწიწებით ეკითხებოდა პირთამზე მარიამს, რა მდგომარობაშია ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება გიორგი? ნუ თუ საშველი აღარ არის? და დარწმუნებული იყო, რომ იმისაგან ნამდვილ პასუხს მიიღებდა.

— დიახ, ერთგულო გამდგლო, უნდა გულახდილად გითხრა, რომ იმედი ძლიერ ცოტაზედ-ლა ჰკიდა. თქვენი ექიმი ამბობს და მეც კარგათ მესმის, რომ გიორგი მემკვიდრეობითის სიკლექის მსხვერპლია და მისი გადარჩენა თითქმის შეუძლებელია. ექიმს ერთი საშუალება-ლა აქვს გამოსაცდელი და ის უნდა თამარს ურჩიოს, რასაც ის უეჭველად მაშინვე ასრულებს და ამისათვის, ჩემო პირთამზე, საჭიროა რომ შენ დიდიხნის ზგზავრობისთვის მოემზადო. ოჯახი რიგიან კაცს უნდა ჩავაბაროთ და შენც უთუოთ თან უნდა გაჰყვე, შენ ქალბატონს ბევრათ მეტი პატრონობა სჭირია ვიდრე თვით ავადმყოფს.

— მართლა რომ ქალბატონია სატირელი, ქალბატონი! ქვითინით სთქვა პირთამზემ და ორივე ხელები თავში შემოიკრა. განა

მაგისთანა დედა შვილის სიკვდილს გადაიტანს?! განა მაგვარი თაყვანისცემა, როგორც ჩემმა თამარმა თავის შვილს შესწირა, მოსაწველებელია. ვაი მე ვაგლახს, მაშ ორივე გაზდილი უნდა ვეტიროვ?!

— სუ, სუ! ჩემო კარგო! შენ ეხლა ისე უნდა მოიქცე, როგორც მოსიყვარულეს და ერთგულს შეეფერება და თამარს არ აგრძნობინო, რომ უბედურება აგრე მოახლოვებულია! გულჩვილობით დაუყვავა ატირებულ პირთა-მზეს მარიამმა. აი ექიმებიც მოდიან, ვნახოთ რას იტყვიან სანუგეშოს და საჩქაროდ გაეგება უკანასკნელი რჩევისთვის მოსულ ექიმებს.

თამარი ალტაცებით მიეგება ექიმების გადაწყვეტილებას, რომ გიორგი სუხუმში წაეყვანა ჰაერის გამოსაცვლელად.—იქ მშვენიერი, თბილი, მყუდრო, სინესტით გაჟღენთილი ჰაერია, ზღვის ჰავა და სუხუმის წყნარი, გაზაფხულივით გაფურჩქევილი მიდამო გამოაბრუნებს თქვენ პატარას, ალერსიანად ეუბნებოდა ყმაწვილი ექიმი მის თვალღებში შიშით შემაყურალ თამარს.—ეცადეთ მხოლოდ არ გაცივდეს, მადა როგორმე მოემატოს და ღმერთი მოწყალეა!

— დიად, ღმერთია მოწყალე, ღმერთი! გაიმეორა რჩევისთვის მოწვეულმა ხანში შესულმა და გამოცდილმა ექიმმაც და გზას გაუღდა.

IV

ნათელადიანი საჩქაროთ მოემზადნენ ზღვის პირას წასასვლელათ. თამარს გული იმედებით აევსო, ის თითქო გამოცოცხლდა და წასასვლელ ფაცა-ფუცს შეუდგა. სვიმონიშვილისას უნდოდა გამოსთხოვებოდა თამარს და თბილისში დაბრუნებულიყო, მაგრამ თამარი გადაეხვია და მღულარებით შეევედრა:—ნუ, ჩემო კარგო, ჩემო დედათ საგულეებლო ბატონო, ნუ მიმატოვებ ამ გაჭირვების დროს. შენც ჩვენთან წამოდი და გიორგის გართობა—მოვლასში დამეხმარე.

— დიახ, ბატონო მარიამ, წყნარის ღიმილით შეხედა მასწა-

ვლებელს გიორგიმაც, ნუ მიგვატოვებთ, დედას რალაც დაემართა, მე აღარ მელაპარაკება და თუ თქვენც გაიქცევით, რალა მეშველება: ვინ ამიხსნის, ვინ მიჩვენებს მშენიერ სუხუმის არე მარეს? ზღვის პირას თურმეა გაშენებული ქალაქი და მე უნახავათაც გაგეებული ვარ მისთვის და იქ ეინლა გამიყვანს ზღვის პირას, თუ თქვენ არა? თქვენი ლონიერი მკლავები თუ არ შემიმავგრებენ, მე ხომ ფეხზედაც ველარ ვსდგები. ვინ მიაბობს ზღვაზედ მოგზაურების გაჭირებისა და დაღბინების ამბებს...?

— უთქვენოთ, მე ნაბიჯსაც ვერ გადავდგამ, დაუმატა თამარმა ხეყნით. ღმერთმა მომანიჭა თქვენი თავი ამ გაჭირების დროს სანუგეშოთ და განა გაგიშვებთ! არა, არა ეგ შეუძლებელია!

მეტი რა გზა იყო, მარიამი დარჩა, მით უმეტეს რომ თითონაც ჰგრძნობდა როგორ სულით და გულით შეუერთდა ამ პატიოსან ხალხს და თავის დახმარებასაც საჭიროდ და აუცილებლად სთვლიდა მათთვის.

ცივი სუსხიანი გიორგობისთვის დამდეგი იყო, როდესაც ნათელაძიანთ ოჯახი გაემგზავრა რკინის გზით სუხუმისაკენ. ბუნება მთლად მოხრუშული იყო, ტყე და ველი შავს ღრუბელს მოეცვა, ქარი ბაიყუშივით ზუზუნებდა, ჟინჟლიანი ჰაერი ძვალსა და რბილში უჯდებოდა აღამიანს და ისედაც სევდით მოცულ თამარის გულს, უფრო ასევდიანებდა.

ბათუმში მხოლოდ ერთი ღამე გაათიეს. მეორე დღიას აღრიანათ ჩასხდენ გემში და რამდენიმე საათის შემდეგ მიუახლოვდნენ სუხუმს, ქალაქი მთლათ მწვანეში იყო გახვეული: სახლები ეკლესიები და სხვა-და-სხვა შენობები მორცხვი პატარძალივით გამოიყურებოდნენ თავის მწვანე ძვირფასის სამოსლიდგან.

თუმცა აქაც ბურუსიანი დღე იყო, მაგრამ ქართლის მკაცრი სიცივის მაგივრათ, თბილი სიო უბერავდა და ზღვის ორთქლით გაჟღენთილი ჰაერი კაცს სუნთქვას უადვილებდა. გარშემო მიდამო გაზაფხულებრივ ჰყვავოდა, ვარდის ბუჩქები აუარებელის კოკ-

რებით იყო დატვირთული, ბახჩები მოსხმულის ფართოხალის და ლიმონის ხეებით იყვნენ შეკაზმულნი და ქალაქის შორიანლო გორაკებზედ შეფენილი ტყე ისევ ხალასი მწვანით იყო შემოსილი. დაგივლ და დაკრიალებულ ქუჩებში აუარებელი ხალხი დასიერობდა, მხოლოდ მათ შუა მოსიარულე შრავალი ავანტყოფი, ახდენდა მომსვლელებზედ ცუდს შთაბეჭდილებას.

ზღვის თვალ გადუწვდენელმა ფართომ, რომელიც ვერცხლგბრივ გადაქიმულიყო, უნძრევლად, აუღლეღებრივ, გაყუჩებულმა, დასუსტებული და ძილათ მივარდნილი გიორგი გამოაფხიზლა. ის ყოჩაღათ წამოჯდა ეკიპაჟში და მხიარულათ ტაში გამოჰკრა:—დედა, დედა! აი ზღვა, ის ზღვა, რომელიც მე ყოველთვის თვალ წინ მესახებოდა, რომლის ნახეაც მენატრებოდა და რომლის სიმშენიერე და სიდიადე მხოლოდ ეხლა შემძლიან წარმოვიდგინო სინამდვილითა!

— მიმიყვანეთ მის ნაპირას, მინდა ხელი ჩაეყო იმის წყალში, ნუ თუ მაგაშიაც ისეთივე წყალია, როგორც ჩვენ ნათლიანში?

გიორგის სურვილი აუსრულეს, მაგრამ ახლო ზღვა სულ სხვას წარმოადგენდა, იმის ტალღები, შორიდან შეუნიშნაენი, ახლო ის, მძლავრად ეჯახებოდნენ კიდევებს და ისეთ ხმას სცემდნენ თავის შეუწყვეტავი ტლაშა-ტლუშით, თითქო უზარმაზარი ვეშაპი გრგვინავს და ფშვინავსო. გიორგიმ უსამზღვრო შიში იგრძნო ამ დიადი მოვლენის დანახვით და საჩქაროთ უკან გამობრუნდა.—ოჰ, რა საშინელი ყოფილა, რა დაუდებარი და მე კი ნიავექარივით წყნარი და მშვიდი მეგონა, მე კი შინდოდა იმის წყალში ხელეები ჩამეყო, მექყაბუნა...

— არა, არა! წამიყვანეთ, მეშინიან ზღვისა, მეშინიან, ეგ აგრე დიდი და მე ასე პატარა, მეშინიან არ შემიტაცოს და თავის ტალღებით კიდევებზედ არ მიმაქყლიტოს, ისევ შორიდან ვუყურებ, ისევ შორიდან დავტკებები მაგის სიმშენიერით...

პირველში ჰაერის შეცვლამ, ზღვის და ხმელეთის მომხიბლავ-

მა მხატვრობამ, თითქო გამოაბრუნეს გიორგი, ხშირათ ჰაერზედ ყოფნამ მაღაც გაუღვიძა, მაგრამ მისი დაიარაღებული ფილტვებისთვის ძრიელ ცოტა მიზეზი იყო საჭირო ხელმეორედ დაავადებისათვის და პირველმა მოულოდნელად ავარდნილმა სიომ, ის მთლიათ მოშალა, სიციხე მისცა და ისევ ლოგინად ჩააგდო. ორი კვირის შემდეგ იქაურმა ექიმმაც მისი სიცოცხლის უიმედობა გამოუცხადა სვიმონი-შვილისას, რომელიც ნათელაძიანთთვის მართლა რომ მფარველ ანგელოზად გამოცხადდა; იმისი დამჯდარი ხასიათი, იმისი სწრაფი მოსაზრება, კეთილ ღმობიერი გული თითქო ღმერთს იმისთვის გაეჩინა, რომ დავრდომილთათვის ყური ეგდო და უნუგეშოთათვის ნუგეში ეცა. მარიამმა ტკბილი აღერსით, ნაზის და წრფელის დედაშვილურის სათნოებით, მოამზადა თამარი ამ საშინელის, მაგრამ აუცილებელის ამბისათვის და სულზედ მიმდგარი პატარა გიორგი ისევ თავის სახლში წამოიყვანეს. ვერ უშეგლა მის ბუნებით სწულად გაჩენილ არსებას ვერც თბილმა ჰაერმა, ვერც იმის სასოებათ გადაქცეულმა სურვილმა—ზღვის ხილვამ, ვერც მარიამის ტკბილმა, მშვენიერათ დასურათებულმა ზღვაზედ მოგზაურთა ამბებმა, ვერც სუხუმის მომხიბლავმა გარემოცულმა ბუნებამა, ვერც თავგანწირულმა შეუდარებელმა დედის მოვლა-აღერსმა.

კბ. კაბაშვილი.

(დასასრული შემდეგ)



მზის მოლოდინში

შვილი.

ღეს კარგათავარ, დედილო,
 შენიჭირიმე, ავდგები;
 სისუსტეს სულაც აღარ ვგრძნობ,
 ფეხსე უჩინაღათ დავდგები!

დედა.

მოიცა, შეილო, ჯერ კიდევ
 ეინება, გამიცვიფლები,
 მზე ამოიწვეს, ფანჯარას
 მოადგებიან სსიეები
 და მაშინ, როცა ოთახში
 ცოტათი მანც დათება,
 რადგან აგრე კსურს, ადექი,
 დედა შენ დაგენაცვლებს!

შვილი.

ღღეს არცაგი იქნეს ეგებ მზე
 და მე სულ ასე ვეგდები?..
 დმერთმანი, საშინლათ მტკივა
 ამდენი წოლით გვერდები!



დედა.

რა ვენა, რომ ცივა ძალიან
 და ფიხსიც არ მოგვეპევა?...
 უნდა ველოდოთ, ვიდრე მდის
 მზის სხივი შემოგვეწევა!

შვილი.

მაშ, დმერთს ვსთხოვ, დედა, რომ
 დღეს მსეს
 ღრუბლებს ნუ დააჩრდილვინებს
 და ჩვენი ცივი ოთახი
 გაათბობინოს მის სხივებს!

დედა.

ჰო, შვილო, სთხოვე!...
 და ბავშვიც
 მსურვალეთ დმერთს ვეკვდრება,
 რომ აღმოებრწეინდეს ძალე მსე...
 დმერთო, უსმინე ვეკვდრება!...

დურუ შგრელო



ღმერთის ყველგან ნახაუთ

თარგმანი

(ხუმერული ცხოვრებიდან).




ენცი ცხოვრობდა მუდამ ტყეში. ამისი ხელობა ის იყო, რომ ფისს აცლიდა ხეებს, აგროვებდა და ჰყიდა. ეს ტყეში დაბადებულიყო აქ გაეტარებინა ორმოცი წელიწადი, მაგრამ ნათქვამი რომ არის: „ღმერთს ყველგან ნახაუთ“ ლენცს თავის სი-

კოცხლეში ღმერთი ტყეში არც ერთხელ არ ენახა.
შიგ შუაგულ ტყეში იღგა ფისის მომგროვებელი ლენცის პატარა სახლი, ბუჩქებით და დიდრონი ხეებით გარს შემორტყმული. ქობი თითქოს აპირებდა მიწაში ჩაძვრენას და ამიტომ ოთახები სიბნელით მოცული იყო.

ოც-და-ათ წლამდის ლენცზე ამბობდენ: ღარიბი ბიჭიაო, როდესაც კოლი შეირთო, მაშინ-კი უძახდენ: ღარიბი კაციაო.

მისი მამა ამაზე ცოტა უკეთესათ ცხოვრობდა. ის იყო ტყის მცველათ და ტყის სიმდიდრიდან შეიღწა დაუტოვა ხელობათ მხოლოდ ფისის მოგროვება. მაგრამ ლენცი მაინც შიმშილით არა კედებოდა. საზოგადოთ ფისის მომგროვებლები ახალგაზდა ბიჭები, როდესაც ხეებიდან აგროვებენ ფისს მხიარულათ დამღერიან ხოლმე, ფისსაც კი ფასათ ასაღებენ. რასაკვირველია ამ ხელობით შეუძლიან თავის შენახვა მხოლოდ უცოლ-შვილო კაცს და აბა ლენცი, რომელსაც შეილიცა ჰყავდა—რას გააწყობდა.

ნაცნობები ლენცს სულელათ თვლიდენ, რომ მან კოლი შეირთო.



— ცოტა მათხოვრები არიან ქვეყანაზე რომ არ მიუმატო კიდევ! ეუბნებოდა ყველა. ლენცს აჯავრებდა ძალიან ამ გვარი სიტყვები.

მისი სიყვარული, ნუგეში, რწმენა და იმედი ცოლ-შვილი იყო. თვითონ საკუთრება არა ჰქონდა, მათხოვარა იყო; განა არა გრძნობდა რომ სხვის საკუთრებას ჰკიდებდა ხელს, როცა ტყეში ჩაირკობდა ხოლმე მწვანე ტოტს ქუდში? განა ის ქონი, რომელშიაც ცხოვრობდა სხვის მიწაზე არ იდგა? ეგ ხომ ბატონ გალგემის მიწა იყო, თვით მასალა, რითაც ქონი იყო აშენებული—ბნ გალგემის ტყიდან არ იყო გამოტანილი? მისი საკუთრება მხოლოდ მისი ცოლ-შვილია. ერთხელ ბ-ნი გალგემი ნადირობის დროს ტყეში შეხვდა ლენცს და რალაც უხიაკი სიტყვა უთხრა. რა ვუყოთ, რომ უთხრა! ის ტყის პატრონია და მდიდარი, მაგრამ ლენცმა არ მოუთმინა და ბევრი მკვახე სიტყვები მიაყარა; ერთი კი დაავიწყდა, რომ თვითონ ღარიბია, უნდა ყოველთვის მოწიწებით თავს უკრავდეს თავის მდიდარ ბატონს,— რადგან იმისი ლუკმით ცხოვრობს. ამის შედეგი ის იყო, რომ ერთ შევნიერ დილას ლენცს მოუეიდა ვეებერთელა ქალადი. თვითონ ლენცმა არ იცოდა კითხვა, მის ცოლს-კი შესწავლილი ჰქონდა წეწერა-კითხვა. ლენცმა დიდი ვაი-ვაგლახით გახსნა წერალი—რადგან ფისიან ხელგზს ეკერებოდა ქალადი.

— მოდი, დედაკაცო, წაიკითხე აქ რა სწერია!

აი რა ეწერა ქალადლში:

„აკესელის ტყეში. ლორენც გაკბერტს: გიბრძანებთ, რომ დღის იქით ნება არა გაქვთ ხეებზე ფისს ხელი ახლოთ, ეს საჭიროა ტყის დასაცველათ. ვინც ამ ბრძანებას არ შეიწყნარებს კანონის ძალით დაისჯება.“

ამას გწერთ უფროსი ტყის მცველი ბ-ნ გალგემის მონდობილობით.“

— სულ ეს არის, თქვა ლანცმა, როცა ცოლმა გაათავა კითხვა,—ამისთვის ღირდა ამოდენა ქალადლის დახარჯვა?

ლენცმა ჩაიწყო ჯიბებში ხელები, გასწია ტყეში ბუტბუტით:



ფისს ხელს ნულარ ახლებთო! ეს საჭიროა ტყის დასაცველათო, მგონი ასე ეწერა ქალაქში ბრძანების გაცემა-კი კარგათ იციან! განა მე-კი არ ვიცევე ტყეს! აი ის მაღალი, დიდი ტყე, განა იქ-კი არ ვაგროვდით ფისს, რათ გაიზარდა ასე მაღალი! ახლა გამოჩნდა, რომ ფისის ჩამოფხეკა ხეებიდან ავნებს მას. დასწყევლოს ღმერთმა, ახლა რაღა მეშველება, რითი შევინახო ცოლ-შვილი?

ლენცი ტყეში რა ხელობას ისწავლიდა თუ არ ბალახის ფესვების გლგჯას! უბედური, მთელი დღე დახეტილობდა ტყეში, სალაპოზე დაბრუნდა სახლში ნაღვლიანი, დაღვრემილი. ჩვეულებრივ მისი პატარა ქალი მაგდა მიეგება და ალერსით ჰკითხა: „ტყეში ირმები როგორ არიანო“. მამამ გაჯავრებით ხელი ჰკრა. ირმის მოგონებაზე ლენცს თავში გაურბინა რაღაც აზრმა, კედლიდან ჩამოიღო ძველებური ერთ-ლულიანი თოფი და წავიდა ისევ ტყეში. უცბათ ის შეხვდა შვენიერ დიდრონ რქიან ირემს, რომელიც არხენათ ამისკენ მოდიოდა. ლენცმა ის იყო დაუმივნა თოფი, იმ დროს უცბათ შეამჩნია ხეზე ამოჭრილი გული და მას ზემოთ ჯვარი. ეს იყო მისი მამის ნიშანი, რომელსაც მოხუცებული უკეთებდა ყველა თავის ნაამაგარ ხეებს. მოიგონა ლენცმა მამა, ისიც ღარიბი იყო, მაგრამ თავის დღეში უპატროსნოთ არ მოქცეულა და თოფი ხელიდან გავარდა, ირემი სწრაფათ დაეშვა მინდვრისკენ. მართალია ამას ცოლ-შვილი ჰყავს შესანახავი, თუ არაფერს არ მიაწოდებს შიმშილით დაიხოცებიან, მაგრამ, ღვთის მაღლით, ბალახის ძირები ხომ ბლომათ არის ტყეში.

ლენცს ამ გვარი ცხოვრების სახსარიც მალე მოესპო, მწყემსებმა რობა შეჰკრეს და უჩივლეს, რომ ის ბალახს ფესვებიანათ გლგჯს და აფუტებსო. მას აქვთ ლენცს აუკრძალეს ბალახის ხელის ხლება. საბრალო უგზო-უკლოთ დახეტებოდა ტყეში და არ იცოდა რა ექნა. ამ დროს ხშირათ ვიღაც ჩასჩურჩულებდა ყურში: „შენც ხომ ადამიანი ხარ, გინდა ცხოვრება, ცოლ-შვილს ხომ არ მოჰკლამ შიმ-

შილით, არც ბატონ გალგეის და არც სხვებს, ტყეში გამვლელ-
გამომვლელს, ნება არა აქვთ შიმშილით მოგკლან შენ!“

— თავი დამანებეთ! დაიყვირებდა ამ დროს ლენცი და ჰაერ-
ში მუშტებს უღერებდა იმ ვილაცას.— მე პატიოსანი კაცი ვარ და
ჩემ სიცოცხლეში დავრჩები პატიოსან კაცათ!

ლენცს საშინლათ უყვარდა თამბაქოს წვევა, ეს იყუ ერთათ
ერთი ჯილდო მძიმე შრომის შემდეგ. ახლა თამბაქოს ფული აღა-
რა ჰქონდა და ფისს ფოთლებზე უსვამდა და იმას სწევდა თამბა-
ქოს მაგიერათ. ბოლოს ისე შეეჩვია ამას, რომ უკვირდა ღარიბები
რალათ ყიდულობენ თამბაქოს, როდესაც იმათაც ასე შეუძლიანთ
ფის გაგლეხილი ფოთლები მოსწიონ.

მისი მაგდა ქვიანი გოგონა იყო, მეშვიდე წელიწადში იდგა,
დამჯერი და მშვიდობიანი ხასიათისა და იმედი ჰქონდა, რომ შობა
დღეს ქრისტე ღმერთი უსათუოთ დაასაჩუქრებდა მას. დედ-მამა მწა-
რეთ იღიმებოდა ამის ტიკტიკს რომ ყურს უგდებდა. მართალია
ლენცმა ვაი-ვაგლახით იშოვა ერთი შაქრის პური და რამდენიმე
ვაშლი, რომ შვილი გაემხიარულებინა შობა დღეს, მაგრამ პატარა
ნაძვის ხე და ანთებული სანთელი ყმაწვილს ყველაფერს ერჩინა.
ამას აღრეც იყო დაჩვეული და ახლაც გულის ფანცქალით მოე-
ლოდა.

შობის წინა დღეს ლენცი მთელ დღეს სახლში არ მისულა,
სულ ტყეში დახეტიალობდა. გაყინული დედა-მიწა ქვასავით მაგა-
რი იყო და ქირხლ მოკიდებულს ფეხქვეშ ხაშა-ხეში გაჰქონდა,
ხეების ტოტებს მძიმეთ დაეხარათ თავები. ლენცი დახეტიალებდა
ამ აუარებელ ხეებთა შორის. ერთ წამს შედგა ერთ პატარა
ნაძვის ხესთან.

— აი, ეს რა კარგათ გამომადგება! ეუბნება ლენცი თავის თავს
ჩურჩულით,— შეიძლება-კი რომ მოვქრა? მგონი რომ არ შეიძლე-
ბა... მაგრამ მე რა შუაში ვარ, პატარა ქრისტე მგზავნის მე, ის
პატარა ქრისტე, რომელმაც გაზარდა ეს შვენიერი ხშირი ტყე.

ღმერთს ვეკვლებან ნახავთ

ცხონებულ მამა ჩემს ათი და ათასი ხეები ჩაურგავს, გაუზრდია, —და განა მე ცუდ რაშეს ჩაივინდენ, რომ ერთათ ერთი ხე მოვჭრა ჩემი პატარა საყვარელი ქალისთვის, მაგდასთვის.

საჩქაროთ ამოიღო ჯიბიდან დანა, უცბათ გადასჭრა. საბრალო ნაძვის ხე გადავარდა. ამ დროს მოისმა ვილაცის უკმეხი გინება, საიდანღაც გამოტყვრა ორი კაცი სანადირო თოფებით. ეს იყო ბატონი ვალგეიმი თავისი ტყის მცველით.

— ძლივს არ დაგიჭირეთ, შე ტყის მცარცველო, დაიყვირა ტყის მცველმა. — რამდენი ხანია ვილაც ჰკაფავს ამ ტყეს. აი, თურმე ეს ვაჟბატონი ყოფილა!

— რას მომვარდით, თქვა ლენცმა, — მე ხომ ქურდი არა ვარ, ეს კარგათ იცით, ბატონებო?

— მაშ ვინა ბრძანდები? სიტყვა მოუჭრა ვალგეიმმა.

— მე ჩემ სიცოცხლეში ტოტიც არ მომიტეხნია ცუდი განზრახვით.

— მითომ! ეს ნაძვის ხე რაღაა? ფიცი მწამს და ბოლო მაკვირებსო, ნათქვამია. რაში დაგჭირდა ეს ხე? ნიჩბის ტარი გინდა გააკეთო თუ დასაწვავათ წაიღებ?

— არა, ბატონო ჩემო, ეს ჩემი პატარა ქალისთვის მინდოდა, შობის ხე მიმეტანა.

— არა უჭირსრა, კარგათ მოიგონე, თქვა ვალგეიმმა, — მაგრამ იცოდე, მე აგრე ადვილათ არ გადამრჩება ქურდი, ტყის მკაფავი. ტყის მცველო, დაიჭირეთ ახლავე ეს გაიძვერა, დეე, დღესასწაულებში დამწყვდეული იყოს!

ლენცმა ფეხები დააბრაზუნა.

— აქ მიყურე შენ ეი, სასტიკო ბატონო, დაიყვირა მან კბილების კრაქუნით, — აი, ეს ბალახიც ჩემი არ არის, მაგრამ დახე როგორ ვთელავ ფეხებით. ამისთვისაც რატომ არ დამსაჯამ. ჰაერიც ხომ ჩემი არ არის, მაგრამ მეც ისე ვსუნთქავ როგორც შენ, დიდო ბატონო, შენ შესაბრალისი ყოფილხარ!

ლენცს სიბრაზით სული ველარ მოებრუნებინა. გრძნობდა რომ თითქო ქურდათაც გამოდიოდა და იმავე დროს გრძნობდა უსამართლობასაც.

მერე ხმა აღარ ამოუღია. კმუნვით თვალები ძირს დახარა და აღარ ეწინააღმდეგებოდა, როდესაც შეჰკრეს და წაიყვანეს დასატუსადებლათ.

პატარა ნაძვის ხე დარჩა გაყინულ მიწაზე და ლამაზი სანთლების მაგივრათ ტოტებზე მსხვილი ქირხლი ბზინავდა.

სატუსალოში ობობებს კარგი ხანი იყო გაებათ თავისი ქსელი და ახლა ლენცმა, ამ შობის წინა ღამეს ცოტა არ იყოს დაფთხო. ლენცი ნაღვლით და ბრაზობით თმებს და წვერს იგლეჯდა. აგონდებოდა თავისი უბედური სახლი, როგორ იქ, დღეს, ამაოდ ელოდენ მას.—ეინ იცის ჩემი ცოლი როგორ შეწუბდება, შეეშინდება და სასოწარკვეთილებას მიეცემა, ჩემი ქალი უსათუოთ ბევრს იტირებს და თვალ ცრემლიანი დაიძნებს. რა კაი შობა დაუდგათ! თითონ ლენცი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ცდილობდა პატიოსანი კაცი ყოფილიყო, ახლა ზის იმ საპყრობილოში, საცა ეინ იცის ვინ ავაზაკი იჯდა და შემდეგ კიდევ დაატუსალებენ ვინმე მაწანწალას. ეს არის ლენცის დღესასწაული!

გალგეიმი დაბრუნდა თავის სახლში გაჯაერებული რომ, ტყეს უკაფავდენ და თან კმაყოფილებაც ეტყობოდა, რომ ძლიეს იპოვა ტყის გამანადგურებელი. მას სახლში დიდი არეულობა დაუხვდა.

მისი ათი წლის შვილი ტეობოლდი ჩვეულებისამებრ სადილს უკან შემჯღარიყო თავის თეთრ ცხენზე და სასეირნოთ წასულიყო.

გალგეიმის ციხე-დარბაზი რამდენიმე საუკუნის წინ იყო აშენებული და იქ ერთი ოთახი მთლათ ძველი დროის სამართი იარაღით იყო სავსე. სწორეთ ამ დღეს მოუწინა ყმაწვილს ძველებურ მეომარის ტანისამოსში გამოწყობა. უბრძანა თავის ლაღას გაეწმინდა კარგათ აბჯარი, ჩაჩქანი და მუზარადი და როდესაც მოირთო ყმაწვილს ვგონა ეს ეს არის რაინდი ვარო. ოცნებობდა იმაზე თუ როგორ



გამოვიდოდა საფალანგოთ და გაიმარჯვებდა კიდევ ლამაზ ქალების თვალწინ. ამ ფიქრებით გატაცებული პატარა რაინდი მიაქენებდა თავის გაცხარებულ რაშს ჩაბნელებულ ტყეში.

გავიდა სეირნობის დრო და ტეობოლდი კი შინ არ დაბრუნდა. წამოვიდა თოვლი, დაბნელდა და ყმაწვილი კი არსად იყო.

ამ ამბავმა საერთო მწუხარება გამოიწვია. ცხენ-დარბაზის კარმიდამო ყველგან გააჩაღეს და აი სწორეთ ამ დროს ქიშკართან მოვარდა თეთრი ცხენი ფაფარ გაწეწილი და დალაღვით ქლოშინი გაუდიოდა. ზედ არავინ იჯდა.

ყველა შეშფოთდა. ყმაწვილის დედას გულშემოეყარა. მამას მკედრის ფერი დაედო და ოთახებში წინ და უკან აღვლევებული დადიოდა. მსახურები აქეთ-იქით ეცემოდნენ დაფანტულივით. სამოახლოდან მოისმოდა ქვითინი. მეჯინიბეგები მოასხდნენ ცხენებს და გაიქცნენ საძებნელათ. დარაჯმა ველარა მოახერხარა და მორთო საყვირი. ყველაზე ადრე ყმაწვილის დედა მოვიდა გონზე, თუმცა ბნელოდა და თოვდა, მაგრამ იგი თავის ფეხით წავიდა შვილის საძებნელათ. ხმა მალეა ყვიროდა და უძახოდა თავის საყვარელ შვილს, სანამ ხმა არ დაეკარგა. ის ჩქარის ნაბიჯით დადიოდა ტყესა და მინდორში, მხოლოდ როდესაც გზის გადასახვევთან მივიდოდა ცოტა ხანს შედგებოდა და დაფიქრდებოდა. საცა კი ჯვარცმას ნახავდა უბედური დედა, მაშინვე დაიჩოქებდა და ხელების მტვრევით ევეღრებოდა დემეტრის—შვილის პოვნას.

გალგემი ისე დარბოდა მთებზე და ვაკეებზე თითქოს ნადირია და უკან მღვერები მისდევენო. „ჩემი შვილი ხომ არ გინახავთ?“ მუდარით ეკითხებოდა იმ შველებს და ირმებს, რომლებსაც ჩვეულებრივ ისე გულცივათ უმიზნებდა ხოლომე თოფს. ნადირი ამის დანახვაზე შიშით აქეთ-იქით იმალებოდა და შორიდან ფრთხილათ უთვალთვალებდა. გალგემი ბნელაში უცებ წააწყდა მოქრილ პატარა ნაძვის ხეს. ეს ის პატარა ნაძვის ხე იყო, რომლის გულისთვისაც ლენცი დაატუსაღებინა დღეს. „იმ კაცსაც ხომ ცოლი და



“შვილი ჰყავს!” გაუეღვა თავში გაღვივების და გულში რალაც ტკივილი იგრძნო. მერე გაუდგა ისეე გზას და დაუკრა საყვირს.

იმ არე მარეს მცხოვრებლები ყველანი დადიოდნენ ტყეში ყმაწვილის საძებნელათ, გარდა უბედური ლენცისა.

— შობის წინა ღამეს ეს რა უბედურება მოხდა, — ეუბნებოდა ერთი მეორეს. — ხვალ არაფერი სადღესასწაულო ღღე დაგვიდგება!

გაისმოდა წამ და უწამ საყვირის ხმა, თოფის სროლა, ეგონათ ეს ეს არი ყმაწვილი ხმის გაგეცემსო. სულ ამოა იყო! მართალია ფეხის ხმა მოისმოდა, ხშირათ თოფის სროლაც, მაგრამ მხოლოდ იმათგან, ვინც ყმაწვილს დაეძებდნენ. არსად არა ჩნდა ნაგალი, არ იცოდნენ რა ექნათ. ყველა უბედურებასთან ატყდა ქარბუქი, ხეების შრიალი უშლიდა ერთმანერთთან ხმის მიწოდებას. თოვლის ფერფლი ლიფლიფას შუქზე წითელ ვარსკვლავებსავით მოჩანდნენ.

— ღმერთმა ყველას უკვე თოვლის სუღარა გადააფარა, წამოიძახა ერთმა ვიღამაც.

—

— ეს რა უბედურებაა ამ შობის წინა ღამეს. თქვა ამოახვრით ლენცის ცოლმა. ის ხან ერთ ფანჯარასთან მიდიოდა, ხან მეორესთან და მოესმოდა ხმაურობა თუ არა — მიეჩქარებოდა კარებთან, მაგრამ ქმარი არსად ჩანდა...

— ვინ იცის მამამ დაიგვიანოს პატარა ქრისტეს მოსვლამდის, თქვა მაგდამ.

— სანამ კი მოვა, არ დაიგვიანებს, ჩაილაპარაკა დედამ თავისთვის. — თავის ღღეში ასე არ დაჰგვიანებია. მთელი ღღე რალაც ცუდათ ვგრძნობ ჩემ თავს.

მოისმა ხმა, ფანჯარაში ვიღამაც დაარაკუნა.

— ღმერთო შენ მაღლს! ძლივს.

მაგრამ ეს ის არ იყო. ერთ შეშის დამქრელს მოჰგვიანებოდა და გავლით შემოიძახა:

— დობილო, რა დამართა, რა მოხდა?

— ვისა?

— ვის და იმას?

— არ ვიცი ვიზე ლაპარაკობთ, უპასუხა შეშინებულმა დედა-
კაცმა.

— მაშ შენ, დობილო, არა გცოდნია არა ფერი და არც არა-
ფერს გეტყვი. საშინელი ავი დარია! მშვიდობით.

ქალი მივარდა ფანჯარასთან.

— განა იცით რამე ჩემ ქმარზე? სად არი?

— შევხვდი გზაზე, თქვა შეშის მქრელმა, — ქუდი ჩამოეფხებატა
ცხვირამდის, მაგრამ მაინც ვიცანი. ხელები შეკრული ჰქონდა.
დედაკაცმა შეჰკივლა. შეშის მქრელი წავიდა თავის გზაზე.

პატარა ქრისტეს მაგივრათ ამ ტყის ქობში შეიპარა განუ-
სახლდრელი ნალველი.

— წადი, დაიძინე, შეილო! უთხრა დედამ მაგდას.

ყმაწვილმა გაკვირვებით შეხედა დედას. განა დღეს შობის
წინა ღამე არ იყო? დედაკაცი შვილის სიყვარულით ძლივ ძლიო-
ბით იმაგრებდა ქვეთინს, გულის გადასაყოლათ დაუწყო ცეცხლს
გაღვიება, ძალზე უბერაედა, მაგრამ ცეცხლს არ ეკიდებოდა, რო-
გორც რომ დედა გაათავებდა ბერვას ყმაწვილს მოესმოდა ჩუმი
ქვეთინი. მაგდამ ხელმეორეთ იკითხა მამა.

— დაჩუმდი! მკვანეთ გააწყვეტინა სიტყვა საბრალო დედაკაცმა,
მერე დაყვავებით უთხრა: — მამა შენი უთუოთ პატარა ქრისტეს
ეძებდა და ტყეში გზა დაჰკარგა.

— ოჰ! ის იმას უსათუოთ იპოვის! თქვა მაგდამ. — პატარა
ქრისტეს გაბრწყინებული გული აქვს და თვალები ლალისავით
უნათებენ.

— რასაკვირველია, სწორეთ აგრეა. უპასუხა დედამ და მეტათ
ხმა აღარ გაუცია.

თანდათან ბნელდებოდა. ვარეთ ქროდა მძაფრი ქარი და

ფანჯრებს აყრიდა თოვლს. სადღაც შორს კი ცხოვრობს ისეთი ხალხი, რომელიც ამ შობის დამეს მხიარულობს და გააქეთ ეივილ-ხივილი. ფისის მომგროვებელის ცოლმა აანთო მწუხარების მომასწავებელი წითელი სანთელი. ამ სანთელს არა ერთხელ გაენათებინა ეს ოთახი. პირველათ ეს სანთელი აანთეს მაშინ, როცა ლენცის მამა კვდებოდა, ერთხელაც ერთო იმ საშინელ და მკაცრ ღამეში, როდესაც ჩამოწვა ზვავი ამათ სახლთან და წყალმა კინალამ წაიღო ესენი, ამ სანთელს მაშინაც აანთებენ ამ სახლში, როდესაც ლენცი და მისი ცოლი ტანჯულნი და გაქირებულნი, ცხოვრებით მოქანცულნი, სამუდამოთ დახუჭამენ თვალებს. ეს სიკვდილის მომასწავებელი სანთელი სწორეთ ახლა უნდა ანთებულყო, რადგან სახლის დიდი ხნის ბურჯი,—პატიოსნება დაიღუბა.

დედაკაცმა სასოებით დაიჩოქა სანთლის წინ და მხურვალე ლოცვით მიმართა პატარა ქრისტეს.

— წმიდა იესო, გვიშველე! ჩემი ქმარი უთუოთ ცუდს არას ჩაიდენდა... ხელები შეკრული ჰქონდაო, მითხრა! ნუ თუ სხვის ნადირი მოჰკლა ტყეში, რომ სადღესასწაულოთ რამე მოაწოდოს ოჯახს? ყველა გაქირვებას და სიღარიბეს ავიტან, ოღონდ სვინიდისი და პატიოსნება არ შემიღახონ!

ამ დროს კარები ვიღამაც დაარაკუნა.

დედაკაცმა საჩქაროთ მოიტაცა სანათური და გაექანა კარებისკენ.

ვიღაც უცნობი ბავში გამოეცხადა. სულ სხვა ნაირი ყმაწვილი იყო, გულზე რაღაც უბრწყინავდა. ტანისამოსი არ უჩნდა თოვლისგან, თმებზე ყინულები ეკრა, დიდრონი თვალები ცრემლით სავსე ჰქონდა. სიცივით კანკალებდა და ითხოვდა თაფშესაფარს.

— შენთან არავინ არ არის? შეჰყვირა დედაკაცმა,—სულ მარტო ხარ? შემოდი, შემოდი ჩქარა!

ლენცის ცოლმა ყმაწვილს თოვლი ჩამოაცალა ტანისამოსი-

დან, მაგრამ გული ისევ ისე უბრწყინავდა; ცრემლები შეუწმინდა და თვალებმა ლალსავით ეღვარება დაიწყეს. მაგდა გოაცებით შეს-
ცქეროდა და დარწმუნებული იყო რომ მის წინ პატარა იესო იდგა.

— მოუგეეჩ ჩქარა ცეცხლს, გათბი, ეტიტინებოდა პატარა ქალი, ლენცის ცოლმა დაუწყყო ყმაწვილს გამოკითხვა, ვინ ხარ, ან საიდან მოდიხარ?

— მე ტეობოლდი ვარ, გაღვეიმას შვილი, უბასუხა ბოლოს ჩმაწვილმა. — ტყეში დავსეირნობდი ცხენით, — გარეული ქათმები ერთბაშით აფრინდენ, ამაზე ჩემი ცხენი დაფთხა და გადმომავლო. დიდხანს დავხეტიალობდი ტყეში, სანამ კარგა არ დაღამდა. ამ დროს წამოვიდა თოვლი, ამოვარდა ქარი, ვერც არას ვხედავდი, არცა არა მესმოდარა და უცებ დავეცი. ბოლოს როგორც იყო ამ სინათლეს მოვაგენ. ნება მომეცით ღამე თქვენ სახლში გავაათო, ნურას მერჩით! მამა უსათუოთ მომძებნის.

ყმაწვილს კბილი კბილს აცემინებდა ლაპარაკის დროს. ლენცის ცოლმა ძლივ ძლიობით გახადა ჩექმები, რომელიც თითქმის ზედ მიჰყინოდა. ყმაწვილი კვენსოდა ტკივილისაგან. დედაკაცმა ხელფეხი თოვლით დაუხილა, მერე გამოიღო ფეხიდან თბილი წვენი და კოვზით პირში ჩაასხა.

მაგდა გარშემო უტრიალებდა ყმაწვილს, შეცქეროდა მის ლამაზ კულულებს, წითლათ დაბრაწულ ლოყებს და გაბრწყინებულ გულს.

ლენცის ცოლმა რაც კი ბალიშები ჰქონდა სახლში მოავროვა და ქვეშაგებათ დაუგო პატარა სტუმარს. ტეობოლდი დაწვა თუ არა, მაშინვე დაეძინა.

ლენცის ცოლს თითქოს მწუხარება გაუქრა. ეს უმწეო ბავში, რომელიც ამას მოევლინა შობის წინა ღამეს თითქოს კარგ რამეს მოასწავებდა. მაგდას გაუტყდა ძილი და გასართობათ დედა მოუყვა შობის სიმღერას.

ლენცის ცოლი ხშირათ შესწყვეტდა ხოლმე სიმღერას, რომ

ყური ეგდო ბავშვის სუნთქვისათვის; პატარა მაგდაც გულზე ხელე გადაჯვარდინებული სასოებით შესცქეროდა მძინარეს.

უცბათ მოისმა ქოხში წუხარე საყვირის ხმა, ლენცის ცოლმა შესწყვიტა სიმღერა. თოვლმა ხრაშუნი მოიღო ფეხის ხმაზე, წამს კარი გაიღო და ქოხში შემოვიდა რამდენიმე კაცი თავიდან— ფეხებამდის შეთოვლილი, მათ შორის იყო ერთი წამოსადეგი ლამაზი ქალიც.

ლენცის ცოლმა მუდარით შეხედა ახლათ მოსულებს, თითო ტუჩზე მბადო და უჩვენა მძინარე ყმაწვილზე. მაგრამ ქალმა დინახა თუ არა ბავში მხიარული წივილ კივილით მიეარდა.

ყმაწვილი წამოვარდა, მიიხედ-მოიხედა. როდესაც ნახა თავის თავი და თავისი დედა ამ ბნელ ქოხში ტუჩები აუთრთოლდა.

მაშინვე ქოხის წინ დაანთეს ძრიელი ცეცხლი, რომლის ალი მალლა აღიოდა და გამოსჭერეტდა ბურუსში.

მდიდარ გაღგემს თავის დღეში არ ენახა ასეთი შეწინიერი გაბრწყინებული შობის ხე, როგორც იყო ეს ცეცხლის სვეტი, რომელიც აცნობებდა, რომ მისი შვილი იპოვნეს უვნებლათ. ყველამ თავი მოიყარა ლენცის პატარა სახლში, თავის დღეში ამ ქოხს არ ენახა ამოდენა ხალხი და ასეთი ბედნიერები როგორც ამ ღამეში.

გალგემი უცბათ ცუდათ გახდა: მის შვილს თავი შეაფარებინა, გაათბო, აქამა—ასეა იმ ოჯახმა, რომლის მამაკაცი დღეს ამან დააჭერინა ციხეში ერთი უბრალო ხის მოჭრისთვის.

მაშინვე ცხენზე შესვა ერთ ერთი თავისი მხლგებელი და გააქანა ლენცის მოსაყვანათ.

ჯერ ყველა ისევ თავმოყრილი იყო ქოხში, რომ შეწინიერი მარხილით ლენცი მოადგა თავის სახლს.

გათენებამ მოაწია.

— ლენც, მე დამნაშავე ვარ შენ წინ! ახლა ვხედავ ვისთვისაც გინდოდათ ნაძვის ხე! მაპატიეთ! თქვენ ყველამ უნდა მაპატიოთ. ვეცდები ჩემი დანაშაულობა გავასწორო.

ღმერთს ეველებან ნახავთ

ამას შემდეგ უთხრა ლენცს: მოურავათ გაგხდი ჩემ ერთ ერთ მამულშიო.

ლენცს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, გადიქნია ბანჯგელიანი თავი და უბასუხა:

— მამულის მოვლა ჩემი საქმე არ არის!

— რა სულელია! თქვეს აქ მდგომმა კაცებმა,—სხვა მაგის ადგილას სიხარულით დათანხმდებოდა, რომ ცოლშვილი უზრუნველათ აცხოვროს.

— მე არ მინდა ამ ტყეს მოვშორდე. ნება მომეცით ისევ ფიცი ვაგრძელო, თქვა ლენცმა ჭმუნვით.

— ფისის მოგროვება რას გამოჰკვებს შენ ცოლშვილს,—უთხრა გაღვებმა—მარჯლა, მალე შექნება ტყის მცველის ადგილი და იმას მოგცემ და კვლავ, რომ შობის ხე ადვილათ მიუტანო შენ შვილებს, მომიცია ერთი ქცევა ტყისა შენ საკუთრებათ. ამითი თუ შემირიდებდი.

— მე სულაც არა ვარ თქვენზე გაჯავრებული, მხოლოდ ერთსა გთხოვთ: იმ ჩემ ცოლშვილთან ხმა მალლა თქვით, რომ თქვენ უდანაშაულოთ დამამწყვდიეთ ციხეში.

გაღვებმა თავისი ორი ხელით დაუჭირა ლენცს მარჯვენა ხელი და უთხრა:

— ლენც, შენ პატოსანი კაცი ხარ!

აი ახლა კი ლენცმაც ნახა ღმერთი ტყეში.

ან. წერეთლისა.





ნ ა თ ლ ი ს-ღ ე პ ა.

ვთის ბრძნება ისე იყო, რომ მინამ იესო ქრისტე ქვეყნათ მოვიდოდა და ქადაგებას დაიწყო, იოანე ნათლისმცემელი უნდა განეწილიყო და ხალხი მოემსახდებინა, რათა ღირსეულათ მიჰქცებოდნენ მაცხოვარს. ქრისტე რომ ოცდა ათი წლისა განდა იოანე იორდანეს უდაბნოში სცხოვრობდა, მარსულობდა

და ხალხს უქადაგებდა. საკვირველი სანახავი იყო თვით იოანე: ტანზე შალის ჩოხა ეცვა, წელზე უბრალო ტყავის ქაძარი ერტვა, ხელში გრძელი ჯოხი ეჭურა, რომელსაც თავში ჯვარი ჰქონდა გაკეთებული და ასე უქადაგებდა ხალხს: „მოიქეცით და მოემსახდენით, თორემ სადაც არის ქრისტე გამოცხადდება ჩვენ შორისო“.

ხალხს ჯერ თვითონ იოანე ეგონა ქრისტე და კიდევ ჰკითხეს, შენ ხომ არა ხარ თვით მაცხოვარიო, მაგრამ იოანემ აი რა უპასუხა: „მე ქრისტე კი არა, მისი ფეხსაცმელის გახდის ღირსიც არა ვარო“.

ხალხი ბლომათ იკრიბებოდა იორდანეს უდაბნოში და ისმენდა მის საკვირველ ქადაგებას; ზოგი მათგანი კიდევ აღიარებდა თავის ცოდვებს და ემსაღებოდა, ეველანი კი მოუთმენლათ მოელოდნენ ქრისტეს მოსვლას.

ექვსს იანვარს აუნარბელი ხალხი იყო თავმოყრილი იორდანეს ნაპირსე და ეურს უგდებდა იოანეს ქადაგებას. ამ დროს შორიდან გაძოხნდა მოძავალი ქრისტე. როგორც კი დაინახა იოანე ნათლის-მცემელმა, შესძახა ხალხს.

„აჰა მოვალს კრავი ღვთისა, რომელმაც უნდა იკისროს ჩვენი ცოდვებო“.

ხალხი ცქერათ გადაიქცა.

ქრისტე თავმდაბლათ მიუახლოვდა იოანეს.

იოანემ თავუხანი სცა მაცხოვარს.

შემდეგ ქრისტემ უბრძანა: „ნათელი მეცო“.

იოანეს გაუკვირდა და უპასუხა: „მე ძეკუთუნის, უფალო, შენგან ნათლის ღება და შენ ჩემგან როგორ ითხოვო“.

მაგრამ ქრისტემ უთხრა: „ღვთის ბრძანება ესე არისო. იოანემ უხრი ველარ გაბედა და დამორჩილდა.

ქრისტე ჩაბრძანდა წყალში; იოანე ნაპირსე იდგა და ხელით თავსე წყალს ასწაჰდა.

გათავდა ნათლის-ღება. ერთაშთ ცა გაიღო, გადმოვიდა სსივოსან მტრედის ფრათ სული წმიდა და დაადგა თავსე ქრისტეს. ამ დროს ზეციდან მამა ღმერთის სმაც მოისმა.

„ეს არის ძე ჩემი საუვარელი, მკაცრი ისმინეთო!“

ეს ამბავი მოხდა ექვსს იანვარს. ამ დღეს ქართველები „წულის კურთხევას“ ვეძახით. დილით ხალხი ეკლესიაში მიდის და წირვას მოისმენს სოლმე. წირვის შემდეგ გამოასვენებენ ეკლესიიდან სატებს, ჯვრებს, საეკლესიო დროშებს და იორდანესე წავლენ. წინ ღვდლები მიდიან ანთებული სანთლებითა და გალობით, უკან—ხალხი მისდევს. იორდანესე წუალს აკურთხებენ და ჯვარს ჩაასვენებენ წუალში. წუალის კურთხევა რომ გათავდება, დაიწებენ სარბახნებისა და თოფების სროლას. ბევრი, თუძცა ცივა, მაგრამ ტანსაცუკი იბანს წმინდა წუალში. ვისაცუკი ჭურჭელი აქვს თან, ამოიღებს ნაკურთხ წუალს და მინ წაიღებს. ღვდლები ისევ ეკლესიებში დაბრუნდებიან და ჯვრებსა და სატებს თავიანთ ადგილზე დაასვენებენ.

მთელ ამ ბედნიერ დღეს ქრისტიანები მხიარულობაში გაატარებენ სოლმე.

ბ. წაღრუბელი.



ღვაწლი „ივერიის“ მონასტრისა და თორნიკე ერისთვისა.

(„ბუნების კარის“ შოთაწალი გამოცემიდან).



ერთე საუკუნეში საქართველო ებრძოდა არაბებსა და დაუცხრომლად ეწინააღმდეგებოდა მათს წადილს — გაეფრცვლებინათ ქართველებში მაჰმადის სჯული.

ამ სასიქადულო ბრძოლის ემს ურწმუნოთა წინააღმდეგ საქართველოს დიდი ღვაწლი დასდეს იმ მონასტრებმაც, რომელნიც დაარსებულნი იყვნენ უცხო ქვეყნებში ქართველი ბერებისაგან. ყველა ეს მონასტრები იღვწოდნენ საბერძნეთის საბრძანებელში, სხვა-და-სხვა ადგილასა, სახელდობ: ულუმბოში, შავ-მთაზე ანტიოქიის მახლობლად, იერუსალიმში, სინასსა და ათონის მთაზე. მათ შორის პირველი ადგილი ექირა და მეტი ღვაწლით ბრწყინავდა ივერიის მონასტერი, წმიდა ათონის მთაზე დაარსებული. ეს მონასტერი დაფუძნებულ იქმნა ქართველი ბერებისაგან მერვე საუკუნის გასულს. ასეთი შორეული ადგილი იმიტომ ამოირჩიეს სამოღვაწეოდ ქართველებმა, რომ იგი იღო ურწმუნოთაგან მიუვალს მთაზე და ეკუთვნოდა მართლ-მადიდებელს სახელმწიფოსა.

ბერებად ამ შორეულს მონასტერში მიდიოდნენ არა უბირნი ქართველნი, არამედ უფრო განათლებულნი და წარჩინებულნი პირნი. ესენი სიჭაბუკეში ემსახურებოდნენ სამშობლოს თავისი ძლიერი მარჯვენით, ჭკუით, გამოცდილებით და მხნეობით, ხოლო ხნიერებაში მიმართავდნენ ხოლმე მონასტრის სიმკურდროეს, რათა ღვთისმსახურებაში გაეტარებინათ თავისი დანარჩენი სიცოცხლე, დღე და ღამ ევედრებინათ ღვთისათვის თავისი საყვარელი ქვეყანა, ამა-სთან ერთარგმნათ და ეწერნათ სასულიერო წიგნები, ეფინათ იგინი



ხალხში და გაედლიერებინათ ქრისტეს სარწმუნოება და განათლება.

მონასტერი ესე დიდად გაძლიერდა, გაფართოვდა, გამშვენიერდა და ლავრად გადაიქცა მეთე საუკუნის გასულს თორნიკე ერისთავის მეოხებით.

თორნიკე ერისთავი დაიბადა და აღიზარდა სამხრეთ საქართველოში ანუ მესხეთში. ჩამამავლობით იგი ეკუთვნოდა ფრიად წარჩინებულს გვარეულობას და იყო ერთი სახელოვანი ერისთავთგანი. ქაბუკობაში თორნიკეს დამსახურებული ჰქონდა სახელი საუკეთესო სარდალისა და მის წინამძღოლობით ქართველმა ჯარმა არა ერთხელ გაიმარჯვა ბრწყინვალედ მტერზე. ხანში რო ჩავარდა, თორნიკემ დასტოვა სამსახური, უარპყო ყოველივე ქვეყნიური სიამოვნება და ზრუნვა, გამგზავრდა საბერძნეთში და მივიდა „ივერიის“ მონასტერში. აქ იგი უბრალო ბერად აღიკვეცა წინამძღვრის იოანეს მიერ, რომელსაც ერის კაცობაში ცოლად ჰყავდა თორნიკეს და და იყო მისი ნასიძარი.

მაგრამ მამა თორნიკე ჩქარა იძულებული გახდა შეეწყვიტა თავისი მყუდრო ცხოვრება, დაეტოვებინა ათონის მთა, წამოსულიყო საქართველოსკენ, ხელახლად აღჭურვილიყო საომარი იარაღით და დაბრუნებოდა ქვეყნის მღელვარებასა. ასე დატრიალდა თორნიკეს ბედის ჩარხი შემდეგი მიზეზის გამო.

ამ დროს ბიზანტიის იმპერატორს ვასილს აუჯანყდა ერთი მისი ჯარის მთავარი, სახელად ბარდა სკლეროსი, რომელიც განაგებდა აღმოსავლეთას ნაწილს მცირე აზიისას და იყო მისი ერისთავი. აჯანყებულს ერისთავს ჰყავდა ძლიერი ჯარი, გამოცდილი მრავალს ომში და თვითონაც შეუდარებელი სარდალი იყო. ამასთან ისე ოსტატურად წაიყვანა საქმე, რომ სომხეთის ჯარიც თავისკენ გადაიყვანა. ამიტომ მან მოკლე ხნის განმავლობაში დაამარცხა რამდენჯერმე ბერძნების ჯარი, დაიპყრო მთელი აღმოსავლეთის ნაწილი მცირე აზიისა და გამარჯვებით მიიწევდა კონსტანტინოპოლისკენ. შეშინდა იმპერატორი და არ იცოდა, რა ექმნა. ამ დროს შოახსენეს



ღვაწლი „ივერიის“ მონასტრისა და თორნიკე ერისთვის 45

მას, რომ „ივერიის“ მონასტერში არის ერთი ქართველი ბერი თორნიკე, სარდლად წამყოფი, დიდი გვარის შვილი, რომელსაც დიდს პატივსა სცემს სამხრეთ საქართველოს მბრძანებელი—დავით კუროპალატიო. დაიბარე ეს ბერი და მისი შუამავლობით სთხოვე დავითს შემწეობა ჯარით სკლეროსის წინააღმდეგაო. ასეც მოიქცა იმპერატორი. აფრინა „ივერიის“ მონასტერში სანდო პირნი, მიიწვია თავისთან თორნიკე, სთხოვა დაეტოვებინა დროებით მონასტერი და ეკისრნა შუამავლობა. თორნიკესათვის მეტად საძნელო იყო ამ თხოვნის აღსრულება და მონასტრის მყუდრო ცხოვრების შეწყვეტა; მაგრამ უარი ვერა ჰკადრა იმპერატორსა, მით უმეტეს, რომ სკლეროსი მას მიაჩნდა უსამართლო დამნაშავედ. იმპერატორმა დასწერა და გამოატანა თორნიკეს დავით მეფესთან წერილი, რომელშიაც სთხოვდა შემწეობას ჯარითა და სამაგიეროდ აღუთქვამდა დაბრუნებას კლარჯეთისას, აზრუმისას, ბასიანისას და ზოგი სხვა ქვეყნისას, რომელნიც წინად ქართველებს ეჭირათ და ახლა კი ბერძნების ხელში იყვნენ.

დავითმა დაუყოვნებლივ აუსრულა თხოვნა იმპერატორსა. შეპკრიბა თორნიკე ათასი საუკეთესო ქართველი ჯარი, მის მთავარ წინამძღოლად დაინიშნა თვითონ თორნიკე და გაგზავნა სკლეროსის წინააღმდეგ.

ქართველი ჯარი გაეშურა სამხრეთისაკენ, გადაიარა კლარჯეთი, შეიერთა ბერძენთა ჯარი და მდინარე ჰალისის ნაპირს შეებრძოლა მტრის ჯარსა, ბევრად უმრავლესს ქართველებზე. ძღვევა მოსილი სკლეროსი საოცარი ოსტატობით წინამძღოლობდა, ჯარი მისი იბრძოდა თავგანწირული მამაცობით; მაგრამ თორნიკემ მაინც საშინლად დაამარცხა მტერი. დიდი წილი მტრის ჯარისა ბრძოლის ველზე დაეშვა დაჭრილი და დახოცილი, ბევრი გაქცეული დაიღუპა აღელვებულს მდინარეში და დანარჩენი ქართველებმა გაირეკეს აღმოსავლეთისაკენ და სდიეს სპარსეთის საზღვრებამდინ. თვითონ სკლეროსი თუმცა სიკვდილს გადარჩა, მაგრამ იძულებული გახდა

გაქცეულიყო შორეულს არაბისტანში. აუარებელი დავლა დარჩათ გამარჯვებულებს, რომლის ორი წილი ერგათ ქართველებსა და ერთი ბერძნებსა.

გახარებულმა იმპერატორმა ვასილმა არამც თუ დაუბრუნა მეფე დავითს აღთქმული ქვეყნები, არამედ მდიდარი საჩუქრებიც გამოუგზავნა როგორც მას, ისე თორნიკესა.

გათავდა თუ არა ლაშქრობა და დამშვიდდა აჯანყებული ქვეყნები, თორნიკე შეიმოსა ისევე ბერულად და გაემგზავრა ათონის მონასტერში. მან თან წაიღო თავისი საყვარელი მონასტრისათვის დავლა და საჩუქრები, რომელიც კი მიიღო დავითმა და თვით თორნიკემ მადლიერის იმპერატორისგან, და მთლად მოახმარა მონასტრის გადიდებასა, გამშენიერებასა, და ააშენა მშვენიერი ტაძარი იოანე ნათლის მცემლისა.

კარგა ხანს ამშვენებდა ამ დიდებულს მონასტერს ღვაწლიანი ცხოვრება მამა თორნიკესი, რომელმაც ისეთივე სიძლიერე გამოიჩინა ზეციურს სათნოებაში, როგორსაც იჩენდა ქვეყნიურს საქმეებში ერის-კაცობის ეპოქა.

გარეგან გამშვენებასთან „ივერიის“ ლავრაში იმატა შინაგანმა ღვაწლმაცა. ეს მონასტერი იყო არა მარტო ადგილი, სადაც დღე და ღამ გაისმოდა მხურვალე ლოცვა და ვედრება უფლისადმი, არამედ უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი, სადაც აღიზრდებოდნენ ქეშმარიტს ქრისტიანულს გზაზე გუნდნი ნიჭიერი ქართველებისა. აქვე გადითარგმნა მშვენიერი ქართული ენით: დაბადება, სახარება, მრავალი საეკლესიო წიგნები და სხვა თხზულებანი, რომელნიც ათონის მთიდან იფინებოდნენ საქართველოში, უნათლებდნენ ქართველს ერს გონებასა და ამტკიცებდნენ მას ქრისტეს სიყვარულში და მამულის ერთგულებაში.

იმ წმინდა მამათა შორის, რომელთაც განაძლიერეს „ივერიის“ მონასტრის მნიშვნელობა და გავლენა, პირველი ადგილი უჭირავს ათანასე დიდსა, მეტად ნიჭიერს, განსწავლულს და ღვაწლით შემოსილს ქართველსა. ხოლო მთარგმნელთა შორის უმთავრესნი იყვნენ: იოანე, ძე მისი ექვთიმე, გაბრიელი და მათ შემდეგ გიორგი მთაწმინდელი, ძმის წული იოანესი. ამ სასიქადულო მესხეთის შვილთა მშვენიერად იცოდნენ, ქართულის გარდა, ებრაული, ბერძნული და არაბული ენები, იყვნენ ღრმად განსწავლულნი, მე-

ტარღე საღმრთო წერილში, შეთვისებული ჰქონდათ ფილოსოფიაც და ამის გამო ჩინებულად სთარგმნიდნენ და საუცხოვოდ სწვრდნენ. ეხლაც განცვიფრებაში მოჰყავს მკლევარი მათს წმიდა, უნაკლულო



ქართულს ენას, მათს დაულალავს შრომის მოყვარეობას, მათს სიყვარულს ქართულის მწიგნობრობისას. მარტო ექვთიმემ და გიორგი მთაწმინდელმა გადათარგმნეს და დასწერეს ოთხმოცამდე წიგნი.

ი. გვგებაშვილი.

წმიდა ქვეყანა

I. ძველა და ახლა გზა საქართველოდან იერუსალიმში.



(იქიდანვე).

ველა ქართველს მიუცილებლათ უნდა გა-
 ცნობილი ჰქონდეს წმიდა ქვეყანა ანუ პა-
 ლესტინა, რადგანაც ის არის სამშობლო მა-
 ცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომე-
 ლიც იქ დაიბადა, ქადაგებდა, ჯვარს ეცვა,
 აღსდგა მკვდრეთით და ამოლდა ზეცად.

ძველს ქართველებს უფრო მეტი ცოდნა ჰქონდათ წმიდა ქვე-
 ყნისა, ვიდრე ახლანდელებსა. წინა საუკუნოებში ქართველები ხში-
 რად მიდიოდნენ მაცხოვრის სამშობლოში სანახავად, სალოცავად
 და თაყუანის საცემლად წმიდა ადგილებისა. მიდიოდნენ არა მარ-
 ტო სასულიერო პირნი, არამედ მეფენიც, ერისთავნი, დიდებულნი
 და სხვა წარჩინებულნი გვამნი. მოგზაურს მეფეებს თან ახლდათ
 ხოლმე ჯარი, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა ფრიად საპატიო უფ-
 ლება—შესულიყო იერუსალიმში დარაზმული, გაშლილი დროშე-
 ბით ხელში. ამ სახით შესვლა იერუსალიმში ყველა სხვა ხალხების
 ჯარს აკრძალული ჰქონდა თათართა მბრძანებელთაგან, რომლის
 ხელში იყო მაშინ და ახლაც არის პალესტინა. იმათ შეეძლოთ შე-
 სულიყვნენ იერუსალიმში მხოლოდ დაკეცილი დროშებითა.

ძველად გზა, წმიდა ქვეყნისაკენ მიმავალი, იდგა მცირე აზი-
 აზე ხმელეთით. მოგზაური ქართველი უნდა წასულიყო სამხრეთით,
 გაველო სომხეთი, მესოპოტამია, სირია და ბოლოს მისულიყო

წმიდა ქვეყანაში. ამ უცხო ქვეყნებზე მოგზაურობას ქართველი თვეზე მეტს ანდომებდა, და ყოველს ნაბიჯზე მის მოელოდა ხიფათი, გაცარცვა, ტყვედ წაყვანა და ხან სიკვდილიცა. მაგრამ მაშინდელი ქართველი ამას არ შვეუწინდებოდა ხოლმე და ხშირად მიდიოდა იერუსალიმში, რადგანაც გამსჭვალული იყო ძლიერი სარწმუნოებით და მხურვალე სიყვარულით მაცხოვრისადმი.

ახლა საქართველოდან იერუსალიმში გზა მიდის ზღვით და ეს გზა სრულიად უშიშარია და უხიფათო. ერთის თვის მაგივრად ჩვენებური მოგზაური მხოლოდ ერთს კვირას ანდომებს იერუსალიმში მისვლასა. თბილისიდან, მაგალითად, ბათუმში ქართველი ჩადის ერთს დღეს რკინის გზით, ბათუმიდან ხომალდით მიცურავს ისევ დასავლეთისკენა, გაივლის მარმარილოს ზღვასა, მერმე დაუხვევს სამხრეთისკენ, მიცურავს ხომალდით ხმელთა შუა ზღვაზე და მეშვიდე დღეს მიაღგება დასავლეთის საზღვარს წმიდა ქვეყნისასა. გადმოდის გემიდან და შედის ქალაქს იოპიაში ანუ იაფთაში, რომელიც სძევს ხმელთა შუა ზღვის ნაპირს აღმოსავლეთით და ეკუთვნის პალესტინასა. აქ ჯდება რკინის გზის მატარებელში, რომელსაც მოგზაური მიჰყავს იერუსალიმში რამდენსამე საათის განმავლობაში. ასე სწრაფად იმიტომ აჰყავს მატარებელს მოგზაური იერუსალიმში, რომ ხმელთა შუა ზღვის პირიდან ამ წმიდა ქალაქამდინ უფრო ნაკლები მანძილია, ვიდრე თფილისისა და სურამის მთის შუა, სახელდობო ოთხმოცი ვერსი.

ასე ადვილია ახლა საქართველოდან იერუსალიმში მოგზაურობა; მაგრამ მთელმა მეცხრამეტე საუკუნემ ისე განვლო, რომ ხუთ-ექვს ქართველს არ უმგზავრნია იერუსალიმისკენ. სჩანს, ძველებური მხურვალე სიყვარული მაცხოვრისა და მისი წმიდა სამშობლოსი ახალს დროში გულ-გრილობად გადაგვექცა, სამწუხაროდ.

ი. გოგებაშვილი.

(შემდეგი იქნება).

ჩვენი მოძმე



(თარგმანი).

ანგლის ერთ სუსხიან ღამეში, ქალაქ ჰარისის ქუჩაში მიდიოდა შუა ტანის მოხუცი ჯოხსე დაბჯენილი. ის მიაბიჯებდა ნელა, გაუბედავით. ძველი დიდი ქუდი თითქმის უმაღლავდა სახეს, მოხანდა მხოლოდ თეთრი წვერი და მოკუსულ ბეჭებანდის გრძელი თეთრივე თმები. მოხუცებულს ილლიას ქვეშ რაღაც მოჭქონდა ხელსახოცში განვეული. თუმცა მოხუცებულის უურადღებს ისიდავდა ქუჩის სმაურობა და მხიარული ლაპარაკი, რომელიც მოისმოდა სასტუმროებიდან და ყავახანებიდან, მაგრამ ის მაინც სადღაც მიეშურებოდა.

ბოლოს მივიდა ერთ ადგილას, სადაც კარბემო დიდრონი სახლები განადგებული იყო, იქ ამოაჩნია ისეთი ადგილი, საცა ბლომათ ხალხი მიდიოდა-მოდიოდა, განსნათავისი ხელსახოცი, ამოიღო ძველი სკრინჰა, აკანკალებული ხელებით მოძარტა და დაიწყო დაკვრა.

ორიოდ გაძლევი შედგა, რომ მუსიკა მოესმინათ, მკვრამ მოხუცს თითები უკანკალებდა, ვერ დაეკრა და რიკიანი მუსიკის მკვივრათ სკრიპკის წრიზინი გამოდიოდა. უველს დასცინოდა და უურებში თით დაცობილი გარბოდენ. მესობლის სანსლიდან გამოვარდა ჰატარს ძაღლი და ამანაც მისცა ბანი სკრიპკას, მოჭევა ღმუილს.

საბრალო დამკვრელი უღონოთ დაეშვა ბულვარსე, მუსლებსე დიდო თავისი სკრიპკა და ცრემლიანი თვალებით წაიბუტბუტა:

— მე აღარ შეძლებია დაკვრა!

ამ დროს გაიარეს სამმა ემაწვილმა კაცმა, რომლებიც მხიარულათ ძღეროდენ ხალხურ სიმღერებს. თავისი ჭაბუკური დაუდევრობით ვერ შეამჩნიეს ბულვარსე საბრალო მოხუცი. ერთი მათგანი ისე წააწედა, რომ ქუდი მოშვლინა მოხუცებულს და კინაღამ თითონაც წაიქცა. ემაწვილი კაცები ერთ წამს შედგენ, მოხუცებული წამოდგა, სკრიპკა ხელში ეჭირა.

— უკაცრავათ, ბატონო, სომ არა გატკინეთრა? უთხრა ერთმა ემაწვილკაცთაგანმა.

— არა, უნასუსა მოხუცმა და დაიკუსა ქუდის ასადეუბათ, მკვრამ ერთმა ემაწვილთაგანმა მოასწრო და მიაწოდა ქუდი. მეორემ სკრიპკა რომ დაუნახა ხელში ჰკითხა:

— მემუსიკე ბრძანდებით?

-- ოდესმე ვიყავი, თქვა ნელის ხმით მოხუცებულმა და ცრემლები გადმოედინა დანაოჭებულ ლოყებზე.

— რა დაგმართნიათ? რაზე ხართ აგრე შეწუსებული? იქნება შევიძლოთ რითიმე გიშველოთ? თუ დმერთი გწამთ თქვით.

საბრალო ერთ წამს შეჭყურებდა მათ, მერე გაუშვირა ქუდი და წამოიძახა:

— მოიდეთ მოწება, სკრიპკასე ველარ ვუკრავ, თითები აღარ შემორჩილებიან და ჩემი ქალიშვილიც მიკვდება შიმშილით.

ეს სიტყვები მოხუცებულმა ისეთი კილოთი თქვა, რომ უძაწვილ კაცებს ძალიან შეეცოდათ. მაშინვე ხელი ჯიბეს იკრეს, მაგრამ ერთს ორიოდ გროში აღმოუჩნდა, მეორესი ბევრით მეტი არ იყო ამაზე, მესამეს სულ არაფერი ჰქონდა. ამათ ერთმანეთს ნაღვლიანათ გადასედეს.

— მეკობრებო! თქვა ერთმა იმათგანმა. — ეს კაცი ჩვენი მოძმეა, ჩვენი მოვალეობაა ვუშველოთ რითიმე. აბა, შეუდგეთ საქმეს.

— ადოლფ აიღე სკრიპკა, გუსტავი იმდერებს, მე ფულს მოვავროვებ.

თქმა და მისი ასრულება ერთი იყო. ახალგაზდა არტისტის ხელში ძველი სკრიპკა კენესოდა, ტიროდა, იცინოდა, თითქოს ლაპარაკობდა, ხან თითქოს ლოცულობდა, ხან

მღეროდა. ერთი სიტყვით ეს მოძნობლავი სმები იტაცებდა კაცის გულს.

ახლო-მასლო ვეელამ გადაეს ფანჯრები. შიგ გა-
მოჩნდა ხალხი. ვინც საქმესე ფენით მიეჩქარებოდა შე-
დგა მუსიკის მოსასმენათ, ქუჩაში ისეთი დიდძალი ხალ-
ხი მოგროვდა, რომ ეტლები შედგნენ, ვეღარ გაიარეს.

არტისტმა რომ გაათავა სკრინკასე დაკვრა მოისმა აღ-
ტაცებული ტაშის ცემა და აუარებელი ფული ჩაჭყარეს
მოსუცებულის ქუდში.

— ახლა ჩემი რიგია, მე უნდა ვიმღერო, თქვა გუს-
ტავმა და სკრინკის დასმარებით თავის შვენეიერი, ტკბილი
სმით მოჭყვა სიმღერას

— კიდევ, კიდევ იმღერეთ! ვეროდა აღტაცებული ხა-
ლხი და უღეველ ფულს ისროდენ ქუდში. წახალისებულმა
ემაწვილმა კაცმა, რომელიც აგროვებდა ფულს შესძახა:

— ახლან ამივემ ერთათ ვიმღეროთ „ვილგელმტელლი-
დან, ამისთანა მოულოდნელ შემთხვევისთვის ჩემი პატარა
სმაც გამოდგება.

ამ სიტყვების გაგონებაზე მოსუცებელი, რომელიც
აქამდის გარინდებული უძრავათ იდგა, თითქოს გამოცოცხლ-
და, გადახედა ვეელას გაბრწინებული თვალებით და დაიწ-
ყო ხელების ქნევა, თითქოს ლოტბარობას უწევდა მთელ
ორკესტრს.

ამან უფრო წახალისა ემაწვილი კაცები. ისინი შეუ-



დარებლათ ძღეროდენ. აღტაცებული მსმენელები არა ზოგავდენ არც ტაშს და არც ფულს.

უველა ჯიბიდან იღებდა ვერცხლის ფულს! ფანჯრებიდან სეტყვასავით წამოვიდა, ძლივს ახწრობდენ აკრეფას.

გათავდა კონცერტი. ხალხი დაიძალა და უველა ამ შემთხვევაზე სჯახბახსობდა.

უმაწვილი კაცები მივიდენ სკრიპკის დამკვერელთან, მოხუცებულს ალელგებისაგან ხმა ვერ ამოედო.

— თქვენი სახელები მითხარით, წინუტუტა ბოლოს მან ძლივ ძლიობით, — რომ ჩემმა ქალმა თქვენთვის ილოცოს.

— ჩემი სახელი — სასოებაა, თქვა ჰირველმა.

— ჩემი სახელი — იმედია, დაუმატა მეორემ.

— ჩემი კომოწვალება, თქვა მესამემ და გაუწვდინა ქუდი საფსე ფულით.

— მაშ იხ მანც შეიტეეთ ვის მოუმართეთ სელი. მე ვარ ელზასიდან შახნერი, ათი წელიწადი ვიყავ სტრანსბურგში ორკესტრის ლოტბარათ. ჩემ დროს წარმოადგინეს ჰირველათ ოპერა „ვილგელმტელი“. იმ დღიდან, რა დღიდანაც მივატოვე ჩემი სამშობლო, ნაღველი და სიღარბე არ მომშორებია. თქვენ მე და ჩემ ქალს სიცოცხლე მოგვანიჭეთ. ამ ფულით, შევიძლებთ სამშობლოში დაბრუნებას და იქ სამშობლო ჰყერი და ნათესაობა განმთელებს ჩემ ქალს. ღმერთმა დალოცოს თქვენი ნიჭი, რომელიც

საკეთილდღეოთ მოახმარეთ უცნობ და უცნო კაცს. მოგ-
ცესთ ღმერთმა უოველი დიდება.

— კმადლობთ დალოცვისთვის, თქვენს უმაწვილ-კაცე-
ბმა და გაუდგენ გზას.

ამ უმაწვილ კაცებმა მართლბ იჩინეს თბვი: ერთი გუ-
სტავ როჟერი კახდა კაპოჩენილი მოძღვრბლი, მეორე
აღოლო გერმანი კანთქმული სკრიპკის დამკვრელი და მე-
სამე რომელიც ფულს უგროვებდა მოხუცებულს იყო მემუ-
სიკე მარლგუნო.

ან. წერეთელი.



თამარ მეფის აღზრდა

(„ბუნების კარის“ მომავალი გამოცემიდან).



თამარ-მეფეზე სავსებით აღსრულდა ქართული ანდაზა: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოახეო“. გიორგი მეფე, მამა თამარისა, შემკული იყო მაღალი ჭკუით და მეტად მტკიცე ხასიათით. დედა თამარისა, ოსეთის მბრძანებელის ქალი, ბრწყინავდა აუწერელი სიმშვენიერით და ძლიერ მოსიყვარულე გულით. თამარზე გადავიდნენ სავსებით და უნაკლოლოდ ღირსებანი მამისაც და დედისაც. ამ გადასვლას ძლიერ შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ მეფე-დედოფალს ერთმანეთი ძლიერ უყვარდათ, და ამასთან თამარი დაებადათ იმ ხანში, როდესაც ორნივე აივსნენ სულისა და ხორცის სისრულითა.

ღირსებით სავსე ჩამომავლობას ზედ დაერთო სწორედ სამაგალითო აღზრდა თამარისა. როგორც ერთად ერთი შვილი, ანგელოზებრივი სიმშვენიერით დაჯილდოებული, თამარი დედ-მამას უზომოდ უყვარდა. ის იყო მათი გამოუთქმელი სიხარული, შვება და ღებნა. ადვილად მოსალოდნელი იყო, რომ ეს უზომო სიყვარული თამარს გაანებიერებდა, მიაჩვედა თავ-ნებობას და ხელს შეუშლიდა მისი გონების გაფურჩქნას და ღირსეულის ხასიათის შეთვისებასა. გიორგი მეფემ, როგორც ბრძენმა კაცმა, კარგად იცოდა ესა და ამიტომ პატარა თამარის აღზრდა ჩააბარა თავისს დას— რუსუდანსა.

რუსუდანი იყო ფრიად შესანიშნავი ქალი. ყმაწვილობაში ცოლად გაჰყვა ერთს მცირე აზიის სულთანს ანუ მბრძანებელსა. მაგრამ მალე დაქვრივდა, დასტოვა უცხოეთი და დაბრუნდა თავისს საყვარელს სამშობლოში. აქ დაბინავდა თავისი ძმის სასახლეში

და შეიქმნა მისი მახლობელი მრჩეველი სამეფოს მართვაში. ჰკუთნით, გამოცდილებით და მტკიცე ხასიათით რუსუდანი არ დაუფარდებოდა თავისს სახელოვანს ძმასა და ამასთან შემკული იყო მომხიბლავი დარბაისლობით.

რუსუდანს საკუთარი შვილი არა ჰყოლია; ამიტომ მთელი თავისი დედობრივი სიყვარული თამარზე დაამყარა და დაუცხრომლად ზრუნავდა სამაგალითოდ აღეზარდა თავისი ძმისწული. რუსუდანი მთელს თავისს გამოცდილებას დღე და ღამ იმას ანდომებდა უმთავრესად, რომ თამარის იშვიათნი ნიჭნი სავსებით გაეფურჩქნა, აეყვავებინა და მიეყვანა უმაღლეს წერტილამდინ და კიდევაც ეწია თავისს გულის წადილსა, საქართველოს საბედნიეროდ. თამარმა თავისი მამიდისგან შეითვისა, სხვათა შორის, მხურვალე ღვთის-მსახურება, სამაგალითო დარბაისლობა და შეურყვევლი მშვიდობიანობა ხასიათისა.

ამ სახით, თამარში აღიზარდნენ და ერთად შეერთდნენ მეტად მაღალნი ღირსებანი სამის მისის ძვირფასი თავისიანისა, მთელის მისის სამაგალითო სახლობისა, რომელშიაც შეფობდა: ნამდვილი სიბრძნე, მაღლიანი და მტკიცე ხასიათი, დაულალავი მხნეობა, გულწრფელი სიყვარული ერთმანეთისა და ერისა, მხურვალე ღვთის-მსახურება და დაუცხრომელი ზრუნვა ქვეყნის სიკეთესა და ბედნიერებაზე. ამაზე უკეთესი ზნეობრივი ჰაერით არც ერთს გვირგვინოსანთა შვილს არ უსუნთქვია.

რაღა საკვირველი უნდა იყოს ამის შემდეგ, თუ თამარი, რომლის ჩასახვა, დაბადება და აღზრდა გარემოცული იყო ამოდენა ბედნიერი გარემოებით, გამოვიდა შეუდარებელი ქალი, უუსრულესი აღამიანი, განხორციელებული სიმშვენიერე სულისა და ხორკისა, სათაყვანებელი მეფე, უკვდავი ღიდება და უბრწყინვალესი მნათობი საქართველოს ერისა.

იაკობ გოგებაშვილი.



ფილემონი და ბაუცისი

(აგიდიუსიდან).



რიგიის ერთ-ერთ მალღობ გორაკზე, განმარტოებით, დგას დაბერებული მუხა და მის მახლობლათ ცაცხვის ხე. ხეებს გარშემო პატარა ბუჩქნარი არტყია. ამ ხეების შორიანლოს მოჩანს დიდი ტბა, რომლის ადგილას ოდესმე სოფელი ყოფილა გაშენებული.

ერთხელ ღმერთების მამათმთავარი ზევსი და შვილი მისი ჰერმესი ესტუმრენ ამ სოფელს. ღმერთებს ჰსურდათ გაეგოთ, სოფელელები რამდენათ სტუმართ მოყვარე და პურ-მარილიანი ხალხი გამოდგებოდნენ. მთელი სოფელი თითქმის მიმოიარეს ღმერთებმა, მაგრამ კარი მათ არც ერთმა მოსახლემ არ გაუღო. ბოლოს მთელ სოფელში აღმოჩნდა ერთათ-ერთი ღარიბი სახლობა, რომელმაც დიდის თავაზიანობით და სტუმართ-მოყვარეობით მიიპატიჟა კაცის სახით მოვლენილი ღმერთები.

ოჯახის უფროსნი უკეთილმსახურესნი მოხუცნი ფილემონი და მეუღლე მისი ბაუცისი სიხარულით მიეგებნენ სტუმრებს და საპატიო ადგილი დაუთმეს თავის ღარიბ ქონში. ბაუცისმა დაუყოვნებლივ კერაში ცეცხლი გააჩინა და წყლით სავსე სპილენძის ქვაბი შემოდგა ცეცხლზე. ფილემონმა ჩამოსკრა მოზღლილი ღორის ხორცის ნაჭერი, ჩასდო კერაზე წამოდგმულ სპილენძის ქვაბში და შეშა ბლომით შეუკეთა. სადილის მომზადებამდის სტუმრებს რომ არ მოსწყენოდათ, უკეთილმსახურესი ცოლ-ქმარნი ღმერთების ფეხთ ჩამოსხდნ და როგორც კი ეხერხებოდათ ირთობდნ მუსაიფით თავის ძვირფასს სტუმრებს.

ამ სასიამოვნო მუსაიფის დროს სადილიც დამზადდა. ბაუცის-მა მარდათ გაშალა სუფრა, მოიტანა ლამაზათ გადარჩეული წვანილი, ზეთის ხილი, კვერცხები, ღვინო, პური, მარილი და ცხლათ მოხარული ღორის ხორცი. სტუმრები მადიანათ შეექცეოდნენ კეთილის გულით გაშლილ სუფრას. უკეთილმსახურესნი მოხუცნი თავს დასტრიალებდნენ ძვირფასს სტუმრებს და გულმოდგინეთ ემსახურებოდნენ. ღმერთები მადიანათ შეექცეოდნენ სულით და გულით მოძღვნილ სადილს, მაგრამ დახე ფილემონის და ბაუცისის გაკვირვებას, სასმელი და საჭმელი არა თუ აკლდებოდა სუფრას, პირიქით თან და თან ემატებოდა. ფილემონი და ბაუცისი ახლა კი მიხვდნენ, თუ ვინ იყვენ მათი სტუმრები, თუ ვინ გააბედნიერა მათი ღარიბი ქონი. და შიშით და მოკრძალებით ბოდიში მოსთხოვეს ღმერთებს მცირე მასპინძლობისათვის.

ღმერთებმა დიდი მადლობა გამოუცხადეს სტუმართ მოყვარე მოხუც მასპინძლებს და ამასთანავე დასძინეს: „ჩვენ ღმერთები ვართ. ჩვენ გვსურს დავსაჯოთ თქვენი ღვთის და კაცის დამგობი მეზობლები. ამიტომ ახლავე დასტოვეთ ეს თქვენი ქონი და თავი შეაფარეთ მალალ მთის მწვერვალს“.

უკეთილმსახურესნი მოხუცნი, ფილემონი და ბაუცისი, ხმა ამოუღებლივ დაემორჩილნენ ღმერთების ბრძანებას და მყისვე მთისაკენ გაეშურენ. როცა მოხუცნი მთის მწვერვალოზე ავიდნენ და უკან მოიხედეს, მთელი სოფელი აზვირთებულ ტბის მორევში სცურაედა. მთელი სოფელი წყლის ტალღებს წაელეკა, მხოლოდ შუა ტბაში უვნებლათ იდგა ფილემონის და ბაუცისის ქონი, რომელიც მდიდრათ მორთულ, —სულ ოქროებით შემკობილ ტაძრათ გარდაქცეულიყო. ფილემონი და ბაუცისი, ცაში ხელებ აპყრობილნი, განცვიფრებით დასცქეროდნენ წყლის ტალღებით განადგურებულ სოფელს.

ამ დროს მოხუცებულთ შემოესმათ ზღვისს მეგობრული ხმა:

„კეთილმსახურა მოხუცო და შენ, ღირსეულო მისო მეუღლე, სთქვით, რაცა ვსურსთ და ჩვენ ყველაფერს აღვისრულებთ!“

— „თუ კეთილინებებთ და გაგვაბედნიერებთ“, შეჰკადრა ფილემონმა ღმერთების მამათ-მთავარს, ნება გვიბოძეთ თქვენს ტაძარში სიკვდილამდის ვიმსახუროთ, ხოლო მოგვკვდეთ კი ერთ და იმავე საათს, რომ ერთი მეორეს სიკვდილს არ შეესწროს!“ ზევსმა შეისმინა უკეთილმსახურეს მოხუცთა თხოვნა. ფილემონი და ბაუცისი დიდხანს ერთგულათ და სასოებით მსახურებდნენ ზევსისაგან დანიშნულ ტაძარში.

ამის შემდეგ დიდმა ხანმა ჯანვლო. ერთხელ ფილემონი და ბაუცისი ტაძრის ზღუდესთან იდგნენ და მწუხარებით იგონებდნენ თავის სოფლის დაღუპვის ამბავს. შესცქერიან მოხუცებულები ერთი მეორეს და ხედვენ, რომ ისინი მწვანე ფოთლებით იმოსებიან. მოხუცნი ტკბილათ და სასიამოვნოთ ესაუბრებიან ერთი მეორეს, ხოლო ამ დროს სხეული მათი თან და თან ხის ქერქით იფარება და მრავალი ტოტები გარს ესხმიან. ფილემონის და ბაუცისის აღსასრულის დღემაც მოაწია.

— „მშვიდობით ფილემონ! მშვიდობით ბაუცის!“ ერთ და იმავე დროს შესძახეს მოხუცებულებმა და მყისვე მათი ბაგენი ხის ქერქით დაიფარნენ და სამუდამოთ დაღუპდნენ; ფილემონი გადაიქცა მუხათ, ბაუცისი ცაცხვის ხეთ.

ხალხმა იცის ამ მუხის და ცაცხვის ხის ამბავი და ამიტომაც იგი უხვათ ამკობს მათ ტოტებს გვირგვინით და თაიგულებით.

ა. ყუმისთაველი.





გასართობი

* *

ინგლისის მეფე გიორგი II მოკსაურობდა საფრანგეთში. ერთხელ ის მივიდა ერთ სოფლის ჰატარს სასტუმროში და საუბრით ორი კვერცხი მოითხოვა. საუბრის შემდეგ მეფემ ჰკითხა:

— რამდენი უნდა მოგცეთ?

— ორი გვინეი, ბატონო. უთხრა სასტუმროს ჰატარონმა.

— როგორ! თითო კვერცხი თითო გვინეი ღირს? განა კვერცხი ასე ძვირია თქვენ ქვეყანაში?

— არა, ბატონო, კვერცხი კი-არ არის, მეფეების ნახვას ძვირი! ჩვენ სიცოცხლეში ჰირველათ ვხედავთ მეფეს და ვინ იცის ამის მეტათაც აღარა ვნახოთ! მიუგო მოსამსახურემ.

— რასაკვირველია უნდა ისარგებლოთ ამ შემთხვევით. თქვა მეფემ სიცილით და გადისადა ფული.

* * *

ბენიამინ ფრანკლინი ერთხელ მივიდა ჰარიჰში. ერთმა სამეცნიერო საზოგადოებამ მიიწვია ის კრებაზე, სადაც უნდა წაეკითხათ სამეცნიერო გამოკვლევები. თუმცა ფრანკლინს არ ესმოდა ფრანგული ენა, მაინც მოინდომა კრებაზე მისვლა, არ უნდოდა უარის თქმით ეწეებინა სამეცნიერო საზოგადოებისთვის. რომ ეჩვენებინა ფრანგებისთვის ვითომ ფრანგული ენა ვიცო, თითონაც მოჭეუბოდა სოღმე ძრეული ტაშის კვრას, როდესაც სწვები დაუკრბდენ.

კრება რომ გათავდა ფრანკლინთან მივიდა მისი შვილი-ძვილი და უთხრა:

— ბაბუავ! ეგ რა ჰქენით? თქვენ სომ ვეულაზე მეტათ ტაშს უკრავდით მაშინ, როდესაც თქვენ სამეცნიერო გამოკვლევებზე ლაზარაკობდენ და გაქებდენო!

* * *

მოციკვავი ფიგურები.

გამოსჭერით თეთრი ქაღალდისაგან ადამიანების ან და ჰირუტეების ფიგურები. ამათ თითო ფეხსე მოაბით წმინდა ძაფები—თითო მტკაველი, ძაფებს ბოლოსე მიაკართ

პატარა რკვალი ტყეები და ვეელა ესენი სტოლზე მწკრივით დაწვეთ. შემდეგ აიღეთ ერთი ფურცელი ქაღალდი და ორივე გვერდიდან ძალიან გააცხელეთ ცეცხლზე, მერე ცხელი ქაღალდი მოიკდეთ ორ სელის გულს შუა და მაგრათ უსვით სელები; ეს ქაღალდი ისეთ ძალას მიიღებს, რომ თუ ვეელა ამას სწრაფათ გააკეთებთ და მერე შორი ანროს ფიგურების შემოდან დაიჭერთ და აქეთ-იქით გააქან-გამოაქანებთ, ფიგურები შეიქმნენ სტამბას, პროწიანს და აქეთ-იქით ფრიალს.

ამოცანა

მამამ აჩუქა სამ შეილს 17 ცენი იმ პირობით, რომ უეჭველათ ამნაირათ გაეყოთ: უფროსს უნდა მიეღო—საჩუქრის ნახევარი, შუათანას—ერთი მესამედი და უნცროსს ერთი მეცხრედი. ძმებმა დიდხანს იფიქრეს თუ რანაირათ გაეყოთ, მაგრამ ვერაფერი მოახერხეს, აღგენ და მიმართეს ვეკილს. მეორე დღესვე ვეკილი მობრძანდა ცენიო და გამოუცხადა სამივე ძმას, რომ გაყოფის სიადილის გულისთვის ჩემი ცენიოც უნდა შევეურიო თქვენ ცენებშიო. ძმები დაეთანხმენ. ვეკილმა ერთათ შეაგროვა ცენები და გაჰყო შუა; უფროსს ძმას ერგო 9 ცენი, ის დიდის სიამოვნებით დაეთანხმა, რადგან თუ ვეკილის ცენი არ მოშველებოდა ხომ არ ერგებოდა ამდენი. მეორეს არგუნა 6 ცენი, ესეც, რასაკურველია, სიხარულით დაეთანხმა. ბოლოს მესამეს მისცა 2 ცენი,—9+6 და 2, შეადგენდა. 17, რომელიც მიღებული ჰქონდათ მამისაგან; დარჩენილ მეთვრამეტე ცენზე ისევ შეგდა ვეკილი და გაუდგა გზას.

რაში იყო შემცდარი მამა, რომელიც იმ ნაირ პირობას უღებდა შეილებს?

ვინც მოიგონა ქართული ანბანი აიღეთ მისი სახელიდან პირველი სამი ასო, მიუხატეთ ქართული ქორონიკონი 10 და გამოვა საომარი იარაღი.

ერთი კაცი შევიდა მესაათესთან და დაუწყო საათებს რჩევა. ამოაჩნია, რომელიც მოეწონა, გაურიგდა ორმოცდა ათ მანეთათ, გადასცა მესაათეს ას მანეთიანი და ხურდა მოითხოვა. მესაათე, რადგან თითონ ხურდა არა ჰქონდა, გაიქცა მეზობელთან და დაახურდავა ას მანეთიანი. საათის მყიდველმა მიიღო ასი მანეთიდან რაც ხურდა ერგებოდა, ჩაიღო ჯიბეში საათიც და გაუღდა გზას. იმავე წამს მოირბინა მეზობელმა, რომელმაც ას მანეთიანი დაახურდავა და მესაათეს გამოუცხადა: ას მანეთიანი ყალბია და ჩემი ფული უკან დამიბრუნეო. მეტი რა ღონე ჰქონდა მესაათეს აღვა და ასი მანეთი ისევ დაუბრუნა მეზობელს.

რამდენი მანეთის ზარალი მოუვიდა მესაათეს?

ისტორიული ამოცანა.

ძველი დროის ისტორიაში რომელი მეფეებია იყვნენ ყველაზე უფრო განთქმული 1) სიმდიდრით, 2) სიბრძნით და 3) ძლევამოსილობით.



საქმაწვილო-ნახატებიანი ყურნალი

„ქ ე ჯ ი ლ ი“

წელიწადი მეთორმეტი

გამოვა 1901 წელსაც თვეში ერთხელ იმავე ზრგ-რამით, როგორცაჲც აქამდის.

ყურნალი „ქეჯილი“ მიღებულია თფილისის სუ-ხარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რწეუებისგან სასწავლებლის სამკითხველოებში საკითხავათ.

ყურნალი „ქეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისს კარეშე კავზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახე-ვარ წლით.

ხელის მწერა მიიღება:

1) თფილისში—„წერა-კითხვის გამ. საზოგადო-ების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თფით „ქეჯილი“-ს რედაქციაში (Арти-ллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса)

თფისის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

345/2
1901

№ II

საქართველოს
საზოგადოებრივი

საქართველო



თებერვალი 1901

„უტრნალ აჯეჯილისა“

83.

I	ღათვი (ნამდვილი ამბავი) — თ. წაზიკაშვილისა	3
II	მამაცი შაშვი — კახ-იმეჭლისა	9
III	ძველი მოურავი (ლექსი) — გ. ბოჭორასი	10
IV	ლედი ჯენ. მოთხრობა (თარგმანი) — ე. წყნეთელისა	13
V	მადლობის გადახდა (რუსულიდან) — ს. ციციშვილისა	34
VI	ბეკია და მისი ჯორი — გ. წყნეთელისა	38
VII	სამი არაყი და გონება (ლექსი) — პანასია	41
VIII	გიორგის საფლავზე (დასასრული) — ეკ. გაბაშვილისა	43
IX	წმიდა გუნდი — ი. გოგებაშვილისა	55
X	სპარსეთის მეფე კამბიზი — ა. უუმისთაქელისა	61
XI	მტრედის გამჭირიანობა — ტასოსი	65
XII	გასართობი	68
XIII	წერილმანი	70





საქართველოს სახატეზიანი

ქურონალი

იზარდუ, მუკანუ ჟივილო.
დაზურდი, გახდი უანო!..
ი. დ.

№ II

ფელიწადი მეთორგებთა

5974

ტფილისი

სტამბა გ. პ. როტინიანცისა, № 41 || ტიპ. Т. М. Ротиниани, Гол. пр., № 41
1901



Дозволено цензурою. Тифлиси, 27-го Января 1901 г.



დათვი

(ნამდელი ამბავი)

ვარელელ გლესს გ.ო ტურაშვილს მეტ
სახელათ „ლიმონ-ს“ ეძახდენ სოფლე-
ლები. ალბათ ეს სახელი იმიტომ და-
არქვეს, რომ ტანსე მუდამ მოუვითაღო

ჩოხას იცვამდა.

მაგრამ ამ ჩოხის ფერი არც უვითელი იყო და არც
წითელი. უფრო შემოდგომის ხადან ჩამოვარდნილ ფო-
თოლსა ჰგავდა სიძველისა და გაურყვსაობის კამო.

სოფელ ვარელს ტყე ზედ აკრავს. ძველ კასარმებსა
და კალაჯანს უკან თხილიან-წვრილიანია; ბლომათ დგას
შინდი, ჰანტა, ზღმარტლი, თხილი და მისთანა. მთელი
უვარკლი წვრილ საგოდრე წნელს სულ ამ ტყეში სჭრის
და ხალხი იოლათ გამოდის.

შემოდგომის ჰირი იყო, როცა შინდი მწიფება, ვენა-
ხებში უურძენი დაძვერახულია, წაბლი, რკო და წიფელა
დიდ ტყეებში ჯერ ჩამოუსვლელია, ცხვარი მთიდან ჩამო-
სულია და დათვიც, რაკი ბარში სიცხე აღარ შეაწუხებს,
ძირს არის ჩამოსული და შინდსა და ჰანტებსე დაეხეტე-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა


ბა. ამ დროს დათვა მხდალია, თუძცა-კი სოფლის ხმაურობა, ძაღლების ეეფა, მამლების ეივილი, ბავშვების ტირილი. მებაღეების ქვირილი და თოფის ხმა აინუნძიაც არ მოსდის; არხეინათ ზის შინდზე, ან ჰანტაზე და სკლეჰს, ან ფოთლებ ქვეშ თხილს ემებს და აგნატუნებს. ამ დროს ის კაცს არას ერჩის და თუ დმერთი გაუწერა და კაცი სიიდანმე დაეხედვა, — ღრიალით გასკდება; ჰანტიდან გულგანხეთილი მიწს ზღართანს მოიღებს და თავკადაგლეჯილი გარბის, სითაც მოჰხვდება.

„ლიმონა“ კაი გამრჯელი გლეხი კაც იყო, ევარელში თავისთვის ვენახიც ჰქონდა და არც ლუკმა აკლდა. ლიმონა რთვლისთვის ემზადებოდა და რაკი კოდრები აკლდა, სთქვა: წავალ, ტეე აქვე ცხვირ წინა მაქვს, წნელს მოჰჭრი და ორიოდე მოსაკიდს მანც მოვხსლართავ, რომ სხვისა ღრეჯა და თხოვნა აღარ მომინდესო. ერთ დილას აიღო წალღუნა და გასწია შინდიანისკენ.

ქართლში მანეულის კოდორია გათქმული და კახეთში — შინდისა.

ლიმონა რჩევაში არ შესულა და, რაც ხელში მოჰხვდა, ეველას დაუწო ჭრა: თხილს, შინდს, ძინდანწლას და სხვას.

რადგან დათვისა ცოტადენი ხათრი და რიდი ჰქონდა, ამიტომ შორს ვერ წავიდა და იქვე სოფლის ახლო სჭრიდა, ასე რომ კარგათ არჩევდა სოფლის ღრინაცელს,





გზასე შიშვალს და თავის სახლის ბანსაც. მანც „სიფთხი-
ლეს თავი არ ასტკივარ“, ამბობდა და ეური მახვილათ
ეჭირა.

ამავე დღეს ლიმონას შესობელ მედუქნეს, რომელსაც
მეტ სახელათ „კოლოტას“ ეძახდენ. ქათმების გალიების-
თვის წნელი დასჭირებოდა და ისიც იმ ტეეში წავიდა,
სადაც ლიმონა წნელსა სჭრიდა.

ამასაც გულში ცოტაოდენი შიშის ქარი ჰქონდა, რომ
გაეგო ლიმონას წასვლა, უეჭველათ იმას გაჭეუებოდა.

— ვა! რა ვიცი, ნადირია, კაცი ხომ არ არის, ამ-
ბობდა კოლოტა, — ერთიც ვნახოთ მე ჩემთვის არსენათ
წნელსა ვჭრი, უცეფ ერთი მშიერი დათვი სედ დაძაწევს.
ვინდა მიძველის? ვის დაუუძახო? სანამ ვინმე მომეძველე-
ბა, ნადირმაც რომ არ გამაფუჭოს, შიში მომკლამს! ნე-
ტა, რატომ არ ეძინანთამ ოხერ ფძაველებს და თუშებს,
ტეეში რო დაღიან და ნადირობენ?

ერთიც ვნახოთ, წამოსტა მკელი, ან კადმოუვარდა
დათვი, — თოფიც არ გაუვარდა!

რა? ძნელია!? — ეშმაკს რა არ შეუძლიან.

ბაზარში რომ მკვდარ დათვის ჩამოატარებენ, მე მაში-
ნაც მეძინან, ბუტბუტებდა კოლოტა თავისთვის.

კოლოტას უფრო სუფთა წნელი უნდოდა და სულ
თითოობით უნდა მოერწია. მანც შორს ვერ წავიდა და
სწორეთ იმ ადგილას მივიდა, სადაც ლიმონა წნელსა
სჭრიდა.

ლიმონს თავის საქმეში იყო კართული და კოლოტას მისვლა არ გაუგია.

კოლოტასაც რა მოაგონებდა თუ აქ ლიმონს იქნებოდა წნელის საჭრელათ.

კოლოტას უური მახვილათ ეჭირბ და თვალებს აქეთ-იქით აცეცეებდა, რომ უბედურება არა შემთხვეოდა-რა, ნადირს არ გაეფუჭებინა.

მართლაც სულ არ მოეჭრა ოცი წკეპლად, რომ კოლოტას რაღაც ფანიფუნი და ფშენვა მოესმა.

კოლოტამ უურები ცქვიტა.

მართლა, რაღაც არის, არ მოსჩვენებია!

კოლოტას ტანში ციება ჟრუხანტელმა დაუარბ, ბანალი აებურძენა და თმა ჯაგარვიით აუდგა.

მანც უდური არ გაიტყნა და ფეხი წინ წადგა: იქნება კაცია, იქნება ვისიმე საქონელი ამოესეტა, ან გული რაზე გაიხეთქოს, ან სოფელში რაზე შერცხვეს!

წაიარა კიდევ და დაუგლო უური,—ჩაკიჩუკი ისმის, თითქო დათვი თხილს ამტვრევსო.

დაიკუსა კოლოტა, გაიხედა შინღებში და სულ რამდენიმე ნაბიჯის მოძორებით წითლათ გამოხნდა რაღაც; არც წითელია, არც უვითელი, სწორეთ იმ ფერია, რა ფერიისაც დათვია შემოდგომით. დაამტვრდა კარგათ; აგერ ზურგის ბალანიც დაუნახა, კუდიც, უკანა ფეხებიც.

კოლოტას გულმა ისე დაიწყო ბაგაბუკი, თითქო

წისქვილის ქვა აბრაგუნებსო. კოლოტას შეეშინდა, ეს ჩემი გულის ბრავაბრუვი დათემა არ ცაიკონოსო. აბა რა-და ფეხს წასდგამდა, იქვე გაშეშდა. დათვი-კი ხან აიძარ-თება, ხან დაიკუსება, თითქო კოლოტასკენ მოდის...

— ვაიმე დათვიი!! ერთი სასარლათ დაიდრიალბ კო-ლოტამ, დაჭყარბ სელიდან წწელიც, წალდიც და დაეშვა ამ შინდიანსე სოფლისკენ. ძირბის კოლოტა, ძირბის, ერთი ლეწა-მტვრევა და ფანსი-ფუხსი უღვას. უკან რაღა მო-ახედებს; სულ ზედა სტება თხილებსე და შინდებსე.

— დათვიო! ამ დაუვირებასე წაკუსულმა დათვამც შეჭბლაულა: „ვაიმეო!“ და დაეშვა ესეც ტეე და ტეე კოლოტას კვალ-და-კვალ. ძირბის კოლოტა, ძირბის, რაც ძალი და ღონე აქვს, მიხტის; აბა რაღა ეშმაკისათვის დახოგავს ჯანსა, თან ესმის, რომ დათვიც შორი-ახლო მოსდევს.

ჭა, ეს არის დაეწევა, ეს არის კბილს ჩასჭიდებს კი-სერში და წათრევეს სოროში. შიშით კოლოტა განა-და უკან მიიხედავდა. შიშით აღარც ის მოაგონდა, რომ ხა-ტისათვის და ღმერთისთვის რამე შეეთქვა, ოღონდამ უბე-ღურებას ვადარჩენოდა.

როგორც იყო, რის ვაი-ვაგლახით, ჩამოკლეჯილ-ჩა-მოფლეთილი გამოვარდა ტვიდან და ველზე დაეშვა. ეს დათვიც გამოვარდა ტვიდან და შესედა, რომ კოლოტა გარ-ბის ქვევითკენ ქუდ-გადაკლეჯილი.



რაკი ლიძონა ტუიდან გამოვარდა, თავი სამშვიდობოს გამოსულათ ჩასთვალა, გული მოიბრუნა, თფლი მოიწმინდა და ჯერ ეური დაუგდო, აბა ტეეში მორბის ვინმე, თუ არაო და რაკი ვერაფერი დინახა, შერე კოლოტას მიაძახა:

— კოლოტ! ჭბი კოლოტ! რადას კარბისარ, შე ოსერო, რაზე გამისეთქე გული, სად იყო დათვი?..

მთელ ერთ თვეს ევარელები კოლოტას ეელს აჭრევენებდენ, ლიძონა დათვით მოეჩვენა და კინაღამ ქელესი გვაჭამაო.

თ. რაზიკაშვილი.



მამაცი შაშვი.

რკენი ციცუნია ძალიან მსუნავი რამ არის. საფხულში დიდიდან სადამომდე ვინ იცის სად არ დამვრება, დაცნალებს მინდვრებში, ჩირკვებში, ტუეებში და ეძებს ფრინველების ბუდეს. სშირათ ჩაიკდებს ხოლმე სელში საბრალო ჩიტების ბუდეებს და კვერცხებით და ბარტყებით ჰირს იტკებანურებს. მაგრამ სშირათ ჩაშხამდება ხოლმე ასეთი მსუნავობა.

ერთხელ კატამ ბუჩქში შავი შაშვის ბუდეს მიაგნო. კარგი ლუკმა იყო, სწორე კითხრათ; ბუდიდან სუთ ბარტყს გადმოეყო თავი. კატას თვალები ცეცხლივით აენთო. აჰა, ეს-ეს არის უნდა მოიტაცოს საბრალო ბარტყები, ამ დროს მოვარდა გამწარებული დედა; მიაფრინდა კატას და დაუწყო კორტნა თავში, თვალებში და ცსვირში. კატა ისე გაამწარა გამბედავი შაშვის ნისკარტმა, რომ სრულიად დაუკარგა ბარტყების მოტაცების სურვილი და სახლისკენ მოჰკურცხლა. წარმოიდგინეთ, როგორ გაეხარდებოდათ ეს გამარჯვება დედა შაშვის და მის ჰაწია ჩიტუნებს.



კახ-იმერელი.



კველი მოუხაპი.

ამდენი ფარა ცხვარისა,
 ცხენის. ხარ-ფურის ჯოგია,
 წინეთ ამკობდა ამ ეზოს!“

იგონებს ბერი გოგია.

—ოხრავს, და ცრემლი ეცემა
 თვალთაგან სპეტაკ წვერზედა,
 რა წინ ეხატვის ძველი დრო
 მოხუცს გადამდგარს სერზედა...
 ძველი სასახლის დიდება,
 დოვლობა დაფლეველი;
 სალარო გამოტენილი,
 გადაჭიმული ტყე-ველი!..
 გამოიცალა სალარო,
 გაწყვა პირტყევთა ჯოგია!..
 მარტოკა მარნის გასაღებს
 ატარებს ახლა გოგია!..
 ველარ უმარჯვებს კლიტესა,
 სულ უკანკალებს ხელია;

მაინც პატრონობს მარანსა
 ერდგული ძველთა-ძველია!..
 როცა შეაღებს კარებსა,
 შიგ შედის თავის ქნევითა;
 ათვალიერებს ქვევრებსა
 გრძელი ჩიბუხის წვევითა!..
 წინეთ რომ წითელ ღვინითა
 ავსილი იყო ჭურები
 და ზედ ლხინობდენ სტუმრები,
 საიდან — სადაურები;
 დღეს ყველა ცარიელია,
 აღარ ჭაჭანებს შიგ ღვინო;
 და მზათ არიან ბანითა,
 ერთი რომ დატლილინო!..
 მაგრამ გულს მაინც არ იტყეს
 დიდ-მოურავი გოგია.
 ნუგეშობს: -- კვალად იმრავლებს
 დაუთვალავი ჯოგია.
 ვენახიც ძველებრ მოისხამს,
 გაივსებიან ჭურები;
 კვალადვე დაფასდებიან
 ძველი დროს ნამსახურები...
 თვითონაც ელის ძველ ჯანსა
 ხელახლავ გაყმაწვილებას;

ვერ გაუბედავს ვერავინ
 მეტოქეობას — ცილებას!..
 ასე ხსნის თავის მიზეზებს:
 — რომ ვაკანკალებ ხელებსო,
 ეს სულ ქარების ბრალია,
 აბანო გამიმრთელებსო!
 ემუდარება გაზრდილსა,
 — გამიშვი სადმე წყალზეო,
 გამოვმრთელოდები სამუდმოთ,
 ხორცი შემესხმის ძვალზეო!..
 მარანსაც კარგათ მოვუყვლი
 და დავაყენებ ღვინოსო,
 რომ ძველებურათ სტუმრები
 ქეიფით მოგიღიხინოსო!..
 გაზრდილიც ასე კვირდება
 და აიბედებს დღეს ხვალით!
 ითვლის მოხტუცი დღეებსა
 თავის და ხელის კანკალით.
 ნუგეშობს მომავალითა,
 და მით იქარვებს წყლულებსა,
 მაგრამ განვლილსა სიცოცხლეს
 უკან რა დაუბრუნებსა?..

გ. ბოკერია.

ლ ე დ ი ჯ ე ნ .

(ჯემისონის მოთხრობა)

(თარგმანი)

I

სისუმრი ყანა



ბუნების მშვენიერებით უხვად შემკულ ამერიკის შტატში, ტენასში, საოცარა სისწრაფით მიჰქროდა მატარებელი ლუიზიანასაკენ. შუა ზაფხული იყო, საშინლათ ცხელოდა; ვაკონები, განსაკუთრებით მესამე კლასის, ისე გამოტენილი იყო მოგზაურებით, რომ თავის კუდის მოსაქნევი ადგილიც-კი არსად ჩნდა თავისუფალი. სიცხისაგან ყველას სული ეხუთებოდა, ამიტომ არც-კი არაეის აგონდებოდა ყუ-

რადღება მიექცია ბუნების მომხიბლავ სურათებისთვის; მხოლოდ პირველ კლასში მჯდომი ორი მოგზაური, ახალგაზდა ქალი და პატარა ბავშვი, ცნობის მოყვარეობით და აღტაცებით აკვირდებოდნენ იმ მშვენიერ სურათებს, რომლებიც მათ თვალ-წინ იშლებოდნენ და ყოველ წამს იცვლებოდნენ. მოხდენილი და ლამაზი ახალგაზდა ქალი მთლათ შავებში იყო, პატარა ბავშვს თეთრი, უბრალოთ, მაგრამ კოხტათ შეყვრილი კაბა ეცვა, წელზე განიერი შავი აბრეშუმის სარტყელი ერტყა და თავზე ფართე კიდებიანი ჩალის შლიაპა ეხუთა; შავი გრძელი ჩულებები და პატარა, მორთული, გალქული ფეხ-



საცმელები ლამაზათ ეხამებოდენ მის ტანსაცმელს; ბავშვის მეტათ ნაწ და მიმზიდველ სახეს საოკრათ ამშვენებდენ ვარდის ფერი ლოყები, დიდი, ცისფერი, შავი გრძელი წამწამებით დაჩრდილული თვალები და სქელი, გაშლილი ხუჭუჭი ოქროს ფერი თმა, რომელიც ლამაზათ ჰფარავდა მის მხრებს და შავი სარტყლის უკან გამოკრულ დიდ ბანტს.

ახალგაზდა დედამ ვადიდგო სახიდან შავი პირბადე; შლიაპის ქვეშიდან ჩამოეშვა მის მაღალ შუბლზე ისეთივე ოქროს ფერი, ხუჭუჭი თმა, როგორიც პატარა ქალს ჰქონდა; პირველ შეხედვაზევე ეტყობოდა, რომ საშინელი დაღალული იყო და არც სულ კარვით უნდა ყოფილიყო; სიცხისაგან ლოყები მთლათ ანთებული ჰქონდა, მის ნამუხრალე თვალებში, მთელ მის გახნდარ, მოგრძო სახეზე გამოუთქმელი ტანჯვა და მწუხარება იხატებოდა.

გაღებულ თანჯარასთან მდგომი ბავში ხშირათ მოაბრუნებდა ხოლმე თავის ლამაზ, პატარა სახეს დედისაკენ, მიეკერებოდა მის განხდარ ლოყას თავისი გაპუტულებული, ნაზი ლოყით და სიყვარულით ჰკითხავდა ხოლმე დაბალი ხმით:

— თავი კიდევ გტკივა, დედა?

— ცოტათი, ჩემო გოგონა!—და დედა ალერსით გადუხეამდა ხოლმე ხელს ბავშვის სქელ, ხუჭუჭ თმას.

დამშვიდებული ბავში ისევ თანჯარას მიეყრდნობოდა, მწუხარე დედა-კი თავს ძირს ჰქინდრავდა და ორივე ხელებით სახეს იფარავდა.

— დედა, დედიკო, შეხედე, რა ლამაზი პატარა მდინარეა! — წამოიძახა უცებ ბავშმა.—რა მშვენიერი სახლებია! ნეტაუი აქ გაეჩერდებოდეთ! ვისეირნოთ აქ, დედა!

— ჯერ ჩვენთვის აღრვა გადმოხვლა!—მიუგო დედამ, ასწია ზევით ძირს მძიმეთ დახრალი თავი და მოქანცვით შეხედა პატარა ქალს.—ცოტა კიდევ მოიცადე, მალე ნიუ-არლენში მივალთ და იქ მოგცემ სირბილის და თამაშის ნებას.

მატარებელი პატარა სადგურთან გაჩერდა. ვაგონში ჩქარი ნა-
ბიჯით შემოვიდა ერთი მოგზაური და დედა-შვილის პირდაპირ, ცა-
რიელ საეარძელზე დაჯდა. ეს იყო მშვენიერი შესახედავი, 15—16
წლის ახალგაზდა ვაჟი; მისი ბრწყინვალე თაფლის ფერი თვალები
მზიარულათ გამოიყურებოდნენ მუქ წარბებს ქვეშიდან; საზოგადოთ,
მთელ მის სახეს მზიარული, მოლიმარი გამომეტყველება ჰქონდა;
თავს ისე თავისუფლათ გრძნობდა, რომ ეტყობოდა, მარტო მგზავე-
რობას დიდი ხანია შეჩვეული იყო. ცალ ხელში სამგზავერო ჩანთა
ეკავა; მეორეში თავ-მოკრული მალალი, წვრილი კალათი. დაჯდა
თუ არა, ყმაწვილმა მზიარულათ აათვალიერა-ჩათვალიერა თავისი
თანამგზავრები. მერე კალათი გვერდით მოიდგა, ზევიდან თითით
დაურახუნა და ჩიტივით დაიწრიპინა.

— პი-იპ! პი-იპ! — უპასუხა ვილაცამ კალათიდან.

ვაჟმა გულიანათ გადინახარა.

შემოვიდა თუ არა ვაჟი ვაგონში — ხუჭუჭი ოქროსფერ თმი-
ანი თავი მაშინვე მოცილდა ფანჯარას და პატარა ქალის ლამაზი,
ცისფერი თვალები დაკვირვებით მიაშტერდნენ ახალ შემოსულ მო-
გზაურს.

ვაჟის გული მაშინვე მიიზიდეს ახალგაზდა მწუხარე დედამ და
პატარა, მშვენიერმა ქალმა; უეცრათ ამ პატარა ქალს თვალები
ცრემოვებით ავესო, მან ერთხელ კიდევ დაკვირვებით შეხედა მო-
ლიმარ ვაჟს, მერე მიეკრა დედის მხარს და ნელა, დაბალი ხმით წა-
უფურჩულა მას:

— დედა! იმ კალათში რალაც ცხოველია! ისეთი მინდა მისი
ნახვა!

— ჩემო გოგონა, ის კაცი ხომ ჩვენი ნაცნობი არ არის, რო-
გორ შემიძლია რომ ჩაეაცოდე კალათი განსნას! იქნება გულიც მო-
უვიდეს!

— არა, არა, დედიკო! წელან რომ შემომხედა — გამიღიმა! ის არ
გაწყრება! ეკითხავ, რა ჰყავს კალათში, შეიძლება? ხომ შეიძლება?

ახალგაზდა დედამ თანამგზავს შეხედა. ვაჟმა მხიარულათ გაიღი-
 მა და თვალებით კალათზე უჩვენა.

— მგონი ბავშვს ნახეა უნდა, რა არის კალათში, არა? — მაშინ-
 ვე ჰკითხა მან და კალათს თავის მოხსნა დაუწყო.

— ეს თქვენი მხრით ნამეტანი გულკეთილობაა! — წყნარათ მი-
 უგო ახალგაზდა ქალმა. — ჩემი შეიღი მარწმუნებს, რომ მაგ კალათ-
 ში რაღაც ცხოველია!

— არც ცდება! — თქვა ვაჟმა. — მართლა ცხოველია, და მერე
 ისეთი ცქეტი, ისეთი მარდი ცხოველი, რომ კალათის თავის ახდი-
 საც-კი მეშინია!

— მიდი, გენაცვალე, ნახე, რა არის! — მიუბრუნდა დედა პატა-
 რა ბავშვს და კალათისაკენ მისწია.

ბავშვმა დაკვირვებით მიაპყრო ვაჟს თავისი დიდი, ცისფერი
 თვალები.

— არა მგონია, რომ ამ ცხოველის მსგავსი რამე გენახოსთ
 თქვენ სიცოცხლეში! ღიმილით შენიშნა ვაჟმა. — ეს მოშინაურებუ-
 ლი ფრინველია, ვერ წარმოიდგენთ, რა სასაცილო! თანჯრები გა-
 ლებულა, მეშინია, არ გამოფრინდეს, ისეთი მარდი და მოხერხებუ-
 ლია, რომ მეტი არ შეიძლება. იცით, რა ექნათ? მე სახურავს აეწვე
 და დაეკაეებ, თქვენ-კი შიგ შეიჭვრიტეთ!

ბავშვი მიეჭედა სახით კალათს... და უცებ მხიარულმა, ალტა-
 ცებულმა ღიილმა მთლათ გაანათა მისი ნაზი, ლამაზი სახე.

— რა ლამაზია! რა ჩიტია? — სწრაფათ იკითხა მან, დაინახა თუ
 არა კალათში ფეხებ მოკცცილი ფრინველი, რომელსაც ძალიან
 გრძელი ნისკარტი და რგვალი, ბრწყინვალე თვალები ჰქონდა. —
 არაოდეს არ მინახავს ამისთანა ჩიტი! რა ჰქვია?

— ეს ცისფერი ყანჩაა. ძალიან იშვიათია ამ ფერი ყანჩები!

— ცისფერი არაა! ცოტათია მოცისფრო! რა ლამაზია, რა მშვე-
 ნიერია! შეიძლება ხელი მოვუსვა?

— შეიძლება. შეჰყავით კალათში ხელი. ნუ გეშინიათ, არ გიკ-
 ბენსთ.

— არ მეშინია! — ამაყათ მიუგო პატარა ქალმა, ჩაჰკო ხელი კალათში და დაუწყო ხელის სმა ფრინველის ლამაზ ფრთებს.

— ფანჯრები რომ ღია არ იყოს, ამოვიყვანდი, იატაკზე დაესვამდი და სიარულს დაიწყებდა. ვერ წარმოიდგენთ, რა სასაცილოთ დადის! მერე რა ჰქვიანია, რომ იცოდეთ! როგორც დაეუძახებ— მაშინვე მორბის ჩემთან.

— რა ჰქვია?

— „ტონი“ დავარქვი. როცა პატარა იყო, სულ „ტონ-ტონ“, „ტონ-ტონ“-ს იძახოდა.

— ტონი? ისეთი სახელა დავირქმევიათ, თითქო პატარა ქალი იყოს! — ბავშს მხიარულათ გაეღიმა.

— თქვენ-კი რა გქვიათ? — ჰკითხა ვაჟმა. — ძალიან მინდა, თქვენი სახელი გავიგო.

— მე მქვია „ლედი ჯენ“.

— „ლედი“ ჯენ! — გაკვირვებით გაიმეორა ახალგაზდა მოკვარუმა. — რა უცნაური სახელია!

— მამა ყოველთვის „ლედი ჯენ“-ს მიძახოდა, მას აქეთ სხენებიც ასე მიძახიან.

დღემ მწუხარეთ შეხედა თავის მოტიტინე პატარა ქალს და თვალები ცრემლებით ავესო.

— იქნება თქვენც გინდოდესთ ჩემი პატარა ყანჩის ნახვა? — ჰკითხა ვაჟმა ახალგაზდა ქალს და კალათი მისკენ მისწია. — თეთრი ყანჩა — ჩვეულებრივი მოვლენაა, ცისფერს-კი ძალიან იშვიათათ შეხედება კაცი.

— მადლობელი ვარ. მართლა რომ იშვიათათ შეხედები მაგფერ ყანჩას. თქვენ თითონ დაიჭირეთ?

— დიას. და სრულიად მოულოდნელათ. ერთხელ ენადირობდი ბიძა ჩემის მამულში, აი, იმ სადგურის ახლო, სადაც ახლა მე

*) „ლედი“ — ინგლისურით ნიშნავს „ქალბატონ“-ს.

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

საქართველოს
ბიბლიოთეკა

ჩაეჯექი ვაგონში. შემომალამდა. სახლში საშინლათ მიმეჩქარებოდა; უცებ-ვაგივანე, რომ ღალაც იძახის: „ტონ-ტონ“, ტონ-ტონ!..“ შეეჩერდი, დაეილუნე—და ყანჩა დაეინახე: ისეთი პატარა იყო, რომ ფრენა ჯერ არც-კი იცოდა. ასწია ზევით თავი და მომაშტერა თავისი რგვალი თვალები. საშინლათ შემეცოდა, ავიყვანე და სახლში წამოვიყვანე. მას აქეთ მომეჩვია, ახლა ხმაზედაც-კი მცნობილობს.

ვაქმა კალათი ძირს ჩამოდგა. ბაგში მას აღარ ცილდებოდა და სიამოვნებით უსვამდა ყანჩას თავის პატარა, ფუნთოლში ხელებს.

— მგონი, ძალიან მოეწონა!—ღიმილით მიუბრუნდა ახალგაზღდა მგზავრი ბაგშის დედას.

— ჰო, ძალიან უყვარს ფრინველები და პატარა ოთხფეხები. კიდევ ჰყავდა ბერი... მაგრამ ყველა სახლში დაეტოვებოდა და ახლა ძალიან მოწყენილია უშიშრობით.—მწუხარე ქალის თვალები ისეე აივსო მსხვილი ცრემლებით.

— ნება მომეცით, რომ თქვენ ქალს ჩემი ტონი ვაჩუქო.

— არა, არა, მაღლობელი ვარ! რისთვის უნდა მოიკლოთ მაგისთანა სიამოვნება...

— გარწმუნებთ, რომ ჩემთვის ეს არაფერი დასაკლოსი არ იქნება. სულ ერთია, ქალაქში რომ მივალ—მინც ვინმეს უნდა მიეცე, სასწაელებელში ჩემთან არ შეუშვებენ, სახლში-კი არავინ მყავს ისეთი, რომ ჩაეზარო. ძალიან მაღლობელი ვიქნები, თუ „ლელი ჯენ“-ს ყანჩის წყევანის ნებას მიცემთ.—არწმუნებდა ახალგაზღდა ვაჟი და თან ღიმილით ადგენებდა თვალს ბაგშის აღელვებულ სახეს.

— დედა, ჩემო კარგო, საყვარელო დედა! მაჩუქოს ჩიტი!—წამოიძახა ლელი ჯანმა და ორივე ხელი ხვეწნით გულზე მიიკრა.

ახალგაზღდა დედა რამდენიმე ხანს ყოყმანობდა, ბოლოს მინც უარი გამოაცხადა. ვაჟი მეორე ადგილს გადაჯდა, დედასთან უფრო ახლო.

— მე მინც იმედი მაქვს, რომ მაგ აზრს შეცვლით!—პატარის-ცემით დაიწყო მან. კატარა ქალი-კი სრულ სასოწარკვეთილებაში ჩაეარდა.



— დედა! არც კატის წამოყვანის ნება მომცეს, არც ჩემი პატარა ლეკვის, არც სხვების.. უიმათათ ისე მოწყენილი ვარ...

— კარგი, კარგი, შენ გენაცვალე... — შეჩერა დედამ.

— კალათის გვერდში მანც დავჯდები და ჩიტს ხელს ვუსვამ!

— გადმოჯდეს ჩემ გვერდით! — თხოვა ახალგაზნად დედას ეჭმატ.

— შეხედეთ, როგორი დაღალულია ბავშვი, ცოტა გართობა ეჭირვება!

— გმადლობთ... მართლაც დაღალულია. შორიდან მოვდივართ, სენტანტონიოდან. აქამდის სულ ჭკვიანათ ეჭირა თავი, ყველაფერს ითმენდა... კარგი! გადმოჯდეს თქვენთან!

ეჭმა კარგათ მოათავსა ბავში რბილ საფარძელში, ფანჯარაზე ფარდები ჩამოუშვა, რომ ყანჩა არ გაფრენილიყო, დადგა ძირს კალათი, ამოიყვანა შიგნიდან ფრინველი და ლედი ჯენს კალთაში ჩაუსვა.

— შეხედეთ!.. — უთხრა მან ბავშვს. — ცალ-ფეხზე პატარა თასმა შემოვაკერე; ამ თასმაში წერილი თოკის გაყრა შეიძლება. თუ დედა ნებას მოგცემთ, რომ ჩემი ტონი წაიყვანოთ, როცა სადმე წახვიდეთ ხოლმე — ეს თოკით რასმეზე მიიბით. მაშინ აღარ იეშმაკებს და არც არაფერს მოიწყევს.

— მართო არაოდეს არ დაეტოვებ ხოლმე სახლში! — გადაწყვეტილთ გამოუცხადა ლედი ჯენმა. — ყოველგან, სადაც წავალ, თან წაიყვან!

— ძალიან კარგი. თუ როგორმე დაგეკარგათ — აი, რა ნიშნით შეგიძლიათ მაგის პოვნა. — ეჭმა გაუშალა ყანჩას ფრთა და აჩვენა სამი შავი ჯვარი, რომლებიც ზედ იყო დახატული. — ასეთი ჯვრები აქვს ორთავე ფრთაზე; როცა ფრთები შეკეცილი აქვს — მაშინ ჯვრები არ ჩანს, როცა გაშლის — მაშინ — კი ცხადათ ეტკობიან. რაც უფრო გაიზდება ყანჩა — მით უფრო გადიდდებიან ჯვრებიც. ამ ჯვრებით მაშინვე იცნობთ ტონის, რაც უნდა ღიდი ხნით მოცილდეთ მას.

— თუ დედა ნებას მომცემს, დღესვე შემიძლია წავიყვანო თან ტონი?

— რასაკვირველია. კალათი ძალიან მჩატეა, არ დაგამძიმებსთ.

— იცით, რა გითხრათ! — უცებ ნელი ხმით წაუფურჩულა ბავშვ-მა და მორიდებით გადახედა დედას, რომელიც საეარძელს მიყრდნობოდა და, ეტყობოდა, სთელემდა, — მე ძალიან, ძალიან მინდა ჩემი ლეკვის, კარლოს, ნახეა. ჩემი კატუნისაც, ცხერებისაც... მაგრამ დედას იმათზე არაოდეს არ ველაპარაკები ხოლმე, მაშინვე ტირილს დაიწყებს.

— რა კეთილი გოგონა ყოფილხართ, ავრე რომ უფროთხილდებით დედა თქვენს! — უთხრა ახლოგზდა თანამგზავმა, რომელიც ძალიან ასიაშოგნა ბავშვის გულახდილობაჲ. თითონ მას არ უნდოდა არაფერი გამოეკითხა მათ შინაურ კდგომარეობაზე, რისამე გაგება-კი ძალიან სურდა.

დედას ჩემს მეტი აღარაინ ჰყავს ახლობელი ქვეყანაზე! — ჩურჩულით განაგრძო ლედი ჯენმა — მამა წავიდა... დედა ამბობს, დიდ ხანს, დიდ ხანს აღარ დაბრუნდება ჩვენთანო... იცით, ის მოკვდა. აი, ამიტომ შივატოვეთ ჩვენი სახლი. ახლა ნიუ-იორკში უნდა გადავსახლდეთ.

— უწინ ყოფილხართ ნიუ-იორკში? — ჰკითხა ეაქმა და სიყვარულით შეხედა ოქროს ფერი თმით შემკულ თავს, რომელიც მის მხარს მინდობოდა.

— არა, არაოდეს. სახლიდან არსად არ წავსულოვარ ჩემ სიცოცხლეში. ჩვენ პრერიებში *) ეცხოვრობდით. კარლო, კატუნია, ცხერები — ყველა იქ დარჩენ. ჩემი პატარა ცხენი, „ნარგიზა“ — ც იქ დარჩა. იცით, რატომ ჰქვია ნარგიზა? იმიტომ რომ ოქროს ფერია.

*) პრერიები — ამერიკის დიდ კელებს ქვეყანა, სადაც სამოკრატო უშკებენ აუარებულ ცხენების ჟოკებს და ცხენის ფარებს. ცხერების და ცხენების პატრონები იქვე იშენებენ, კელებს, დიდ, გარტათ მოწყობილ, სახლებს.

— მე-კი ნიუ-არლენანში ეცხოვრობ. მეც მყავს იქ მეგობრები..— და ეაქმა დაიწყო მათი ჩამოთვლა.

ლედი ჯენი ყურადღებით ისმენდა მას ლაპარაკს... მაგრამ ნელ-ნელა ძილი მიეპარა, ჩაჰკიდა ძირს თავი და ღრმით ჩაიძინა. ნაზი, ვარდისფერი ლოყა ბავშვა ახალ მეგობარს დაანდო მხარზე, ორივე ხელი-კი ცისფერ ყანჩას შექმობხვია, თითქო ეშინოდა, არაეინ წამართვასო.

შემოღამდა. ვაგონში მისვლა-მოსვლა ატყდა. ბევრი მგზავრები წამოდგენ და გადმოსვლა დააპირეს.

ლედი ჯენს არც-კი გაუკია, როგორ გამოაცალა ახალგაზდა ეაქმა ხელიდან ყანჩა და როგორ ჩასვა ის ხელახლავე კალათში. ამ დროს ბავშვს დედა მიუახლოვდა.

— დედა! რომ იცოდე, რა კარგი სიზმარი ენახე!— უცრათ თვალეზი გაახილა და მხიარულათ წამოიძახა პატარა ბავშვა.— ეითომ სახლში ეიყავი, პრერიებში.. მე და ტონი ერთათ ესეირნობდით. ნეტავი სიზმარი კი არა, ნამდვილი ყოფილიყოს!

— მადლობა გადაუხადე, ეენაცვალე, ამ ემაწვილს, რომ ისეთ ყურადღებას გაქცევედა გზაში. აი ნიუ-არლენანს მიეუახლოვდით და ყანჩა კადევეც ჩასვეს კალათში. ადექი.. მოდი, თმას ვაგისწორებ და შლიაპას დავახურავ.

— დედა, ჩიტე? არ წაეიყვანო?

ეაქმა თხოენით შეხედა ახალგაზდა დედას.

— წაეყვანოს!— თქვა იმანაც და კალათს თავი მოუკრა.— გაართობს, ასიამოენებს... კალათი სრულეზითაც მძიმე არ არის!

— თუ უსათუოთ გადაწყვეტილი გაქვსთ, რომ ეისმეს აჩუქოთ — კარგი, მიეცათ ჯენს, წამოეყვანოს!— თქვა ბოლოს ახალგაზდა ქალმა.

ეაქმა კალათი ლედი ჯენს გადასცა, ბავშვა აღტაცებით სტაცა მას ორივე ხელი.

— რა კარგი ხართ!— გამოუთქმელი სიხარულით წამოიძახა მან

—მე თქვენ არაოდეს, არაოდეს არ დაგივიწებთ! ტონის ერთი წუთითაც აღარ მოვიშორებ! —ვაჟმა გაიღიმა, თუმცა სახეზე წყენა ეხატებოდა. მას ეძნელებოდა თავისი საყვარელი ყანჩის მოშორება, ეძნელებოდა აგრეთვე დაშორება ამ მშვენიერ ბავშვთან, რომელმაც პირველ შეხვედვაზევე მიიზიდა მისი გული, მაგრამ, ჯენის უსასწერო სიხარული რომ დაინახა — თითონაც უნებლიეთ გამხიარულდა.

— ჩვენ ქალაქის იმ ნაწილში უნდა წავიდეთ, სადაც ჯექსონის ქუჩაა. ეს მგონი ქალაქს გარეთაა, არა? — იკითხა ბავშვის დედამ. — მეორე რომელიმე სადგურიდან ხომ უფრო ახლოს არ არის ეს ნაწილი?

— როგორ არა, სადგური გრეტისაგან ხუთ წამს შემდეგ მიხვალთ. იქ გადმოდით, ისევე ბორანით მდინარეზე გადადით და იმ ნეთსადგურთან მიხვალთ, საიდანაც ჯექსონის ქუჩა იწყება. იქ ყველთვის ბევრი ეტლები დგას. თუ გრეტაში ჩამოხტებით — ერთი საათით უფრო ადრე მიხვალთ.

— ოჰ, ეგ ძალიან მიამა. — ისინი, ვისთანაც მიედივარ, არ მელიან, ამიტომ მინდა, რომ დაღამებამდის მივიდე. სადგურიდან ბორანამდის შორს არის?

— რამდენიმე საყენი. ადვილათ იპოვით.

ის იყო, ვაჟს უნდოდა დაემატებინა, „ნება მამეცით, რომ გაგაცილოთო“, რომ კანდუქტორმა ვაგონის კარი გააღო და ხმა მადლა დაიღრიალა: „გრე-ეტნა! გრე-ეტნა! ეინ გადმოდის გრეტნაში?“

ვაჟმა სიტყვის თქმაც ვეღარ მოასწრო; კანდუქტორმა დააგლოხელი წამომდგარი ახალგაზდა ქალის ჩემოდანს, გაუშვა წინ დედაშვილი, უკან გაჰყვა მათ და კარი გაიხურა. მატარებელი ერთ წამს შეჩერდა, მერე ისევ დაიძრა. ვაჟმა მხოლოდ ფანჯრიდან დაინახა, რომ დედაშვილი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდნ განის ვიწრო, ამტყეურებულ ქუჩაზე და შორიდან დამილით თავს უკრავდნ მას. ვაჟმა ქული მოიხადა და გამოთხოვების ნიშნათ ღელი გაუქნია; მაშინ ახალ-

გაზდა დედამ შავი პირბადე აიხადა და რამდენჯერმე ღიმილით თავი დაუქნია მას, ბავშვა-კი თითები ტუჩებზე მიიკრა და შორიდან კოცნა გამოუკუნა. ეაქის მახსოვრობაში ღრმათ ჩაიბეჭდა ეს მიმზიდველი სურათი მშვენიერი და კახტა დედა-შვილის, რომლებიც ჩქარი ნაბიჯით მიდიოდნენ მდინარისაკენ.

— რა სულელი ვარ! რა მოუჩივრებელი ვარ! — დაუწყა თავის თავს ყვედრება ვაჟმა, ჩაჯდა თუ არა ხელახლოვ რბილ საფარძელში. — რატომ არ გავიგე მათი ან გვარი, ან სახელი, რატომ არ გამოვიტხე, სად მიდიოდნენ! რატომ არ წავეყვი, არ გავაცილე! როგორ გავუშვი აფათყოფი დედა და ისეთი პატარა ბავშვი სულ მარტომ-მარტო უცნობ ქალაქში! დედა ისე სუსტია, რომ ფეხებს ძლივს მიათრედა, აქ-კი ჩემოდანიც უნდა წაეღო! ღმერთო, რა სულელი ვარ! თითქმის გზაც არ გამიგრძელდებოდა, რომ გამეცილებინა! იმას მაინც გავიგებდი, ვინ არიან. შემრცხვა, ვერაფერი ვერ ვკითხე.. ნეტავე წავეყოლოდი! ოჰ! ეს რა დავიწყებიათ?

და ვაჟი სწრაფათ მივარდა იმ დივანს, სადაც რამდენისამე წუთის წინ დედა-შვილი იჯდნენ. იქ, გვერდზე, იღვა წითელი ტყავის ყლიანი ლოცვანი ვერცხლის შესაკრავათ, რომელზედაც ეწერა ასოები ჯ. და ჩ. მან გახსნა ლოცვანი. პირველ გვერდზე კაცის ხელით ინგლისურათ ეწერა:

ჯენ ჩეტუინდს მამისაგან.

ნიუ-იორკი. შობის წინ დღეს. 18... წ.

„ჯენ ჩეტუინდ!“ უთუოთ ეს დედის სახელია. ბავშვის არ იქნება, ის ჯერ მარტო ხუთი წლისაა. „ნიუ-იორკი!“ სამხრეთიდან მოდიან. მაშინვე მივხვდი... ა-ა! აი, მათი ოჯახობის სურათიც!

სურათზე იყო დახატული მამა, დედა და პატარა ბავშვი. მამა — ლამაზი, მხიარული, ვაქცატური სახით, დედა — უზრუნველი ღიმილით ტუჩებზე და ქუქუნა თვალებში, მიმზიდველი, ნაზი და კახტა; როგორ ირჩიოდა სურათზე მოლიმარი ახალგაზდა ქალი ახლანდელისაგან, რომელსაც ისეთი მწუხარე, ნამტირალევი თვალები და ისეთი

გამხდარი სახე ჰქონდა! ბავში, „ლედი ჯენი“-კი აღვილი საცნობი იყო, თუმცა სურათის გადაღების დროს უთუოთ მარტო სამი წლის იქნებოდა; სურათზედაც იგივე მშვენიერი, ხუჭუჭი თმა, იგივე მომხიბლავი ღიმილი და იგივე დიდი, ლამაზი თვალები ჰქონდა, როგორც ცხადათ.

ამ ბავშვის ნაცნობი, მხიარული სახის ხელახლათ დანახვამ ეაქს გული სიყვარულით და სიამოვნებით აუძგერა...

— ნეტავი ნება ჰქონდეს, რომ ეს სურათი აღარაგის დაეანებო! — უნებლიეთ გაიფიქრა მან. — მაგრამ არ შეიძლება, უნდა დაეუბრაუნო მის პატრონს! საწყალი ქალი, როგორ შეწყობდება, რომ დაინახეს, ლოცვანიც დამეკარვა და სურათიცო! ხვალეე განცხადებას მოვთავსებ გაზეთში. ამნაირათ შეიძლება მათი აღრესიც გავიგო და ისევე ვნახო ორივე დედა-შვილი!

მეორე დღეს ნიუ-არლოენის ყველაზე უფრო გავრცელებული გაზეთის მკითხველები ძალიან გაკვირვებული იყვნენ, რომ „დაკარგულია და ნაპოვნია“-ს განყოფილებაში ეს უცნაური განცხადება ამოიკითხეს:

ნაპოვნია

წითელი ტყეის ყდიანი ლოცვანი ვერცხლის შესაბნევით და ზედ წარწერილი ასოებით: ჯ. ჩ.

აღრესი. ცისფერი ყანჩა. № 1121.

ეს განცხადება მთელი ერთი კვირა იბეჭდებოდა იმავე გაზეთში, იმავე გვერდზე, მაგრამ მაზე პასუხი არავინ გასცა და არც ლოცვანის წასაღებათ გამოცხადებულა ვინმე.

II

ქ მ ზ მ ნ ი.

ქოზენი თუმცა ამერიკაში იყო დაბადებული, მაგრამ შთამომავლობით ნახევრათ საფრანგეთიდან, ნახევრათ ისპანიიდან იყო; ეს იყო შუა ტანის, ჩასხმული და მოუხეშავი დედაკაცი; საო-



ცარი შეხედულება ჰქონდა; ადამიანის ყურადღებას პირველ ნახეზედ-
ვე მიიზიდავდა მისი ღიდი, შავი ხაერდით თვალეზი, არწივის ნისკარ-
ტივით მოკაკული ცხვირი და ძალიან თხელი ტუჩები, რომლებიც ადა-
მიანს შორიდან ორ წითელ ხაზს მოაკონებდენ. საერთოთ, ჟოზენი
ძალიან ულამაზო იყო, მაგრამ ხან-და-ხან მიმზიდველათაც მოჩიყე-
ნებოდა ადამიანს, თუ მისი სახის მარტო ზედა ნ.წილს შეხედავდა;
განსაკუთრებით იმ დროს, როცა ჟოზენი თავის ღიდ, ლმობიერ თვა-
ლებს ზევით აწევდა, რასაც ის ძალიან ხშირათ შეებოდა; ამ წამს,
ვინც-კი მის თვალეზში ჩახედავდა—ვერ იფიქრებდა, რომ შეიძლე-
ბოდა ამისთანა თვალეზის მქონე ადამიანს დაბალი, ცუდი ხასიათი
ჰქონოდა... მაგრამ საკმარისი იყო მისი სახი, ქედა ნაწილისთვის
შეხედნათ, რომ ეს ქალი მაშინვე შეძლებოდათ და შეზიზღებო-
დათ.

ჟოზენს ორი სენი სჭირდა; ერთი რომ უსაზღვროთ უყვარდა
თავისი ყოელათ ზნე-გაფუჭებული შეილი, ედრასტი, და მეორე რომ
უსათუოთ სურდა, ყველა ნაცნობები იმაზე კარგი აზრის ყოფი-
ლიყვენ.

ჟოზენი იყო მდიდარი მეპურის ერთათ ერთი ქალი, დედ-მამის
სიკედლის შემდეგ გვარიანი შეძლება დარჩა; ის აღრე გათხოვდა და
ერთ ქვეიან, მაგრამ აეკაცს წაჰყვა; პირველ წელიწადს თავს ძალიან
ბედნიერათ გრძნობდა. მერე კი გამოაშკარავდა მისი ქმრის საძაგე-
ლი ხასიათი; ატყდა ცოლ-ქმარს შუა შეუწყვეტელი ჩხუბი და აურ-
ზაური; ერთხელ ქმარმა ჟოზენი კიბიდანაც-კი გადმოაგდო და ფეხი
მოტეხა, მას აქეთ ჟოზენი მთელ თავის სიცოცხლეში კოჭლობდა;
მეორე უბედურებაც მალე მიადგა კარზე; მასი ქმარი რაღაც ცუდ-
კაცობაში დაიჭირეს და სამუდამოთ საპრობილეში ჩამწყვდიეს. იქ ის
მალე გადაიცვალა, დარჩენ ჟოზენი და მისი პატარა შეილი ულუკმა-
პუროთ, ჟოზენი იძულებული გახდა თვით ეშოენა დღიური სარჩო
და მის მაგიერათ, რომ, როგორც ქალიშვილობაში ოცნებობდა, დი-
დებულ ქალბატონათ გამხდარიყო—სარეცხის მრეცხელათ შეიქნა;



ის ნიუ-არლენის ახლო, გრეტნაში დასახლდა და შეუდგა არჩეულ საქმეს. საშინლათ წუხდა თავის მდგომარეობას; შუახნამდის მიღწეულს, კოჭლს, მას უჭირდებოდა რეცხით ფულის შოვნა და ხშირათ მთელი დღეობით მშვიერი იყო... ამას გარდა, არც ერთათ ერთი შეილი, ელრასტი, ასიამოვნებდა მაინც და მაინც თავისი ყოფა-ქცევით; ეტყობოდა, ყველაფერი მამის სივლახე მასაც გამოჰყოლოდა; შკოლაში ყველაზე უარესათ სწავლობდა და ისეც ყველაზე გაუფუჭებულ ბავშვათ ითვლებოდა.

ჟოზენს პატარა, ერთ სართულიანი სახლი ეკავა; ამ სახლში ორი ოთახი და ერთი პატარა სამზარეულო იყო. შესავალი პირდაპირ ქუჩიდან ჰქონდა, მხოლოთ კიბის ორ საფეხურზე უნდა ასულიყო ადამიანი, რომ პირ-და-პირ ოთახში შესულიყო.

ამ საღამოს ჟოზენი, ჩვეულებრივათ შვე ქველატანში და თეთრ კაბის წელში გამოწყობილი, თავის დერეფანზე იჯდა და მეზობლის ქალებს ელაპარაკებოდა. ისე ცხელოდა, რომ ადამიანს სული ეხუთებოდა. ჟოზენი რაღაც მოქანცულათ გრძნობდა თავს და საძაგელ გუნებაზე იყო, მით უფრო რომ დღეს უსიამოვნო ამბავი გადანდა თავს; ერთმა ვაჭრის ცოლმა ძვირფასი არშიები მისცა გასარეცხათ; არშიები კარგათ არ გაირეცხა; ვაჭრის ცოლმა ჟოზენი გალანძლა და ფული არ მისცა, თან გამოუცხადა, არც არშიებს ავიღებ შენგან, სანამ ხელახლაე არ გარეცხავო.

ჟოზენს-კი ისე ეჭირებოდა ფულები!

— მოიცადე, როგორ მოგანანო, შე წუწკო! — ბურღლუნობდა თავისთვის ჟოზენი. — ხელახლაე-კი გავრეცხავ შენ არშიებს, მაგრამ ისე გავრეცხავ, რომ ჩაიცვამ თუ არა — მაშინეე შემოგვხევა! ღმერთო, რა დავილაღე! როგორ მშია! სახლში-კი ყავისა და ცივი ბრინჯის შეჭამანდის მეტი არაფერი არა მაქვს!

მეზობლის ქალები დაიშალენ. ჟოზენი მარტო დარჩა, ჩვეულებრივათ ჩამოჯდა თავისი პატარა კიბის საფეხურზე და დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ რა კარგი იქნებოდა, ის რომ კოჭლი არ ყოფილიყო.

— სადგურზე მაინც გაეიქცეოდი, ხალხს თვალს გადავაელებდი!— ფიქრობდა ის.

სწორეთ ამ დროს მოახლოებული მატარებლის სტვენა გაისმა.

— დღეს ცოტა ხალხი მოვიდა!— თავისთვის წაილაპარაკა ჟოზენმა და მიაჩერდა იმ რამდენიმე მგზავრს, რომლებიც სადგურიდან ბორანისკენ გაეშურენ. ჟოზენის სახლი სწორეთ იმ გზაზე იდგა, რა გზითაც მგზავრები ბორანისკენ უნდა წასულიყვნენ. რამდენიმე წუთმა გაიარა. მგზავრებმა ჩაიარეს.

— ესენი ვინლა არიან?— გაიფიქრა ჟოზენმა და დაკვირვებით შეხედა შავით შემოსილ ქალს, რომელსაც გვერდით პატარა თმახუქუქა ქალი მოჰყვებოდა. — ესენიც, ეტყობა, ახლა მოსულან... მაგრამ რატომ არ ჩქარობენ? ხომ გაასწორებს ბორანი? ღმერთმანი, უსათუოთ დაგვიანდებთ!

დედა-შვილი სახლს გაუსწორდნენ. ბავშს ცალ ხელში მალალი კლათი ეკავა, მეორე დედის კაბისთვის ჩაეკიდნა. ორივეს ეტყობოდათ, რომ არ იცოდნენ, საით წასულიყვნენ. დედას უნდოდა განეგრძობა გზა, მაგრამ ბავშვა შეაჩერა.

— დედა, მოიცა ცოტა, დაისვენე!— ხეყწით მიმართა მან ახალგაზდა ქალს.

შაგებიანმა ქალმა ახადა პირბადე, იქით-აქეთ მიიხედა-მოიხედა და მაშინვე დაინახა ჟოზენი, რომელსაც თანაგრძობით მიეპყრო მისთვის თავისი დიდი, ღმობიერი თვალეები.

— არ შეიძლება, რომ აქ ცოტა შევისვენოთ?— სუსტი ხმით მიმართა მან ჟოზენს. — საშინლათ დავილაღე, ავათ ვარ, მგონი გული მიწუხდება... ერთ ჭიქა წყალს რომ მომაწოდებდეთ— ძალიან მადლობელი ვიქნებოდი...

— ახლავე, ძვირფასო ღედი, ახლავე. ოთახში შემობანდით, იქ ცოტა მოისვენეთ... სულ ერთია, ბორანზე კიდევ დაგაგვიანდათ.

დალაღულ-დაქანცული ახალგაზდა ქალი სიამოვნებით შევიდა ოთახში, სადაც სიგრილე და სისუფთავე სუფევდა. განიერი, სუფთა

და კონტრათ დაგებული ლოგინი თითქო ყველას თავსკენ იზიდავდა. ქოზენი ძალიან ამაყობდა თავისი ოთახების ლამაზი მოწყობილობით.

ახალგაზდა ქალი უღონოთ ჩაეშვა სავარძელში და თავი ბალიშზე დაანდო. სამგზავრო ჩანთა ხელიდან გამოუყარდა და იატაკზე დეცა. ბავშმა თავისი კალათი ძირს დადვა, სიყვარულით მიეკრა დედას და შიშით დაუწყო თვალღივრება ამ უცნობ და უცხო ოთახს. ქოზენიც მალე შემოვიდა და თან ერთი ჭიქა წყალი და არშიების სარეცნი წიშაღურას სპირტი შემოიტანა. მარღათ მოხადა მან ავთმყოფს შლიაპა შავი სქელი პირბადით, გახურებულ შუბლზე სველი პირსახოცი მოუსვა და სპირტისთვის ასუნებინა. ბავში მაკრათ ჩაბლაუჭებოდა დედის კაბას და წამდაუწყუმ ჰკითხავდა მას:

— დედა, დედიკო, კიდე გტკივა თავი? ხომ ნაკლებათ გტკივა?

— ნაკლებათ, ნაკლებათ, შენ გენაცვალე!— უპასუხა დედამ, მერე მიუბრუნდა ქოზენს და წყნარათ, მადლობით უთხრა:

— გმადლობთ, ძალიან გმადლობთ! ანლა კარგათ ვგრძნობ ჩემ თავს!

— შორიდან მოდიხართ?— ჰკითხა ქოზენმა, რომელიც ცდილობდა რაც შეიძლებოდა მეტი გრძნობა და ალერსი გამოეხატა თავის ხმაში.

— სენტ-ანტონიოდან, რომ წამოვედი, მაშინაც ავთ ვიყავი. ახალგაზდა ქალმა ისევე დახუჭა თვალები და მძიმეთ მიეგჯინა სავარძელს. პირველ შეხედვაზედვე შენიშნა ქოზენმა, რომ მისი სტუმრები მდიდრები უნდა ყოფილიყვენ და მაშინვე იგრძნო, რომ რისამე გამორჩენას შეიძლებდა.

— ჰო, ჰო! გზა შორია... განსაკუთრებით ავთმყოფისთვის...— წაალაპარაკა მან თანაგრძნობით.— მდინარის გაღმა ხომ არავენ გელისთ? იქნება ვინმემ მოგიკითხოხთ აქ?

— არა, არა, არავენ გველის. ნიუ-იორკში მივდივართ. ჯექსონის ქუჩაზე ნაცნობები მყავს. მინდოდა მათთან შემეველო და ერთი

ორი დღით მომესვენა. ეჰ! ამ სადგურზე არ უნდა გადმოვსულიყავი. ფეხებს სულ ვეღარ ვათრევი!

— ნუ სწუხართ, ნუ, საყვარელო ლედი! — დაუწყო ახლოგაზდა ქალს დამშვიდება ჟოზენმა. — ცოტა მოისვენეთ ახლა... ამასობაში ბორანი დაბრუნდება, მე თითონ გაგაღვიძებთ და კიდევ გაგაცილებთ ნაეთ სადგურამდის. როგორც იქნება მოვახერხებ ამას, თუმცა, როგორც ხედავთ, ძალიან ვკოქლობ. აქ მე ჩაგაჯენთ ბორანში, იქით მხარეს-კი — ეტლები დაგიხვდებათ.

— მადლობელი ვარ... ძალიან კეთილი ყოფილხართ... — ძლივს წაილაპარაკა ახლოგაზდა ქალმა, გადაწია უკან თავი და თვალები დახუჭა.

რამდენიმე წუთს ჟოზენი დაკვირვებით დააშტერდა მის სახეს, მერე უცებ შეიცვალა სახის გამომეტყველება და მზიარული ღიმილით მიუბრუნდა პატარა ბავშს.

— მომიახლოვდით, პატარა ლედი, შლიაპას მოგხდით და თქვენც თავს დაგისველებთ. უთუოთ ძალიან გცხელათ, არა?

— არა, მადლობელი ვარ! — მიუგო ბავშვმა. — მე აქ მინდა ყოფნა დედასთან.

— კარგი, ძალიან კარგი... მხოლოდ ეს მითხარით, სახელათ რა გქვიათ?

— მე „ლედი ჯენი“ მქვია! — სერიოზულათ მიუგო ბავშვმა.

— ლედი ჯენი? სწორეთ შესაფერი სახელი გრქმევიათ. ნამდვილი პატარა ლედი ხართ. ჩამოჯექით მაინც, უთუოთ დაილაღებოდით.

— მშნა. ვახშამი მინდა. — გულწრფელათ მიუგო ბავშვმა.

ჟოზენი მოიღუშა. მას გაახსენდა, რომ მის შკაფში არაფერი საკმელი არ მოიძებნებოდა; ბავშვის გასართობათ მან ლაპარაკს უმატა. უცებ მდინარიდან სტეენა მოისმა, ეტყობოდა, რომ ბორანი ბრუნდებოდა. ავითმყოფი ქალი წამოიწია და საჩქაროთ დაიხურა თავისი შლიაპა, ბავშვა-კი სწრაფათ წამოაგლო ცალი ხელი დედის

ჩანთას, მეორე თავის მაღალ კალათს და მხიარულათ წამოიძახა:

— მალე, მალე, დედა, წავიდეთ!

— ღმერთო, რა ფერმკრთალი ხართ!— წამოიძახა ქოზენმა.— რა გამხდარი! არა, თქვენ მგონი ჩემი დახმარებითაც-კი ვერ მიღწიოთ ბორანამდის! ნეტა ჩემი რასტი იყოს სახლში! ისეთი ღონიერია! ხელში აგიყვანდათ და ისე ჩაგიყვანდათ მდინარემდის!

— იქნება რამე ნაირათ მოვახერხო!— წაილაპარაკა ავთამყოფმა, წამოდგა, მაგრამ მაშინვე წაბარბაცდა და, ქოზენს რომ არ შეეკავებინა, იატაკზე დაეცემოდა.

ქოზენი ჯერ გაიფანტა, არ იცოდა რა ექნა; მერე-კი ასწია ზევით ახალგაზდა ქალი, უგრძნობლათ დაასვენა ლოგინზე, გაუხსნა ფოლაქები და ტანისამოსის ხდა დაუწყა. არ გაუღვლია მეოთხედ საათს, რომ ავთამყოფი მოსვენებით იწეა ლამაზათ დაგებულ სუფთა ლოგინში და თხელი საბანი ეხურა. პატარა ჯენი დედის გაცივებულ ხელებს დაჰკეროდა და მწარეთ ჰქვითინებდა.

— ნუ ტირით, პატარა ლეღი, ნუ ტირით! ამშვიდებდა მას ქოზენი.— ის არ სჯობია, რომ მე მომეხმაროთ? აი, დედას შუბლზე სპირტი წაეუსვათ, მოუხდება... ხედავთ რა მოსვენებით წევს, მალე დაეძინება...

პატარა ქალი წამოდგა, შეიხოცა ცრემლები, მოინახა შლიაპა და დიდსავეთ დაკვირვებით გახსნა ჩანთა.

— აი, ეს სასუნებელია... ეს — ოდეკოლონი...— ამბობდა ის და თან ჩანთიდან შუშებს იღობდა.— დაუსველეთ დედას ცხვირსახოცი... უყვარს.

ქოზენმა, რომელსაც ბავშვის არც ერთი მოძრაობა არ გამოჰპარვია, კარგათ შენიშნა, რომ ჩანთაში ბევრი ვერცხლის ნივთები და გამოტენილი პორტმონე იღვა. მან ისარგებლა იმ წამით, როდესაც ბავშმა დედის პირს ოდეკოლონით დასველებული ცხვირსახოცი მიუახლოვა, ამოაცოცა ჩანთიდან პორტმონეც და რამდენიმე ვერცხლის ნივთიც— შედგა ისინი შკაფის თაროზე, დაკეტა შკაფის კარები და გასაღები ჯიბეში ჩაიღვა.

— რასტს არ უნდა გამოეუჩინო ეს ნიეთები, — გაიფიქრა მან, თუ არა ვინ იცის! ისეთი თავქარიანია, რომ შეიძლება დავატრონოს... და მერე პასუხისგებაში მიგვეცენ.

დიდხანს იწვალა ქოზენმა, სანამ აეთმყოფი მოასულიერა; პატარა ჯენი გულმოდგინეთ ეხმარებოდა მას, თან ცრემლებს იკაეებდა და ცდილობდა რაც შეიძლება ნელა და ფრთხილათ ეელო, რომ დედა არ შეეწუხებინა.

ბოლოს ახალგაზდა ქალი შეკრთა, დაიკენესა და თვალები ნახევრათ გაახილა; მაგრამ ამ მიბნედილი თვალების გამომეტყველება ცხადათ ამტკიცებდა, რომ ის მაინც უგრძნობლათ იყო, ვერავის ცნობდა და ვერაფერს ხედავდა.

— დედა, ჩემო დედიკო, უკეთ ხარ? — აკანკალებული ხმით შეეკითხა დედას პატარა ჯენი, მოხვია მას ორივე ხელი და მხურვალეთ კოცნა დაუწყო.

— ხომ ხედავთ, რომ დედამ თვალები გაახილა! მაშ, რასაკვირველია, უკეთ ყოფილა... ოღონდ ძალიან დაღალულია და ძილი, მოსვენება ეჭირება. — აღერსიანათ ამშვიდებდა ქოზენი პატარა ქალს. — თავი დანებეთ, ნულარ შეაწუხებთ... დააცადეთ ძილი, თქვენს კი ცოტა რამ მიირთვიეთ. აი, რძე და მოხარშული ბრინჯი მოგიტანეთ, იეახშმეთ. მერე მე თითონ გაგზდით, ჩანთიდან რომ საღამური პეტრანგი ამოიღეთ, იმას ჩაგაცმევთ და ლოგინში ჩაგაწვენთ, დედა-თქვენის გვერდით. დილამდის მოისვენეთ, დილას-კი ორივე კარგათ იქნებით.

„ლედი ჯენი“ ყველაფერზე დაეთანხმა, მხოლოთ არაფრით არ უნდოდა დედის ლოგინს მოცილებოდა.

— არ შეიძლება აქ ეჭამო ეახშამი, — დედის გვერდით? — ჰკითხა მან ქოზენს. — აი, აქ, ლოგინზე დავჯდები.

— კარგი, სადაც გინდოდესთ — იქ მიირთვიეთ. აი, ამ პატარა სტოლს მოგიწევთ და ზედ დაგიდგამთ რძესაც და ბრინჯსაც.

ქოზენმა მარლათ მოაწყო ყველაფერი ისე, როგორც პატარა

ჯენს უნდოდა და მერე ლმობიერი ღიმილით დაუწყო თვალის დევნება ბავშს, რომელიც ძალიან მადიანათ შეექცეოდა თავის მცირე ვახშამს. მერე ისევ მიალოვა სტოლი და საინები, ბავშს პირი დაბანა, ტანისამოსი ვახადა, ღამის გრძელი პერანგი ჩააცვა, დაუბარცხნა და დაუწნა სქელი და გრძელი, ოქროსფერი თმა და ის იყო, ხელში აიყვანა, რომ დედის გვერდით, ლოგინში ჩაეგარებინა—რომ ჯენმა უეცრათ შეაჩერა და წყენით შესძახა:

— ნუ მაწვენთ ჯერ! ჯერ რომ არ მილოცნია?

ბავშვის დიდ, ცისფერ თვალებში ყვედრება ინატებოდა; ის გამოაუხსნლტა ქოზენს ხელიდან, დაიჩოქა ლოგინზე და ხმა-მალლა წაილაპარაკა:

— დედას ძინავს, ვერ გაიგონებს ჩემ ლოცვას... ღმერთი-კი გაიგონებს. მას არაოდეს არ ძინავს.

და დაიჩოქილმა ბავშმა დაბალი ხმით წაიკითხა მოკლე, ბავშური ლოცვა, რამელსაც ბოლოს თითონ დაუმატა შემდეგი სიტყვები: „ღმერთო! ხვალისთვის ჩემი დედა სულ კარგათ ვახადე და ორივე წაგვიყვანე აქედან!“

ამას შემდეგ ბავში წამოადგა და დაწოლას აპირებდა, მაგრამ უცებ თვალი მოჰკრა მალალ კალათს, რომელიც კუთხეში მიადგო იმ წამს, დედა მისს რომ გული შეუწუხდა.

— ღმერთო, ეს რა პომივიდა!—წამოძახა ბავშმა, უცებ ჩამოსრიალდა ლოგინიდან და კალათთან მოიბრინა.—ჩემი ტონი სულ დამავიწყდა!

— ეგ რა არის!—შეკრთომით შეეკითხა ქოზენი, რომელიც შეაშინა კალათში ვილაცის გაშმაშურებამ.—ვინ არის კალათში?

— ჩიტო. ცისფერი ყანჩა.—ღიმილით უპასუხა პატარა ჯენმა.—ვაგონში მაჩუქა ერთმა კარგმა კაცმა...

— თქვენი ნაცნობია ის კაცი?

— არა, დღეს პირველათ შეგხედით.—წყნარათ გაიცინა „ლედი ჯენმა“.—მართალი რომ ვთქვა, მისი გვარი არც-კი ვიცი. ხომ უზრდელობა იქნებოდა, რომ მეკითხა!

— რასაკვირველია, რასაკვირველია...— დეთანხმა ჟოზენი. მაგრამ ერთი ეს მითხარით, რას უპირებთ ახლა მის გრძელ-ფეხა ყანხას?

— ეს ხომ ცისფერი ყანხაა! ძალიან იშვიათია ამისთანა ყანხები! — მიუგო ბავშმა, კალათს თავი მოხადა და ფრინველი ზევით ამოათრია.

მომხიბლავ სურათს წარმოადგენდა ამ დროს ეს პატარა მშვენიერი ქალი გრძელ საღამურ პერანგში, რომელსაც ხელში გრძელ-ფეხა და გრძელ ნისკარტა ცისფერი ყანხა ეჭირა.

— მეშინია ამის ღამე ასე დატოვება... ვაი თუ გაიქცეს! — დაფიქრებით წაილაპარაკა „ლედი ჯენმა“... უთუოთ ახლა კიდევ შია და წყურია... რა ექნა?

— აი, რა! — ურჩია ჟოზენმა, რომელიც ცდილობდა რამენაირათ ბავშვის გული მოეგო. — სამზარეულოში მე ერთი გალია მაქვს, უწინ შიგ თუთიყუში იჯდა... აი, იმ გალიას მოგიტანთ.

— მადლობელი ვარ! — ზრდილობიანათ დაუმაძღვა ბავშმა. — როცა დედა გაიღვიძებს — ისიც დაგიმადლებსთ.

ჟოზენმა მოიტანა გალია, ჩაღვა. შიგ ბრინჯით საცხე ლამბაქი და მეორე ლამბაქით — წყალი, „ლედი ჯენმა“ შიგ ყანხა შესვა, კარა გამოუკეტა, მერე ფრთხილათ ავიდა კაროტზე და დედას გვერდით მოუწვა. საშინლათ უნდოდა ერთხელ მაინც ეკოცნა დედისთვის, მაგრამ მისი გაღვიძების და შეწუხების შეეშინდა.

ერთ წამს იქით დაღალულ-დაქანცულ ბავშს ტკბილათ ჩაეძინა.

ელ. წერეთელი

(შემდეგი იქნება)

მადლოვის გადახდა



რი ფუნჯულა ძაღლის ლეკვი გამობაჯბაჯდენ ეზოში და დაიწვეს თამაშობა; ხან ბუზებს დასდეგდენ, ხან ერთმანეთს აჯდებოდენ, ხან მიწას თხრიდენ, ხან გამკლელ-გამომკლელს ჭეუფდენ და ხან უირამალა გადადიოდენ, ამაყი და თავმომწონე დიდი ბარდანა ძაღლი დიდხანს ადევნებდა მათ თვალს თავის საწოლი კუთხიდან და ბოლოს დინჯათ უთხრა:

— ფრთხილათ, ჩემო ცუკუნებო, თორემ თუ ეზოს მეთვალუურემ დაგინახათ რომ მიწას თხრით, კარგათ გაკამათრახებთ და მერე ვიღა კიშველით!

მაგრამ ლეკვებს თავის დღეში არ მოხვედრიათ მათრახი და ამიტომ უურიც არ გაიბერტყეს, ისევ ისე დაკუნტრუშობდენ.

ერთიც ვნახოთ შეიქნა კენჭების სროლა, მოხვდა ერთ ლეკვს და საცოდავათ წკმუტუნე შეიქნა, მოხვდა მეორესაც და კუდ-ამომუებულმა იკადრა კუთხეში მიმაღვა. ორივე ლეკვები კაცობით შესცქეროდენ ერთმანეთს და ვერ

მიმხვდარიყვენ თუ რა იყო, ან საიდან რა მოევლი-
 ნათ.



— რა იყო, მშობილო, ვის რას ვაწუსებთ ჩვენი თა-
 მაშობით? ვკითხებოდენ ერთმანეთს ლეკვები.

ბარდნამ-კი კარგათ გაიგო საიდანაც მოევლინათ ორ
 ჰატარს ცელქებს მათი შეშინებელი. ის უცვებ წამოხტა
 თაგის საწოლიდან და უეფით მივარდა ალაუაფის კარებ-
 თან, სადაც იდგა ერთი ჰატარს ბიჭი და ესროდა მად-
 ლებს კენჭებს; ბიჭს შეეშინდა დიდი ბარდანას უეფისა და

საჩქაროთ მოჰკურცხლა. უნდა გენახათ ორი ცუგუნა, ო-
 გორი მადლობით ესვეოდენ თავის მოსარჩლე ბარდანას!

მოსაღამოვდა. სამხარეულოში ჭურჭლების ჩხარა-ჩხუ-
 რი ატედა. — რა კარგი სუნი მოდის! უთუოთ სადილი გა-
 თავებულა, — იფიქრეს ზატარა ცუგოებმა და მოჰკურცხლეს
 სამხარეულო-საკენ. მიცუცქედენ ფანჯარასთან და მას თვალს
 არ აშორებდენ, ელოდენ კეთილ მხარეულს, რომელიც
 უთუოთ რამეს უწებლობებდა.

— ოჰ! თქვენ კიდევ მოსულხართ? გადმოსძახა მხა-
 რეულმა და გადმოუგდო დიდი ძვალი — აბა თუ უცებ გა-
 დაულხავეთ.

მხარეული კაცცებული დარჩა! იმის მაგიერ, რომ
 ჩვეულებრივ იქვე დაეწყოთ ძვლის სრა, ლეკვებმა აქეთ-
 იქით წაავლეს ზირი დიდ ძვალს, შეაკუნტრუმეს მოკლე
 კუდები მალა და სადღაც გაქუსლეს.

— თქვენ ვი, ეშმაკებო! სად მიარბევინებთ მაც ძვა ს?
 მე მეკონა გშიოდათ და თქვენ-კი საეშმაკოთ შირბი-
 ხართ? დაცა თუ სხვა დროს კიდევ მოცცეა რამე! მის-
 ძახოდა მხარეული და თან უკან მისდევდა ზატარა ეშმა-
 კებს, რომ გაეგო სად წაიღებდენ ძვალს. ლეკვები ისე
 გარბოდენ კუდ-აბზეკილები, რომ უკან აღარ იხედებოდენ,
 მხოლოთ ზტყელ უურებს აფართოხუნებდენ.

დინჯათ გამომკრა თავის საწოლ-დან ჩვენი დიდი

ბარდანა და დაუწო ლეკვებს ცქერა. რომლებიც სწორეთ ბარდანას წინ გაჩერდენ, დაუდეს წინ ძვალი, შეიკანტრუსეს წინა ფეხები, აიწიეს მადლა ფუნთუშა ცხვირები და სიამოვნებით მიელაქუცენ.

— მიირთვი, ჩვენო საეკარელო ბარდანელა, ჩვენ მაგიერათ შენ მიირთვი, წელან შენ მოგვაშორე მტერი და ახლა ჩვენ საუსმე მოგართვით.

ბარდანამ ღიმილით დახედა კემრიელ საუსმეს და დიდს მადლობის ნიშნათ სამჯერ მიწასე კუდი დაატეხაუნა.

მხარეულმაც, რომ დაინახა ლეკვების მოქმედება, საჩქაროთ გამოარბევინა ჭურჭლის ნარეცხით სავსე კობი, რომელშიაც ბევრი ძვლები და ზურები იყო არეული და წინ დაუდგა ძაღლებს:

— მოდით კეთილო ცუკუნაებო, აი თქვენთვის რა წინიანი დავაძადე, შეექცით. მოდი შენც, ბარდანელავე, ევლებს კეოფათ.

ძაღლებმა სიხარულით დაუწვეს სლანა კემრიელ საჭმელს.

ს. ციციშვილი.





ბეკიჩა და მისი ჯორი.

ამაგელი ღრები დაიჭირბ: მთელ სამ დღეს იწვიმა, გზები ძრიელ ატალახდა და იმერეთის გოყი მდინარეები ისე აღიდნ, რომ კალახოტში აღარ ეტეოდნ და მათზე ფონათ გასვლა ცხენოსანისათვის შეუძლებელი იყო.

მაგრამ სწორეთ ამ დროს ქვემო იმერეთიდან ქუთაისისაკენ მიემურებოდა აზნაური ბეკიჩა ქაჯაია, რომელიც ნამდვილ ბაუბაუ დევსა ჭკავდა: საშინელი მძალი ტანისა, უსარმაზარი შესედულობისა და საარაკო ღონის კაცი იყო.

ამოდენა მდვი კაცი ჯორსე იჯდა და უსანგებში შედგებული ფეხები თითქმის მიწას სწვდებოდნ. საბრალო ჯორი ძრიელ დაღლილიყო და, თუძც დეზების შიშისაგამო, ჩქარა მიდიოდა, მაგრამ სშირათ კმინავდა. როგორც იქნა ბეკიჩამ მიაღწა უბის წელის ნაჯირსე, მაგრამ თქვენ ბტერს, რაც სინახავი მან ნახა: გუბის წუალი სე აღიდებულიყო, რომ ჯორით-კი არა, რაშითაც ვერ გავიდოდა კაცი.

ბეკინამ ეს წინდა-წინაც კარგათ იცოდა, მაგრამ მანც წამოვიდა შინიდან, რადგანაც უამისობა არ შეიძლებოდა. სწორეთ იმ დღეს ქუთაისში იყო დაბარებული სამსჯავრო-ში და თუ არ გამოცხადდებოდა, საქმეს წაბკებდა. მდინარესთან რომ მივიდა, ჩამოხტა ჯორიდან და ჩაფიქრდა. როგორ უნდა გასულიყო: ჩასულიყო ფონში, მას და მის ჯორს ორივეს მოიტაცებდა წყალი და უსათუოთ დაიდუ-ჭებოდენ; სიდიც არსად არ მოიძევებოდა ამ მდინარეზე. მხოლოთ ფონის მახლობლათ მდინარის მაღალ ნაპირებზე ორი დიდი ხე იყო გადებული ქვეითი მგზავრებისათვის, მაგრამ მათზე გასვლაც-კი საშიში იყო მაშინ, რადგანაც ადიდებული წყალი თითქმის წვდებოდა ხეებს. დიდ ხანს იფიქრა ბეკინამ და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. უნდადა ჯორისათვის დაეხებებინა თავი, თვითონ გასულიყო ფენით ბოკირზე, მაგრამ ქვეითა ო დროზე ვერ ჩავიდოდა ქუთაისში და საქმეს ვეღარ მიუსწრებდა; დაბრუნებულიყო უკან და, საქმეს რომ მაშინაც წაბკებდა. კარგა ხანს იფიქრა და ბოლოს რაღაც მოისაზრა და გადაიღმა კიდეც.

მერმე მიუახლოვდა ჯორს, მოხსნა უკან მოკრული თოკი და დაუწყო ფეხების შებორკვა, მაგრამ ისე-კი შეუერა ოთხივე ფეხები, რომ ჯორი არ წაქცეულა. მერმე მოსწია და მუშასავით მოიკლო სურგზე; მიუახლოვდა წყალზე გადებულ ორ ხეს და იწყო გაფრთხილებით გა-

სვლა. გასვლის დროს ძრეულ შიშობდა, ჯორმა ფეხების ქნევა არ დაიწყო, თორემ შესაძლოა, სველ ხეზე ფეხი დამიცდეს და მაშინ სომ მე და ჩემი ჯორი მდინარეში გადავარდებითო. მაგრამ ჯორი, თითქო, გრძობდა საფრთხეს, სრულებით არ განძრეულა, მინამ ჰატრონმა გადამა არ გაიტანა.

იქ ბეკიჩამ სელახლათ გაუხსნა ჯორს ფეხები, შეჯდა, გასწია ქუთაისისაკენ და დროზედაც ჩავიდა.

ბეკიჩას სახელი, როგორც საკვირველი ღონიერი კაციისა, მანამდინაც განთქმული იყო მთელ იმერეთში, მაგრამ ამ ამბის შემდეგ კიდევ უფრო გაითქვა.

გ. წყალტუბელი.



სამი არაყი და გონება

(აზაკი)



აცმა არაყი გადაჰკრა
ერთი პატარა ჭიქითა;
გონებისაკენ გასწია
სასმელმა ჩქარი ბიჯითა.

მიღვა და დაუკაკუნა,
ეძახის: „ვარ სტუმარიო;
მწიერ-მწყურვალნი მოესულეარ,
ჩქარა გამიღე კარო!“
იმანაც შეიპატიჟა,
სტუმარი ღვთისა არიო.

ახლა მეორე გადაჰკრა.
არაყი ზევით გაეშვა;
გონებას კარზედ მიუხტა,
ურეკავს, აღარ მოეშვა.

გონებამ ჰკითხა: „ემანდა
კიდევ ვინ აწკარუნებო?“
„მეც სტუმარი ვარ, მიმიღე,
უკან ნუ გამაბრუნებო.“

— „თუმც აღარ იყო აღვლილი,
მაგრამ რა გაეწყობაო;
უნდა მივიღო, თორემა
უფალი გაჯავრდებო.“

როცა მესამე გადაჰკრა,
 არაყმა აღარ უძახა,
 გაჰკრა და მოურიდებლათ
 გონების კარებს ეჯახა;
 ფიცხლათ შეალო და შედის,
 აღარც მასპინძელს დაჰხედა.
 ამ ანირებულ სტუმარსა
 გონებამ აჰხედ-ჩაჰხედა
 და ჰკითხა, რათ შეეთრია,
 თაეი რათ გაითაეხედა.

მან უპასუხა: „ეინ გკითხაეს,
 ბინა ხომ არის კიდევო?
 —,რას ამბობ, კაცო, სადლაა?
 შენაც რომ შემოხედიდევ,
 მაშინ მე უნდა აედგე და
 სულ კარში გამოვიდევ“.

ბაჩანა.



გიორგის საფლაგზე.

V.



ათელაანთ სახლის გასწვრივ, პატარა ხევ გაღმა აღმართი იწყებოდა, რომლის ფართოთ გადაშლილ ზურგს ხალხი „გუგულის ქედათ“ უწოდებდა და რომლის მალლობიდან ეკლესიად გადმოიყურებოდა პატარა, ძველებური ეკლესია წმ. გიორგის სახელობაზე აგებული.

ეკლესიის გარშემო ახოვანი თელები იყენენ ამართულნი და თითქმის ჰვარაყდნენ საყდრის დაჩუქურთმებულ და ჟამთა ვითარების მეოხებით ხეის მოკადებულ კედლებს. ეკლესიის წინ გადაშლილი მინდორი-კი წმ. გიორგის სანაფარდოთ იყო მიტოვებული და კაცის ხელი არ შეჰხებია თავის დღეში არც ხის წკირს ეკლესიის გარშემო აყრილს და არც მინდორის აღაღანებულ ბალახს. ხალხის თქმულობით წმ. გიორგი მაშინვე დაჰკრუნჩხაედა ამგვარ თავხედს და მანამ არ მისცემდა შეებას, სანამ მოსანანებლად არ შესწირაედა მსუქან ზვარაკს.

მშენიერ სურათს წარმოადგენდა მთლათ ეს არე-მარე თავისის ახოვანის ჩრდილებით და ანკარა წკრიალა წყაროთი, რომელიც საყდრის მოახლოვებით ძველებური ქეითკირის ბურჯის ქვეშიდგან გადმოშულოა და მიხლაკნილ-მოხლაკნული მიქეჭეჭებდა ფართო, მაოლის შემხარით დაბურულ მინდორზედ და მინდორის ბოლოს გადამჭრელ ხევში ტირილ-ქვითინით ვარდებოდა.

ამ ეკლესიის საენეს მიაბარა თამარმა თავისი ძვირფასი გიორგი და მას თან ჩაატანა თავისი სიცოცხლე და სიყმაწვილეც. არაფი-

თარი ნუგეში აღარ მოიპოვებოდა იმისათვის ქვეყანაზე და ღმერთს მხოლოდ იმას შეევედროდა, მალე მოელო ბოლო დედისათვისაც, რომ ამ მყუდრო და მშვენიერ ალაგას განუყრელათ შეერთებოდა თავის ძვირფასის ნეშტს.

ყოველ დღით შავი ძაძვებით მოსილი თამარი, პირზე შავ-პირ-ბადე ჩამოფარებული, რომ მზის სხივი აღარ დაენახა გიორგის შემდეგ, მარიამის მკლავზე დაყრდომილი, გვემართებოდა ხოლმე ეკკლესიისაკენ და იქ პირქვე დამხობილი შვილის საფლავზე ესვენა მთელის საათობით.

— ბატონო თამარ! — უთხრა მარიამმა ერთხელ, როდესაც ის დასუსტებული და წელში მოხრილი მოჰყავდა სასაფლაოდან: — რას ფიქრობთ, დრო არ არის გიორგის ძეგლის აგების შემზადებას შეუდგეთ?

— დიანაც რომ დრო არის, მაგრამ ევლოდი რომ ერთი ქვის ქვეშ განვისვენებდით, მე და ის და მე-კი ჯერ ისევ დედა-მიწაზე დავიარებნი! ნუ თუ ჩემმა უბედურმა ხელებმა უნდა დაადოს შავი ქვა იმის ძვირფასს გულს! და თან გულის გამამირი ქვითინი დაიწყო თამარმა.

— სულმოკლეობთ, ბ-ნო თამარ! — ცოტა არ იყოს, სასტიკათ მიუვო მარიამმა — და უნდა გამაგიტყდეთ, რომ მე აქ ვეღარ დავრჩები, მე აღარ შემიძლიან ამდენი უსაქმურობა ავითანო. თქვენი თანახლება საყდარზე პირთამშესაც შეუძლიან და მე-კი ჩემ ჩვეულებრივ საქმეს უნდა დავუბრუნდე.

— რას ბძანებ, რას! — შესძახა აცახცახებული თამარმა — ნუ თუ მიმატოვებ?

— დიან, ბატონო! მოძრაობა და საქმიანობა ჩემი სიცოცხლისათვის აუცილებელი საჭიროებაა, უამისოდ მე ვერ შევძლებ და არც მიეცემ ჩემ თავს ნებას უსაქმურობისას. თქვენთან-კი, წელანაც მოგახსენეთ, ყველას შეუძლიან ჩემი მაკვირობა, აი პირთამშეს კიდევ ენატრება თქვენი ხლება და ნუგეშისცემა!

თამარი ისე შეეჩვია, ისე მიენდო და ისე მკვიდრათ დაამყარა ყოველი სასოება სვიჰონიშვილის ქერიეს, რომ თავისდღეშიაც ველარ მოიფიქრებდა იმის მოშორებას და იმიტომ ამ მოულოდნელმა განცხადებამ მუხლთ მოჰკვეთა და საშინელ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო.

— მაპატიეთ რომ დაგივიწყეთ და ჩემი უზომო მწუხარება თავს მოგანვიეთ, მაპატიეთ, თქვენი ღეთის გულისათვის და ნუ მიმატოვებთ! მიბძანეთ რა გნებაეთ, რა საქმე გაგიჩინოთ, ან მე რა მოვიქმედო, დამარიგეთ! მე მზათა ვარ ყოველი თქვენი სურვილი ავასრულო.

— მაშ ხელი მომეციეთ, სიტყვა, რომ გამხნელებით და გიორგის ძეგლის აგებას შეუდგებით.

— მოგყვებით ყველაფერში, გაძლევთ სიტყვას, გვეციებით გიორგის საფლავს... და თან პატარა ბავშვივით უსუსურათ მოტირალი თამარი გადაეხვია მარიამს.

— მაშ, ჩემო პაწია ქალბატონო, ალერსით და მგრძნობიარეთ უთხრა გულაჩუყებულმა მარიამმა: მე მოგაგონებ, მხოლოთ მოგაგონებ შენ მოვალეობას, იმ მოვალეობას, რომელიც სასოწარკვეთილებამ დაგვიწყო. ყოველი ღედის სავალდებულოა შეილი ისე გამოზარდოს, რომ თავის ქვეყანას გამოადგეს, თავის ხალხს არგოს რამე და მის ჭირს და ვარამს უჭირისუფლოს. მხოლოთ ამგვარი ღელა ღირსია თაყვანებისა და მხოლოთ ამ გვარ ღელას შეუძლიან სთქვას: ჩემი მშობლიური მოვალეობა და დანიშნულობა ავასრულო...

— ოჰ, მარიამ, რისთვის მაძლევ მე მაგ საყვედურს! გააწყვეტინა ტირილით თამარმა მარიამს. განა გიორგი რომ მყოლოდა, მე დაგივიწყებდი ჩემ მოვალეობას... მაგრამ ეხლა რალა გეწყობა?..

— რა, ჩემო საყვარლო შეილო, და ის, რომ გიორგის მავიერობა შენ გაუწიე შენ ქვეყანას, შენ ხალხს და მით გიორგი უკვდავი ჰყავი, და საუკუნო სახსენებელი გახადე მისი სახელი... აუგე

მას ძველი ხელშეუხებელი, ხსოვნა და დიდება დაუსრულებელი...

— აბა როგორ? რას მიჩნევ, დედის მგზავსათ საგულებლო, აღტაცებით შეჰყვირა თამარმა. მე თავ-განწირულობით შევასრულებ სუყველაფერს რაც-კი მოუპოვებს გიორგის სულს შევებას და მის ხსოვნას დიდებას და პატივისცემას!

VI.

გაზაფხული ნადრევი დადგა. ბუნებამ ჩვეულებრივ ნელა-ნელა, მაგრამ შეუფერხებელი დაიწყო გამოღვიძება. ნათელაანთ კარს გარეშემო სიცოცხლე ახმაურდა, ხალხი შრომას და მოძრაობას შეუდგა. აქა-იქ გუთნები დაიმართა. ყოველი სულდგმული გაზაფხულის მზის ნახმა ღიმილმა გარეთ გამოიხმო და დიდი და პატარა, პირუტყვი თუ კაცი საერთო ცხოვრების ფერხულში ჩააბა.

თამარი, ამ სოფლის ბატონი და პატრონიც, გამოფხიზლდა. თავისი შავი, სქელი პირბადე უკან გადაიწია, შეუწყვეტელი ცრემლის დენა შეაჩერა და მარიამის წინადადებას, გიორგის ძველის აგების გეგმის შესრულებას შეუდგა.

ერთ კვირა დღეს მთელი სოფლის მამა-კაცობა მოიწვია თავის კარებზე და შეეკითხა: იკისრებდა სოფელი მუშაობას წმ. გიორგის გარეშემო, თუ არა? „მე მინდა გუგულის ქედი, სთქვა იმან, გავასუფთაო შამბნარ-ძეძე-სავან და ასი წლობით უხმარებელი, გაყამირებული მამული ისევ სახმარებლათ გადავაქციო“.

— რას ბძანებ, ქალობატონო?! რას! ნუ თუ თქვენ იკისრებთ ჩვენის მთარეელის და მწყალობელის წმ. გიორგის განრისხებას? ეენაცვალე იმის სახელს და დიდებას,—და თან სასოებით პირჯვარი გადიწერა მოხუცებულმა ნინიამ,—ნუ ინებებ მაგ საქმეს, ნუ ინებებ იმის დარღვევას, რაც მამა-პაპით ხელ-შეუხებელი ყოფილა!

— ენლაც სახმარივით მახსოვს, დაუმატა მეორე მოხუცმა გი-

ორგამ, როდესაც ცხონებულმა პაპა თქვენმა ავთანდილ ნათელა-
შვილმა მოინდომა „გუგულის ქედის“ გადახენა, მთელი სოფელი
გუთნებით გაიყენა, დიდი ხარჯიც გასწია იმ დალოცვილმა, მაგრამ
წმ. გიორგიმ არ უყაბულა, სადილის დროს, შიგ ეკლესიის თელე-
ბის ჩილილოში, დაშლა დაეცა და მას შემდეგ მალეც მიიცივალა;
რათა, ქალბატონო, რათ ნებულობთ განსაცდელში ჩაეარდნას? ვანა
ცოტა გაქვთ სხვა მამულ-დედული, სარჩო-საბადებელი? ან რა ბე-
რი სარჩენ-საკეები თქვენ გახვევიათ, რომ ეკლესიას თავის სამფლო-
ბელო არ გამოაწიროთ? სხვა რომ არა იყოს-რა ი ძვირფასი ბალ-
ლი იქ გიმარხიათ, იმის საფლავს მაინც ეცით პატივი.

პირველში თამარი თითქო შვირყა და უკან დაიწია, ცრუ-
მორწმუნოება იმაშიაც მძლავრად იყო გამჟღარი, მაგრამ რომ შეხე-
და მარიამის აღელვებულ სახეს, გაახსენდა ყოველი იმისი მოსაზრე-
ბა „გუგულის ქედის“ გამოაყენებაზე და დაბეჯითებით უთხრა გლე-
ხებს: მაშ კარგი, რაკი ეგ არის თქვენი უკანასკნელი სიტყვა, მეტი
ღონე აღარ არის სხვა, გარმიანელი უნდა მოვიყვანო სამუშაოთ. და
თუ შემდეგისთვის თქვენგანი გადაიფიქრებს ვინაჲ და ხელს ჰოკი-
დებს მუშაობას, იცოდეთ კარგ გასამრჯელოს აიღებს, საქმე საჩქა-
როა და ფულს არ დაეზოგავ. მოიფიქრეთ, კარგა ბლომა ფული და-
ინარჯება და ხელიდან ნუ გაუშვებთ. სხვა რომ არა იყოს-რა, ის,
რაც უნდა გაკეთდეს, თქვენი მომავალი ბედნიერების საძირკველის
ჩამყრელი იქნება და, სირცხვილია, სხვის ხელით გაგიკეთდესთ.

ხალხი აირ-დაირია, ჯგუფ-ჯგუფათ გადაა განზე, ერთმანეთში
მოილაპარაკა, აიღ-დაიღო და ბოლოს მაინც უარი განაცხადა:—არა,
ქალბატონო, ჩვენ ღეთის რისხვას არ დავეტებთ თავზე და არც თქვენ
გირჩევთ ხატის განაწყინებასო. და ამ სიტყვებით დაიშალნენ.

მარიამი მეორე დღესვე ქალაქისკენ გაემგზავრა და ერთ კვირა-
ზე ორმოცამდე დახელოვნებული მუშები ამოასხა. თან ამოიტანა
გამიჯნული პლანი „გუგულის ქედისა“ და მაზე გასაკეთებელის ბა-
ლის და სკოლის შენობისა, ნანგარიშევი ხარჯთ აღრიცხვა ყოველი

გასაკეთებელი საქმისა. თამარი აღტაცებული იყო, რომ საქმე ასე სწრაფლათ გაეწყო და აპრილის პირველიდან მუშაობა დაიწყო. ახმაურდა საუკუნეებით მიუღწეული და გავერანებული არე-მარე. კარგათ დაჯილდოვებული მუშები ცეცხლივით მოედვენ სამუშაოს: გაჩენეს და გამოასუფთავეს ეკკლესიის გარშემო შებურვილი და გაძევიანებული ტყე, მიგრებილ-მოგრებილი და უკზო-უკლოთ მოხეტიალე წყაროს რუ გაასწორეს, ჩაღრმავეს, ნაპირები გაუმაგრეს და ამ გეარათ მისი წყალი ერთი ხუთათ გააბეგრეს. მინდორზე ატეხილი შაბმნარი ცეცხლით გადაბუგეს, აქა-იქ ჩაჭაობებული, ძველიდან დარჩენილი ნასახლარები ამოაესეს და მთელი მინდორი ხელის გულივით გადაასწორეს. შემდეგ შეუდგენ გზების, ბილიკების დაღარგას და მათ გარშემო ხეხილის ჩაყრას.

მარიამი, როგორც ნამდვილი ხუროთ მოძღვარი, ისე წინამძღვრობდა მუშებს, უჩვენებდა, განაგებდა, ანაწილებდა დროს და საქმეს. რაც შეეხება თამარს, იმას ხომ ველარაგინ იცნობდა: მზეთუნახავი და მოუძღურებული ქალბატონი ახლა რიხიან და მოსაქმე დედაკაკათ გადაიქცა. მწუხარებით მოხრილი კისერი მალლა აილო, ცხოველი აზრით და გადაწყვეტილის მიზნით განათებული პირისსახე მზეს დაანახე. ეს მთელ დღეებს „გუგულის ქედზე“ ატარებდა, ყოველ საქმეს თვალ-ყურს ადევნებდა, მუშებს ამხნეებდა, იმათ საზრდოზე და ბინაზე მზრუნველობდა, თან ხშირათ შედიოდა ეკკლესიაში, ემთხვეოდა გიორგის ძვირფას საფლავს და როგორც ცოცხალს, როგორც პატრონს ყოველის საქმისას, ჩასტუტუნებდა: „გამო, გამოიხედე, ჩემო მშვენიერო, დაინახე რა რიგ ბრწყინვალდება „გუგულის ქედი“, რა რიგ სწრაფათ მიდის საქმე და რა მალე იქნება აგებული ის ძეგლი, რომელიც შენ სახელს უკედავ ჰყოფს და შენს გარშემო ნათელს მოჰქვენს“.

VII.

ნათლიანელმა გლენებმა დიდხანს იყოყმანეს იმაზე, დეწყოთ

მუშაობა თუ არა. აქაურმა ღედაკაცებმა მრავალი სიზმარი ნახეს, მრავალი რისხვა და წყრომა უწინასწარმეტყველეს თავიანთ ქმრებს, შვილებს, ძმებს, ქალბატონისგან გამწყაროებულის წმ. გიორგისაგან, მაგრამ ნამდვილმა თავისი გაიტანა: „გუგულის ქედი“ გაიწმინდა გასწორდა, გამშვენიერდა, წყაროს დარუეება და ქაობების ამოშრობა ყველასთვის თვალსაჩინოთ გამოჩნდა და რისხვა და შერყენება-კი არსაიდანა სჩნდა. სამუშაოში აღებული ფული სხვის ხელში გადადიოდა, მაშინ როდესაც აუარებელი მუშა ხელი აქაურებისა მუქ-თათ სცდებოდა.

— ტყულა ეცდებით, მედა ჩემმა ღმერთმა, უთხრა ნინიამ ერთხელ სოფლის მოედანზე შეყრილ მოლაზღანდარე კაცებს. თუ წმ. გიორგის სწყინდეს იმისი გარშემოს ხელის შეხება, განა მაგ მოსულ ხალხს-კი ვერ მოსტენდა კისერს?

— ჰო და! დაეთანხმა აქ მყოფი მოხუცი გიორგაც, და მერე რამდენი ფული დავკარგეთ ტყუილათ! შაბათობით რომ ქალბატონი უსწორდება ი მოთრეულ ვიგინდარებს, სწორეთ რომ გული მიწუხდება.

— ახლა აგრე ამოვბთ და მაშინ-კი თქვენ გაგვაგიჟეთ და უარი გვათქმევინეთ, საყვედურით მიუგეს ბებრებს ახალგაზღვებმა. ეხლა რაღა გაგვეწყობა?!

მაისის გასულს ყოველი მოსამზადებელი საქმე გუგულის ქედზე გათავებული იყო: თყალ-გაღუწედენელი, გაჩხილის ტყის თიხნით შემოფარკლული მინდორი პატარაქალივით მორთული იდგა, სკოლის საძირკველი მთელის თავის სიგძე-სიგანით გათხრილი და დამზადებული იყო.

ი ამარმა საძირკველის საკურთხებლათ მოიწვია მთელი სოფელი და ყველამ თვალით დაინახა ყოველი გაკეთებული. კურთხვის შემდეგ, მარამი მიუბრუნდა ხალხს და თავისებურის ტკბილის და გრძნობიანი სიტყვით უთხრა: „აბა, შეილო, მიიხედ-მოიხედეთ და კარგათ

დაინახეთ თუ რა შეუძლიან კაცის ხელს და მის გონებას! სულ ორი თვე არ არის, რაც ორმოცამდე კაცი მუშაობს ამ საუკუნეებით მიტოვებულ და აოხრებულ მამულზე და ნახეთ რა ცვლილება მოახდინეს: ნოტიოსა და ჭაობის მაგიერათ მშრალი და მზის თვალით გაბრწყინვალეებული მდელი გაჰოჩნდა და დარუებული და ამის გამო ერთი ხუთათ ქცეული წყლის მოწყალებით ეს მდელი ედემის ბალათ გადაიქცა. ტყის გაჩეხით და გასუფთავებით ძვირფასი ძველებური ნაშთი, ეკკლესია, ხავს და სინესტისაგან დანგრევას და განადგურებას ასცილდა და თავისი მშვენიერი ხელოვნური სურათ-ხატებით დამშვენებულნი სველი კედლები მზეს გასაშრობათ მიუშვირა. ნუ თუ წმ. გიორგი კაცზე ნაკლებათ იგრძნობს მადლობას იმისადმი, ვინც ყველა ეს მოაგვარა? და აკი ხედავთ კიდევ რომ წმ. გიორგი არა წყრება! მაშ პირჯვარი გადიწერეთ და დღეიდან თქვენ გააგრძელებთ საქმე. უპრიანია თქვენგნით მონაგარი ფული, თქვენვე დაგიბრუნდეთ, უპრიანია თქვენ საქმეს თქვენვე ემსახუროთ, და რომ მომავალი ძეგლი, რომლის ასაშენებლათ თამარი არ ზოგავს ფულს, შრომას და სიყვარულს, თქვენთვის იქნება ა ებული, ამაში ხომ ეჭვი არავისა გაქვთ?

— მაშ ვილასთვის-ღა იქნება... დარცხვენით წაილულულა ბებრმა ნინიამ და მერე ხალხს შესძახა: „აბა, ბიჭებო, დაიძარით, გეყოფათ ჯიუტობა! ხვალევე ურმები შევაბათ და დავიწყით შენობისთვის მასალის შემზადება. ღმერთმა აღლევტ ძელოს ვინც ჩვენი უმეცრება თვალით დაგვანახეა, ღმერთმა სულით აღამაღლოს და დაუვიწყარი ჰყოს მისი სახელი, ვის სახელ-ობაზედაც დღეს ჩვენთვის განათლების საძირკველი ჩაიყარა.“

VIII.

დადგა ზამთარი. მარიამმა მოუხშირა ქალაქში სიარული და იქიდან ამოზიდული ბარგით სტანციიდან ურემი-ურემზე მიდიოდა „გუ-

გულის ქედისაკენ", სადაც შენობა დამთავრებული იყო და ახლა ოთახებს შიგნიდანლა ამშვენებდნენ.

ხალხი მოუთმენლათ მოელოდა გიორგის დასაფლავების წლის-თავს. ყველამ იცოდა რომ ეკლესიას და სკოლას იმ დღეს აკურთხებდნენ.

შობის მეორე დღეს, გიორგის გადაცვალების წლის-თავზე, თითქო განკებ, მშენებელი, მზით გაბრწყინვალეული დღე დადგა. ნათელაანთ-კარელები აღრიანათ აიშალნენ, დიდი და პატარა გაფაციცებით ემზადებოდა ამა არა ჩვეულებრივი შემთხვევისათვის. მეტადრე სოფლის მოზარდი თავება, ქალი და ვაჟი, ახალ თბილ ტანისამოსში გამოწყობილი, ღელაედა, ცმუკაედა და მოუთმენლობას იჩენდა ყველაფერში.

— იშ, ნეტა, როდის დაირეკება წმ. გიორგის ზარი? ეკითხებოდა პატარა ნუშკა თავის დედას. სულ გული მიცახცახებს. ნეტა დღესვე დაგვაწყებინებენ სწავლას?

— რა ვიცი, შეილო, მე სკოლა თვალთაც არსად გამოცდია და რა გითხრა. ნეტაეი თქვენა, თქვენ უკეთეს დროს შეესწართ, სწავლითაც გასწავლიან და ე ტანისამოსიც კიდევ ზედ მეტი არის...

— ჰო და! კოპწიობით და ტრიალით სთქვა პატარა ნინუამ, მერე რა კობტათ არის შეკერილი, არა გავს მამიდა ნენეს შეჯღანისს.

— ამობენ ვინც კარგათ ისწავლის ამ სკოლაში, იმას მერე სხვა უფრო დიდ სასწავლებელში გაგზავნიანო. ნეტა მე შემხედეს აგეთი ბედი! დარბაისლათ წარმოსთქვა თერთმეტი წლის გიგლამ, რომელიც თავის ამხანაგებში „ქუის კოლოფათ“ იყო წოდებული.

— მე-კი მჭედლობა უნდა ვისწავლო, წაიღუდუნა მოსხვეპილმა ვანომ. ჩვენ სოფელში ერთი მჭედელი არ არი, საქონელი დასაჭვდათ „ტანციაზე“ უნდა წაიყვანოთ ხოლმე...

— ამობენ, ბიჭო, დურგლობის სწავლასაც აპირებენო!

ძინ, ძინ, ძინ! მოისმა ამ ღროს წმ. გიორგის ეკლესიიდან ზარის რეკა და შესწყვიტა გაუთავებელი ბაასი.

— წმიდა არს შენი სახელი! აღტაცებით ქული მოიხადა ბებერმა ნინიამ და სასოებით გადაიწერა პირჯვარი. — მაღლობა ღმერთს რომ ამ ღროსაც მოევსწარი და ნათლიანთ-კარში ზარის რეკა კიდევ გავიგონე. შეგცოდნე უფალო და მაპატიე რომ მე ამის წინააღმდეგი ვიყავი.

სასიამოვნოთ გაიფანტა ჰერში ზარის წკრიალი და მის მოწოდებას საჩქაროთ შეუდგა ყოველი სულდგმული. ყმაწვილები გაეშურნენ ბატონიანთ კარისაკენ, სადაც მარიამს მეთვალ-ყურეობით ოთხმოცამდე გოგო-ბიჭი ხელი-ხელ ჩაკიდებული, წყვილ-წყვილათ დალაგებულნი გაემართნენ გუგულის ქედისაკენ.

პატარაზანს უკან ეკლესიის ფართო მოედანი აუარებელის ხალხით აივსო; აქ მოეყარათ თავი არა თუ ნათელაანთ-კარის გლეხკაცობას, სკოლის და ეკლესიის საკურთხეველათ შეყრილიყვნენ — ყველა ახლო-მახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნი: ‘თავადი, აზნაური, მღვდელი და ერის კაცი და ყველა ესენი გაკვირვებით შინჯაენდნენ ასე უცბათ აშენებულ იენობას და თან ისე მკვიდრათ აშენებულს და მოწყობილს, კონტათ ნაგებ სასახლეს, რომლის ზემოდან მიკრულ დიდ შავ ფიცარზე ოქროს ასოებით იყო ამოჭრილი: „გიორგიშენის სასოფლიო სკოლა“.

არა ნაკლებ აღტაცებაში მოდიოდა ხალხი ეკლესიის გარშემო მიდამოს გამშენიერებით: დაკრიალებული და სილა დაყრილი გზა-ბილიკები, აქა-იქ გზების პირათ დადგმული მწვანეთ შეღებილი გრძელი სკამები, შარა და შარა ჩამწყრივებული ხეხილის ხეები, გზის პირას თავის ჩაღრმავებულ, გასწორებულ და გამაგრებულ კალაპოტში მოჩუბჩუხე წყარო, რალაც არა ჩვეულებრივ წესიერების და მყუდროების სიამოვნებით ავსებდა ადამიანის გულს.

პატარა, განახლებული, გაბრწყინვალეული და მზის სხივებით საესე ეკლესია, რასაკვირველია, ვერ იტყვდა აქ მოსულ მოღოც-

ველს და ვინც-კი მოასწრო შიგ შეხვლა, ყველა დასტკბა ამ დღის-თვის საგანგებოთ მოწვეულ მაგალობელთა ტკბილის გალობით.

მაგრამ ყველაზე კმაყოფილი გაკეთებული საქმით თამარი იყო, რომელიც დაჩოქილი თავისის ძვირფასის საფლავზე, მდულარებით და სასოებით ჩასტუტუნებდა იმის სამარეს: „აეასრულე, შეიღო, ჩემი მშობლიური მოვალეობა და შენი სახელი უყედავი ვყავი; ავიგე ძეგლი ხელშეუხებელი და დიდება დაუსრულებელი“.

IX.

წირვის შემდეგ შემოსილი ღვდელი, ხელში ჯვრით და იაზმის ხსურებით, მაგალობლნი, მოსწაელენი და მასწაელებლნი სკოლისკენ გაემართენ. აუარებელი ხალხი მიაწყდა სასწაელებლის ბალკონებს, ყველანი სკდილობდნენ შიგნით შესვლას და იმ განწყობილების ნახვას, რომლის ქებას სამზღვარი არა ჰქონდა და ათასის გაზვიადებით ერცელდებოდა ხალხში. მართლა და არაფერი იყო დაზოგვლი ამ ძეგლის გასამშვენებლათ, რომლის ასაგებათ შრომობდნენ ორი მოსიყვარულე ღვდაკაცი. სამი დიდი ზალა, ერთი სამოსწაელო და ორი სახელოანო ყოველის საქირო ნივთით და იარაღით იყო გაწყობილი, არავითარი წვლილი არ იყო დაფიწყებული და რაც იყო, იყო მკვიდრი და თან ლამაზი, ძვირად ღირებული.

მაგრამ ყველაზე მომეტებული ყურადღება მიიპყრო მეოთხე ზალამ, რომელიც გიორგის ზალათ იყო დარქმეული და რომელიც დანიშნული იყო მასწაელებელთა და გამგეთა დასასვენებლათ. აქ გადმოეტანა თამარს ყოველი ის ნივთი, რომელიც-კი შეადგენდა გიორგის საკუთრებას, იმის სადგომის გამშვენებლას. ოთახი მთლათ დაფენილი იყო ძვირფასი ხალიჩებით, ფანჯრები ყვავილებით, კედლები მშვენების სურათებით, კუთხეები წიგნის შკაფებით... როიალი, დიდი, ძვირფასი, გიორგის საყვარელი როიალიც-კი არ დაფიწყ-

ყებოდა თამარს იმის ძველ სადგურში და ისიც საპატიო ადგილას იყო გამოკიმული.

მხოლოდ ერთი საგანი იყო ამ ოთახში დაფარული, თეთრ ტილო გადაფარებული, მთლათ მწვანე ხეებით შემორტყმული და ყველას ცნობის-მოყვარეობას აათასკეცებდა თავის საიდუმლოებით. და აი როდესაც მღვდელმა ასხურა იაზმით ყოველი აქ დამსწრე და ყოველი აქ მდებარე საგანი, მარიამი მიუძღვა იმას იმ დაფარულ საგნამდე, სიფთხილით გადახდა პირსაფარი ამ სიტყვებით: „აკურთხე, მამო, მოსახელე და პატრონი ამ დაწესებულებისა“.

— პატარა გიორგი, პატარა გიორგი! ალტაცებით შეჰყვირეს ყველა აქ დამსწრეთ და უნებლიეთ მუხლი მოიდრიკეს იმ პატარა ბაღლის სურათის წინ, რომლის სახელობითაც აშენდა და გამშენიერდა ეს ბინა განათლების, ეს სახლი მამაეალის, წინ-სელის და წარჩინების.

მტირალი თამარი მიუახლოვდა თავის პირმშოს საოცრათ მგზავს ქანდაკებას, მხურვალეთ დაეკონა იმის გაქვავებულ ტუჩებს, მერე იმის წია დადებული ოთხათ მოკეცილი ლურჯი ქალღი აიღო ხელში და ჯერ ისევ მუხლ-მოდრეკილ საზოგადოებას წაუკითხა:

„მე, თამარ ნათელაშვილის ქერივი, უკანასკნელი წარმომდგენელი შეილიც და რძალიც ამ გვარეულობისა ეწირავ ჩემ შემდეგ მთელ ჩემ საცხოვრებელს, მთას და ბარს, უძრავს და მოძრავ ქონებას ნათლიან-კარის გლენჯაკობას, იმ პირობით რამ ერთი მესამედი მთელი მამულის შემოსავლისა ამინის უკუნისამდე ხმარებოდეს გიორგიშენის სკოლას და სოფ. ნათელაანთ-კარს დღეის შემდეგ გიორგის სახსოვრათ ეწოდებოდეს სკოლისავე სახელი „გიორგი-შენი“.

ქმ. გაბაშვილისა.

(დასასრული).

წილდა გუნდი

ცამეტთა კაპადოკიელთა მამათა.

(„ბუნების კანის“ მამაკალი გამოცემიდან).



ფე ვახტანგ გორგასლანის უღროო სიკვდილმა ჩენი ქვეყანა ჩაგდო დიდს განსაცდელში. ვახტანგის შემკვიდრე თავისს გმირს მამას ბევრით არაფრითა ჰკავდა და მან ვერ შეიძლო გამარჯობულის სპარსელების შეკავება. ამით კვლავ მოიმაგრეს ფეხი ჩენს ქვეყანაში, იწყეს ბრძანებლობა ქართველს მეფეზე და ხალხზედა, მოიწადინეს გაძლიერება თავისი სარწმუნოებ-სა. განახლდა ორის სარწმუნოების შორის სასტიკი ბრძოლა. ბრძოლა ქართველებისთვის მეტად ძნელი იყო, რადგანაც მაშინდელი სპარსეთი უძლიერესს სახელმწიფოდ ითვლებოდა. ბევრი სულ-მოკლე ქართველი ღალატობდა ქრისტესა და სპარსელების სარწმუნოებაზე გადადიოდა, რათა ეამებინა ბრძანებლებისათვის. რიცხვი მღვდელთა და ეკლესიათა მცირდებოდა, ქურუმნი და ბომონნი-კი მრავლდებოდნენ. სწორედ განსაცდელის ქამი დადგა.

ამ საშინელის გაჭირების დროს სამხრეთის მხრიდან ქართველებს ძმურად გამოუწვიდინა ხელი ერთმა ქვეყანამ, სადაც ესახლა ქართველთა მონათესავე ერი. ამ ქვეყანას ეწოდებოდა კაპადოკია. იგი მღვებარეობდა მცირე აზიაში და ეკუთვნოდა ბიზანტიის იმპერიას,

მართლმადიდებელის ქრისტიანობის მცველსა. კაპადოკიაში იმ დროს
 ერთო ძლიერი ლამპარი ქრისტიანობისა, მასში კიდეთ კიდემდინ მო-
 ფენილი იყო სახარების სწავლა და იქ ბრწყინაედენ თავისი წიქიდა
 ცხოვრებით მრავალნი მონასტერნი და უდაბნონი. ღრმა ცოდნა
 საღმრთო წერილისა, საეკლესიო მკვერ-მეტყველობა, ქრისტიანული
 ღვთის-მსახურება ბევრად უფრო მალა იდგა აქ, ვიდრე სხვა ქვეყნებ-
 ში. ქრისტიანობის მნათობთა შორის დიდად საპატიო ადგილი ეჭი-
 რათ კაპადოკიის შვილთა. წმიდი გიორგი, საქართველოს პატრონათ
 მიწნეული, წმიდა ნინო, ქართველთა განმანათლებელი, წმიდა ვასი-
 ლი დიდი, მისი განუყრელი მეგობარი გრიგოლი ღვთის მეტყველი,
 წმიდა გრიგოლ ნასელი და სხვანი იყვნენ ღვიძლნი შვილნი კაპადო-
 კიისა და, მამასადამე, თესლით ქართველები.



იოანე ზედაზნელი



მიო მღვიმელი


კაპადოკიის მონასტერთა შორის დიდათ განთქმული იყო ერ-
 თი სავანე, დაარსებული წმიდა იოანესაგან, რომელსაც მრავლად
 დამოწამებოდნენ მამანი, ღირსნი თავისი ყოვლათ ქებულისა მოძღვრი-



სა. ამ წმიდა იოვანეს და მის მოწაფეთა ესმოდათ გაჭირებული მდგომარეობა ქრისტეს სარწმუნოებრსა „ივერიაში“ და გულით სწუხდნენ ამის გამო. დღე და ღამ სულ იმის ფიქრში იყვნენ, თუ როგორ ეშველათ თავისი მონათესავე ერისათვის. ბოლოს მოუვიდათ ამბავი, რომ ცეცხლის თაყვანისცემა იმარჯვებს ქრისტიანობაზედაო. მაშინ იოანემ და მისმა მოწაფეებმა გადასწყვიტეს დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ თავისი უდაბნო, გამოსთხოვებოდნენ სამშობლოსა და წამოსულიყვნ საქართველოში, რათა თავისი წმიდა ცხოვრებით და ქა-



დავით გარეკული



ანტონი მარტყოფელი

დაგებით განემტკიცებინათ შერყეული ქრისტიანობა და მოესპოთ ცეცხლ-თაყვანისცემლობა. იოანეს საკპარისად მიაჩნდა თორმეტის მოწაფის წამოყვანა, ხოლო იმის მონასტერში იყო ასზე მეტი ბერი, და ყველა მონათური იყო წამოსელია. თვით იოანემ არ იკისრა არჩევანი, მიანდო ღვთის ნებასა დაწილი უყარა თავისს მოწაფეებსა. წილი ხედა თორმეტს ყოვლად ღირსეულს, საუკეთესო მის მოწაფესა.

წმიდა მამებმა კარგად იცოდნენ, რომ მათ მოელოდათ მრავალი

დაბრკოლება, წვალემა, ტანჯვა და იქნება თვით სიკვდილიცა სპარსელებისაგან; მაგრამ ისინი ამას არ შეუშინდნენ. გამოეთხოვენ თავის საყვარელს უღაბნოს, გამოესაღმნენ თავისს ძვირფასს სამშობლოს, დაულოცეს დანარჩენს ბერებს საფანე და გამოეშურნენ ჩრდილოეთისაკენა. ჩქარა შემოსდგეს მათ ლოცვა-კურთხევით თავისი წმიდა ფეხნი ჩვენს ქვეყანაში. იმ დროს საქართველოსა და კაპადოკიის შორის ხშირი მისვლა-მოსვლა იყო, რადგანაც ანტიოხიის პატრიარქი ამწყესებდა საქართველოს კათოლიკოსსა. ამის გამო ქართველებს შეუტყობლად არ დაურჩათ წამოსვლა წმიდა მამებისა და სიხარულით ემზადებოდნენ მიგებებასა. იმ დროს მცხეთის კათალიკოსმა სიზმარი ნახა, ეთომც მთელი გუნდი ანგელოსთა მსგავსი ადამიანებისა შემოვიდა სამხრეთიდან საქართველოში. ეს სიზმარი უეჭველად მოასწავებს წმიდა მამების მოსვლასაო, სთქვა კათალიკოსმა, ზე გაეიდა სამღვდლოებით მცხეთიდან სამხრეთისკენ მისაგებებლად ძვირფასი სტუმრებისა. ჩქარა გამოჩნდა გუნდი წმიდა მამებისა დასავლეთის ვხით, საიდანაც წინად მოვიდა თვით წმიდა ნინო. მამანი მოდიოდნენ ფეხ-შიშველნი და წინ მოუძლოდ მათ იოანე ზედაზნელი. ორივე მხარე შეხვდა ერთმანეთს სიხარულის ცრემლებითა. წმიდა მამებს მხურვალე სიყვარულით მიესაღმნენ კათოლიკოსი და სამღვდლოება. ესენიც მოწიწებით ემთხვიენენ კათოლიკოსს ხელზე და ღმობიერათ მიემშვიდობენ სამღვდლო პირთა. შემდეგ კათოლიკოსი გამოუძღვა და მიიყვანა სვეტი ცხოვლის ეკკლესიაში, სადაც წმიდა მამებმა თაყვანისცეს ცხოველმყოფელს სვეტსა, სამადლობელი პარაკლისი გადიხადეს და რამდენჯერმე ღამეც უთიეს.

დიდხანს არ დარჩენილან ძვირფასი სტუმრები მცხეთაში. იგინი გაემგზავრნენ სხვა-და-სხვა ადგილებში, საცა უფრო შეესუსტებინა ქრისტიანობა წარმართობასა, რათა გაეძლიერებინათ სახარების ნათელი. დააარსეს სხვა-და-სხვა კუთხეებში მონასტრები, რომელნიც შეიქნენ კერად ძლიერის სარწმუნოებისა, წმიდა ცხოვრებისა, სა-

ღმთო წერილის ღრმად შესწავლისა, დაუღალაფი ლოცვისა და შრომისა.

თეითეულს მონასტერთან დააარსეს სასწავლებელი, სადაც მოზარდი ქართველები იღებდნენ ქრისტიანულს სწავლასა და აღზრდასა, სწავლობდნენ მაცხოვრისა და მამულის სიყვარულსა, ერთათ შეერთებულსა, და ემზადებოდნენ ღირსეულის ცხოვრებისათვის. აქვე, ამ მონასტერში, ითარგმნებოდა სხვა-და-სხვა საღმრთო და საერო წიგნები, იწერებოდა თხზულებანი და გრავედებოდა აუარებელი ხელთნაწერები. ყველა მონასტერი სცდილობდა გაემდიდრებინა თავისი წიგნთ-საცავი მრავალი თხზულებითა, რომლითაც სარგებლობდნენ ყველა წოდების ქართველები და იძენდნენ განათლებასა.



სინოს ნეკრესელი



ისიგუ პატეკელი

წმიდა მამანი მოქმედებდნენ ისეთა სამაგალითო თანხმობით, ისეთი ძმური ხატობით და ერთმანეთის პატრიისცემით, რომ კაცს ეგონებოდა ცამეტსავე ერთი სული და გული უდგიათ გეაშვიო. ამ მო-

მხიბლავი ერთ-სულობის მეოხებით წმიდა მამანი საესებით ეწიენენ თავის გულის წადილსა: განამტკიცეს და განაძლიერეს ნათელი ქრისტიანობისა ქართველთა შორის და გაფანტეს კომლი წარმართობისა, ცეცხლ-თაყენის-მცემლობისა.

აი ამ წმიდა მამათა სახელები: იოანე, შიო, დავითი, იასე, აბიბოსი, იოსები, მიხეილი, პიროსი, ზენონი, სტეფანე, თათე ანუ თადეოზი, ისიდორე, ანტონი და ილია დაკვანი. მათგან იოანემ და არსა ზედაზნის მონასტერი, შიომ—შიომ-ძღვეიქისა, ანტონიმ—მარტყოფისა, დავითმა—დავით გარეჯისა, იოსებმა—ალავერდისა, სტეფანემ—ბოდბისა, და სხვანი.

გაეცნოთ დაწერილებით მოღვაწეობა უფრო შესანიშნავი მამების.

შეცდომის გასწორება.

პირველის ნომრის 49 გვერდზე დაბეჭდილია: „ბათუმის ნომადი მიტრუკის შვეს ზღვაზე, გაივლის მარმარილოს ზღვას“. უნდა ყოფილიყო: ბათუმის ნომადი მიტრუკის შვეს ზღვაზე და სამის დღის განმეგობაში მიდის სტამბოლში ანუ კონსტანტინოპოლში. აქედან მიტრუკის ისეკ დასაკლეთისკენ, გაივლის მარმარილოს ზღვას“ და სსვანი.

სპარსეთის მეფე კამბიზი.

(გუძღვნი ჯუჯა ბაქრაძეს)



ლევამოსილის და მთელ აზიაში სახელგანთქმულის კიროსის შემდეგ სპარსეთში გამეფდა ტახტის მემკვიდრე, შვილი ძლიერი კიროსისა, კამბიზი. მთელი სპარსეთის ერთი და თვით დაპყრობილნი ქვეშევრდომნიც-კი დიდის პატივისცემით იხსენიებდა კიროსს. სპარსეთის ბრძანებელის გულკეთილობა, სამართლიანობა და განუსაზღვრელი თავაზიანობა ყველგან და ყველას ერთნაირათ სწამდათ. სპარსელების ზეპირ-გადმოცემით კიროსი „ხალხთა მამათ“-აა აღსარებული.

კამბიზი-კი, პირიქით, სულ სხვა ხასიათების მეფეთ გამოდგა. თვითნებობა, შეუბრალებლობა, უკიდურესი სისასტიკე—აი უმთავრესი თვისებანი კამბიზის ხასიათისა. მთელი სახელმწიფო თრთოდა კამბიზის სახელის გაგონებაზე. კარის კაცნი და მეგობარნი დიდის სიფრთხილით და თავაზიანობით შეჰქუტრებდენ მეფის უოველივე სიტყვას, ძლიერ შიშობდენ მეფე უნებლიეთ არ გაეჯაჟრებიათ, რადგანაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სასტიკის ბრძანებელის რისხვა კარის კაცებს და მეგობრებსაც-კი არ დაინდობდა. ისტორია არა ერთ და ორ საზიზღარ ამბავს მოგვითხრობს კამბიზის სისასტიკისას.

ერთხელ კამბიზმა, როცა იგი ცოტათი შეღვინიანდა, ჰკითხა თავის მეგობარს პრექსასს: „მართალი წითხარი, რა აზრისაა ჩემზე ხალხი!..“ — დიდებულთა ხელმწიფევე, მოკრძალებით უპასუხა პრექსასამა, — ხალხი გადიდებს, აღტაცებულია შენის გაბრძნობილის ჭკუით და სათნო თვისებებით, ხოლო ცოტა არ იყოს ღვინის გადამეტებით

სმას არ გიწინებსო. კამბიზი ძრიელ განრისხდა პრექსასპის ამგვარს კანდიერებით. ამდროს გაბრაზებულმა მეფემ შემთხვევით ფანჯრიდან დაინახა ეზოში სხვა ბავშვებთან მოთამაშე პრექსასპის პირმშო შვილი. სპარსეთის თვითმპყრობელმა მყისვე წამოაგლო ხელი შეილდ-ისარს და ეზოში მოთამაშე პრექსასპის ეაყს დაუმიზნა. შეუბრალებელმა ისარმა ზედ გულში განგმირა სრულიად უდანაშაულო მსხვერპლი. — როგორ მოგწონს, მარჯვეთ ესტყარცნი შეილდ-ისარს!.. დამცინაფი კილოთი დაეკითხა კამბიზი საცოდავ პრექსასპს. — თვით ლძერებებიც ეერა სტყარცნიან ასე მარჯვეთ!.. უპასუხა შიშისაგან მთელი სხეულის კანკალით საბრალო მამამ.

მოხუცმა კრეზმა ერთხელ კამბიზს ძრიელ თავაზიანათ ურჩია გაჯავრების დროს თავი შეიკაფეი. მეფემ ეს რჩევა დიდ შეურაცხყოფათ მიიმჩნია და მყისვე ბრძანება გასცა კრეზი სიკვდილით დაესაჯათ. მსახურთ კარგათ იცოდნენ თავისი ბრძანებელის უსწორმასწორო ხასიათების ამბები და ამიტომ გადაწყვიტეს, ხელმწიფის ბრძანება ჯერ-ჯერობით სისრულეში არ მოვიყვანოთ, მეფე როცა დამშვიდდება, უთუოთ სინანულით მოიგონებს თავის სასტიკ და უსამართლო განკარგულებასო. თუ ეს სინანული მეფემ არ გამოიჩინა, კრეზი შესაძლოა შემდეგშიაღ დაისაჯოსო. მართლაც რამდენსამე ხანს შემდეგ კამბიზმა დიდი მწუხარება გამოაცხადა კრეზის სიკვდილით დასჯის გამო. მსახურნი გამოუტყდენ და მოახსენეს მეფეს, რომ კრეზი ცოცხალიაო.

— „დიდათ მოხარული ვარ“, ბრძანა კამბიზმა, „რომ კრეზი სიკვდილს გადარჩენია, ხოლო ვინც ეს გაბედა და ჩემი ბრძანება სისრულეში არ მოიყვანა, იგი დაუყონებლივ სიკვდილით დაისაჯოსო!..“ მართლაც კრეზის სიკვდილისაგან დამსნეილნი მსახურნი უსამართლოთ სიკვდილით დაისაჯენ.

კამბიზის სისასტიკის ბრწყალეებს მეფის ღვიძლი ძმა სმერდისიც კი ვერ ასცდა. კამბიზმა ერთხელ სიზმარი ნახა, რომ ვითომ სმერდისი სპარსეთში გამეფებულიყო. მეფე ამ სიზმარმა იმოღენათ შე-

ამფოთა, რომ ბრძანება გასცა სმერდისი სიკვდილით დაესაჯათ. საბრალო სმერდისს აზრადაც არ მოსვლია სპარსეთში გამეფებულ იყო, მაგრამ უსამართლო თვითმპყრობელის შეუბრალებელი ბრძანება მაინც სისრულეში მოიყვანეს, და სრულიად უდანაშაულო სმერდისი უდროოთ სიცოცხლეს გამოასალმეს.

მეექვსე საუკუნის დასაწყისში კამბიზმა ცხარე და სასტიკი ომის შემდეგ ეგვიპტე დაიმოჭილა. სპარსეთის ბრძანებელი უდიერათ მოექცა დამორჩილებულთ. ეგვიპტეს უკანასკნელი მეფე პსამენიტი მთელის ოჯახობით სამარცხენოთ დატყვევებულ იქმნა.

წარჩინებულ პირთა ქალ-ვაყებს და თვით პსამენიტის ოჯახობას დააეღეს ყოველივე სამძიმო საქმეების წარმოება. ფუფუნება და სიმდიდრეში აღზრდილნი ქალ-ვაყნი დაფლეთილ და დაგლეჯილ ტანთსაცმელში შემოსილნი აუტანელ ჭაპანწყევტას ეწეოდნენ. პსამენიტს რომ უფრო მძლავრათ ეგრძნო თავისი უბედურება, იგი გამოიყვანეს სწორეთ იმ ადგილას, საცა ყოველგვარ შეურაცყოფას და დამცირებას აყენებდნენ მეფის ასულებს და სხვა წარჩინებულ პირთა შეილებს. პსამენიტი წარბშეუხრელი შეჰყურებდა თავისი ქალების უდიერათ წვალებას, და თავ-დახრილი სიტყვას არა სძრავდა. შემდეგ მეფის ანლოთ ჩამოატარეს მისი ერთადერთი ვაჟი, რომელიც სასიკვდილოთ იყო გამოზადებული. პსამენიტი აქაც არ შედრკა, იგი მძიმე მწუხარებას თავის გულში უხმოთ იკლავდა.

ამ დროს პსამენიტის მახლობლათ ვიღაც დაფლეთილ-დაგლეჯილ ტანთსაცმელში სპარსელების მეოპრებს მოწყალებას თხოვდა. პსამენიტმა იცნო ძონძებში გახვეული თავისი მეგობარი და ხმამაღლივ მწარე ქვითანი მორთო. კამბიზი გააკვირვა პსამენიტის ამგვარმა საქციელმა. — რათ არა სტიროდი მაშინ, როცა მენი ქალები სამარცხენოთ წყალს ეზიდებოდნენ, როცა შენი ერთადერთი ვაჟი სასიკვდილოთ გამოზადებული თვალ-წინ ჩამოგატარესო, ჰკითხა გაკვირვებით კამბიზმა თვალბეჭდებში ცრემლებ-მორეულ ეგვიპტის უკანასკნელ მეფეს.

— ჩემი პირადი და ჩემი საკუთარი ოჯახის მწუხარება იმოღე-
ნათ მძლავრია“, უპასუხა პსამენიტმა, „რომ ცრემლებით ამის გამო-
თქმა შეუძლებელია. ხოლო როცა მეგობარს ხედავ რომ უბედუ-
რება თავს დასტენია, მაშინ ძნელია კაცმა ცრემლები ვერ მოძებნოს
და მეგობრის უბედურება თავის უბედურებათ არ მიიჩნიოს!..“ კამ-
ბიზს ისე მოეწონა ეს პასუხი, რომ ბრძანება გასცა პსამენიტის შვი-
ლი გაეთავისუფლებინათ, მაგრამ გვიანდა იყო, ეგვიპტის ტახტის
მემკვიდრე უკვე სიკვდილით დაესაჯათ.

„ა. უუმისთაველი



მტრედის გამჭრისობა.

(პატარებისთვის).



რო ქალაქის განაპირას იდგა ჰატარა სახლი, მის ფანჯრებ-წინ ქანდარასავით ფიცრები იყო გამოშვერილი. ამ ჰატარა სახლში ცხოვრობდა ერთი ღარიბი სახლობა. ისინი ინახავდნენ მრავალ შინაურ ფრინველებს: ქათმებს, ბატებს, ინდოურებს და სხვებს და შერე მიჭყავდათ ბაზარში კასაყიდათ და ამითი იკვებებოდნენ.

ეს ოჯახი მეტათ კეთილი იყო, უუვარდა ეოკლეკვარი ფრინველი. მტრედები და ბედურებიც-კი, — ეს მუქთა მჭამელი ფრინველები, უშიშრათ მოფრინდებოდნენ და კენკავდნენ შინაურ ფრინველებთან ერთათ მარცვლებს.

ერთი წუვილი მტრედი ძალიან შეეჩვია ამ კეთილ მას-ზინძლებს. ბუდის გაკეთებაც-კი დაიწყო ფანჯრის ფიცრებზე. სახლის მცხოვრებლები არ აკდებდნენ ამ მტრედებს, ჰირ-იქით სიამოვნებით უუურებდნენ წუვილი ნაცარა

მტრედი როგორ მეგობრულათ, სიყვარულით მუშაობდენ. რამდენსამე ხანს შემდეგ დედალი მტრედი დაჯდა კვერცხებზე ბარტყების გამოსახელებით. დედალი მტრედი მხოლოდ მაშინ მიატოვებდა, ისიც დროებით, თავის ბუდეს, როდესაც მოშივდებოდა და მოწუწურდებოდა, მაშინ ძმალი მტრედი დაჯდებოდა მის ადგილას. ამას-კი იმდენი მოთმინება არა ჰქონდა, სძირათ მაშინვე გამოუდგებოდა თავის მეგობარს.

ერთსეულ დედალმა მტრედმა წუხელი დალია და წამოვიდა თავის ბუდისკენ; აქ, თავის მეგობრის მხვეწრათ, ბუდეში დაუსვდა ქათამი. ამ ამბავმა ძალიან გაახოცა მტრედი. ფრთების შრიალით, გაჯავრებული მივარდა ამ დაუხატებელ სტუმარს და დაუწყო კორტნა. ქათამი არ დაიმრა. მტრედი ცდილობდა ნისკარტის ცემით აეგდო, მაგრამ ქათამმა თავიც არ მიიბრუნა მისკენ. არაფერი ცდა არ გაუვიდა ბუდის ზატრონს — დალურსმულსავით იჯდა ქათამი. ბოლოს მისვდა მტრედი რომ ამ შეუზოგართან ვერას გააწურობს. მოძორდა ბუდეს, დაჯდა შორი-ახლოს ღობეზე და მოუსვენრათ აქეთ-იქით გაიციქირა. მერე უცბათ შემოჰკრა ფრთებს და გაჰქირა სადღაც შორს, შორს.

გავიდა ხუთი წუთი. ქათამი თითქოს თავის საბუდარშიაო მოსვენებით იჯდა, ერთბაშათ მოისმა ფრთების შრიალი, მტრედების გუნდი მოფრინდა, ათზე ნაკლები არ იქნებოდა.

ქათამმა ვერც-კი მოასწრო მათი დანახვა რომ ეო-
ველ მხრიდან მტრედებმა: დაუწეეს მას ცემა ფრთებით,
ნისკარტითა და ფეხებით. ქათამმა ველარ შესძლო. ამო-
ვარდა ბუდიდან და მოჰკურცხლა, მაგრამ ანლა ავრე ად-
ვილათ ვერ გადურჩებოდა ამ მტრედებს. ესენი აედევნენ,
აღარ ზოგავდენ, რაც შეეძლოთ დამარცხებულს სცემდენ
და სცემდენ. საბრალო ქათამი სიმწარით სულ გადირია
და რომ ველარ იპოვა თავისთვის ადგილი შევარდა თავ-
ლაში. მტრედები იქაც შეუვარდენ და საშინელი დღე და-
აუენეს.

ცემით გაჩენილი ქათამი ბოლოს განდა მამლის კვერ-
დით. მაშინ-კი მამალმა გაუწია მფარველობა: თავისი დე-
ხებიანი ფეხებით და მაგარი ნისკარტით ისე დაუწეო ცე-
მა მტრედებს, რომ ამათ თავი დანებეს ქათამს და აქეთ-
იქით წავიდ-წამოვიდენ. გამარჯვებული მტრედი-კი დაჯ-
და მაშინვე კვერცხებსე და თან კულმოდგინეთ ისწორებ-
და თავის ფრთებს.

ტასო.





გ ა ს ა რ თ ო გ ი .



ცურუი სოფელი ჩინეთში. ჩინეთში ხალხი აგერია და მიწა-კი ცოტა აქვთ, ამიტომ დიდ მდინარეებზე სშირათ შესვდებით ისეთ დიდრონ ტივებს, რომლებზედაც ამენებულა მთელი სოფლები. სახლები ისე რიგზეა ჩამწკრივებული რომ შიგა და შიგ ნამდვილი ქუჩებია ხოლმე გაუფანილი.

ტივზე მცხოვრებლები ვაჭრობენ, არიან ხელოსნები, მეზურები, უაწვები, ხილის გამედიდებლები, მეჩექმეები და სხვ.

თუ მცხოვრებლები მოინდომებენ ადგილის გამოცვლას დაუწუებენ ორთავევრებით წევას ტივს იქამდის, სანამ უკეთეს ადგილს არ მივლენ.

დიდი ხანი არ არის რაც ქალაქ ვენაში მოკვდა ვაჭარი ტრეილი, თუმცა ამას დიდი ვაჭრობა ჰქონდა, მაღლიან ხელ-მოჭერით ცხოვრობდა, თითქმის ღარიბთაც. ვაჭარს ზოგი კრიჟანგათ თვლიდა, ზოგს-კი ეგონა, რომ არ იცის თავისი საქმეების მოწეობა და ამიტომ ღარიბიც არისო. ტრეილი სულ მარტო-მარტო იყო, ქვეყანაზე არავინა ჰქაუდა მახლობელი.

როდესაც ვაჭარი მოკვდა და გახსნეს მისი ანდერძი, გამოჩნდა რომ მილიონზე მეტი გულდენი ჰქონდა და ეს ფული ერთ ანათ უნდერძებია სამეცნიერო აკადემიისათვის.

— თუმცა მე თვითონ ბევრი არა მისწავლია-რა, ასე სწერდა ტრეილი თავის ანდერძში, — მაგრამ ჩემი ოცნება ის იყო, რომ მომეგროვებინა მილიონი და ეს ფული მოეხმარებინათ სწავლულებს ხალხის საბედნიეროთ.





ს ა ლ ხ ფ რ ი .

(ს. მათხოვეში ჩაწერილი ვარ. სურთაისისგან).

გიორგი ბატონიშვილსა თავი უკვდავი ეგონა;
 შეიდი ტყეია გულში მოხედა—თხლის კაკალი ეგონა;
 სისხლის ღვარში რომ ცურავდა—კობის აბანო ეგონა;
 ცივი ქვაი თავს მიუდევს—თბილი ბალიში ეგონა;
 კუბოში რომ ჩააწეინეს—ჭუმბულში იწვა ეგონა;
 ეკლოქიას წაასვენეს—აღდგომა დილა ეგონა;
 ცოლის და შეილის ტირილი—ცისკრის ვალობა ეგონა.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი .

(წამოადგენილი კ. სენიაშვილისგან).

ზამთარში მიძინარას ეგავდი
 ვიმაღებოდი სახლშია;
 სიცივე თვალებსა მთხრიდა
 აღარ მიშეგებდა კარშია;
 ვიყავი გაჩუმებული
 ყველა მირტყამდა თავშია.
 როცა-კი ვგრძენ ზაფხული,

დრო ჰაზანება სიცხისა,
გაელესე ჩემი ნესტარი
დაედექ დალაქათ სისხლისა;
ყველას ვუჩნელიტე, ვახტუნე,
ღირსიც გაეხადე წიხლისა.

ადლის ოდენა ტანი მაქვს
იმაზე მეტი კუღია,
მით ბეერი ვჭამე მე ტკბილი
რამდენიც ვიქმენ ცუღია.

(წარმოდგენილი გუგუჩა ძამუგოვისაგან).

ერთხელ დამწვეს არ შაკმარეს,
მეორეთაც ლამობენო;
ქვეყანაზე ზამთარ ზაფხულ,
შეშის ბადლათ მხმარობენო.

(წარმოდგენილი ნინა კვალაშვილისაგან).

ბუხარი ქვისა, მილი ხისა, ცეცხლი ბალახისა

ა ნ ა გ რ ა მ ა .

(წარმოდგენილი კ. ფრონისძისაგან).

უხმო ასო რამ გვაზიზღებს,
რომ მიეუმატოთ თავშია;
იგია ერთი ცხოველი
ენა ნალესი შხამშია.



თუ რომ დაეუკლებთ იმ ასოს,
 გული დაგვიწყებს ძგერასა
 და ყვეაილებით შემკულსა,
 ბუნება უწყებს ეღერასა.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ა. ჭანტუაძისაგან).

სადაც ხეს გათლიან ნაფოტიც იქვე დაცეინდებოა.

ობოლს ჰკითხეს, რომ გაიზრდები ვის შეაგინებო—და ვინც გამზარდაო.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი მ. ლექსაშვილისაგან

პირველი სათამაშოა, ბავშვების გამართობელია
 რიყის ქვა არის მაგარი, მორგვალებული, ბრტყელია.
 მეორით უკან დაიწევს, შებმული საქონელია,
 ამა სიტყვისა მეურმე, მკაფიოთ გამომთქმელია;
 კთლიათ ცუდი ხელოვანია, პირუტყვეთა სისხლის მღერელია.

ჩქარა გამოისაჯქმელი.

(წარმოდგენილი კ. სკხიაშვილისაგან).

ოხილსა, თხალის ქვეშ თხუნელა ეთხილ თხუნელებოდა.

საქმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთორმეტე

გამოდის 1901 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საქართველო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების საქითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თფილისში — „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Во Тифлисе, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*